სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები 5-72

1.	სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი და მისი საქმიანობა	5
2.	ჯგუფის საოპერაციო გარემო	7
3.	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	28
5.	ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	30
6.	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	32
7.	ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	39
8.	რეალიზაციის თვითღირებულება	39
9.	გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	39
10.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	40
11.	სხვა შემოსავალი/ (ხარჯი), ნეტო	40
12.	ძირითადი საშუალებები	42
13.	აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	43
14.	გუდვილი	44
15.	სხვა გრძელვადიანი აქტივები	45
16.	ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	45
17.	მარაგები	46
18.	გაცემული სესხები	47
19.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47
20.	მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	49
21.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	50
22.	კაპიტალში განხორციელებული შენატანი	50
23.	სესხები და ნასესხები სახსრები	51
24.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	52
25.	რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულება	52
26.	მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები	53
27.	ფინანსური ინსტრუმენტები	53
28.	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	65
29.	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	66
30.	შვილობილი საწარმოს შეძენა	68
31.	რეალური ღირებულების განმარტება	69
32.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	71

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 72

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია-ს (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენი აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადექვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ბიზნეს საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე ვართ.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2022 წლის 18 მაისი
თბილისი, საქართველო

სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართული ლარი)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	12	111,041	70,914
აქტივების გამოყენების უფლება	13	27,319	22,052
გუდვილი	14	2,436	2,436
სხვა გრძელვადიანი აქტივები	15	689	727
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	16	2,884	4,225
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		393	111
გაცემული სესხები	18	364	414
სულ გრძელვადიანი აქტივები		**145,126**	**100,879**
მოკლევადიანი აქტივები:			
მარაგები	17	59,554	47,453
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	20,910	10,317
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი	20	5,240	2,029
გაცემული სესხები	18	18	61,157
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21	32,538	7,524
სულ მოკლევადიანი აქტივები		**118,260**	**128,480**
სულ აქტივები		**263,386**	**229,359**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
შეტანილი კაპიტალი	22	30,519	49,385
გაუნაწილებელი მოგება		40,401	21,645
კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებადი კაპიტალი		74,970	71,030
არამაკონტროლებელი წილი		796	775
სულ კაპიტალი		**71,716**	**71,805**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სესხები და ნასესხები სახსრები	23	13,654	18,569
იჯარის ვალდებულებები	13	25,551	23,177
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		291	428
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**39,496**	**42,174**
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	50,151	48,367
ფინანსური ვალდებულება, რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით (FVTPL)	25	5,895	11,074
მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები	26	10,230	9,713
იჯარის ვალდებულებები	13	5,904	3,911
სესხები და ნასესხები სახსრები	23	79,994	42,315
სულ მოკლევადიანი აქტივები		**152,174**	**115,380**
სულ ვალდებულებები		**191,670**	**157,554**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**263,386**	**229,359**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა მმართველობის საბჭოს სახელით 2022 წლის 18 მაისს.

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი, მოქმედი აღმასრულებელი დირექტორი

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	706,045	481,446
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(627,702)	(415,318)
მთლიანი მოგება		**78,343**	**66,128**
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	9	(44,097)	(36,690)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(19,390)	(17,839)
საოპერაციო მოგება		**14,856**	**11,599**
საპროცენტო ხარჯი		(6,745)	(6,185)
საპროცენტო შემოსავალი		3,471	3,539
სავალუტო შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		2,924	(9,240)
სხვა შემოსავალი/(ხარჯები), ნეტო	11	4,662	3,293
მოგება დაბეგვრამდე		**19,168**	**3,006**
მოგების გადასახადის ხარჯი		(58)	(1,122)
წლის მოგება		**19,110**	**1,884**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**19,110**	**1,884**
წლის მოგება, რომელიც მიკუთვნებადია:			
ჯგუფის მფლობელებისადმი		18,756	1,570
არამაკონტროლებელი წილისადმი		354	314
		19,110	**1,884**
სულ სრული შემოსავალი რომელიც მიკუთვნებადია:			
ჯგუფის მფლობელებისადმი		18,756	1,570
არამაკონტროლებელი წილისადმი		354	314
		19,110	**1,884**

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მშობელი საწარმოს მფლობელებისა დმი მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს		**49,385**	**26,134**	**75,519**	**763**	**76,282**
სულ წლის სრული მოგება		-	1,570	1,570	314	1,884
გამოცხადებული დივიდენდები		-	(6,059)	(6,059)	(302)	(6,361)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		**49,385**	**21,645**	**71,030**	**775**	**71,805**
კაპიტალის შემცირება	30	(18,866)		(18,866)	-	(18,866)
სულ წლის სრული მოგება		-	18,756	18,756	354	19,110
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	(333)	(333)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		**30,519**	**40,401**	**70,920**	**796**	**71,716**

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		19,110	1,884
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯისთვის		58	1,122
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებისთვის		7,141	6,543
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაციისთვის		5,274	4,285
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობისთვის		(41)	(33)
საწვავის შენახვის ნამეტისთვის, ნეტო		(2,492)	(1,472)
მაღაზიებში საქონლის ნამეტისთვის, ნეტო		(109)	(315)
მეკავშირე საწარმოების შედეგების წილისთვის		(747)	(472)
აღიარებული გაუფასურების ზარალისთვის		344	980
სავალუტო (შემოსულობისთვის)/ზარალისთვის, ნეტო		(2,924)	9,240
საპროცენტო ხარჯისთვის		6,745	6,046
საპროცენტო შემოსავლისთვის		(3,471)	(3,539)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**28,888**	**24,269**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა / (შემცირება)		(10,247)	1,157
მომწოდებლების მიმართ ავანსად გადახდილი თანხების ზრდა / (შემცირება)		(3,211)	582
ზრდა მარაგებში		(9,609)	(1,373)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,822	(15,799)
FVTPL-ით აღრიცხული ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)		(5,179)	11,074
ზრდა მიღებულ ავანსებსა და სხვა ვალდებულებებში		517	1,738
(ოპერაციებში გამოყენებული) /ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		**3,981**	**21,648**
გადახდილი მოგების გადასახადი		(58)	(1,122)
გადახდილი პროცენტი		(6,472)	(6,026)
მიღებული პროცენტი		354	228
(ოპერაციებში გამოყენებული) /ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები		**(2,195)**	**14,728**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(9,298)	(6,198)
სესხის მიღებული დაფარვები		28	170
მიღებული დივიდენდები		403	173
შეძენისას მიღებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		208	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(8,659)**	**(5,855)**
ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან და ნასესხები სახსრებიდან		334,075	239,125
სესხების და ნასესხები სახსრების დაფარვა		(298,211)	(254,953)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა		(4,902)	(3,712)
გადახდილი დივიდენდები		(333)	(6,361)
წმინდა ფულადი სახსრები (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული)/საფინანსო საქმიანობიდან		**30,629**	**(25,901)**
წმინდა ზრდა / (შემცირება)ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**19,775**	**(17,028)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**7,524**	**25,638**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთებზე		5,239	(1,086)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**32,538**	**7,524**

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია-სთვის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდგომში ჯგუფი).

შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (შემდგომში "კომპანია") დაარსდა 2010 წლის 30 ნოემბერს, როგორც შპს Sonoil Oil Products, რომლის მიზანია ბრენდირებული ბენზინგასამართი სადგურების პრემიერ ქსელის შექმნა. კომპანიამ იურიდიული სახელი შეცვალა და გახდა შპს Sunoil 2011 წლის იანვარში, ხოლო 2011 წლის მარტში შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (Sun Petroleum Georgia).

ჯგუფმა ბენზინგასამართი სადგურების ქსელის განვითარება დაიწყო 2011 წლის მარტში, თავდაპირველად მესამე მხარეების შეძენის, ბენზინგასამართი სადგურის აქტივებისა და ბენზინგასამართი საწყობების აქტივების შემდგომი განახლებისა და რებრენდინგის გზით. 2011 წლის განმავლობაში კომპანიამ დააფუძნა 100% -ით ფლობილი შვილობილი კომპანიები: შპს ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითიზ და შპს სან სთორს, შპს ფონიჭალა 2009, 70%-ით ფლობილი შვილობილი კომპანია, -50%-ით ფლობილი შვილობილი კომპანიები შპს გორი ოილ კომპანია და შპს ახალციხის ნავთობკომპანია და მოიპოვა შპს დიდუბოილის, შპს ოპტიმა +-ის, შპს ფიქრის გორის, შპს ჩაქვის ბენზინგასამართი სადგურის და შპს კოლო (საყოველთაოდ მოხსენიებული, როგორც "ჯგუფი") საკონტროლო წილი. ჯგუფმა 2013 წლის განმავლობაში დააარსა შპს SPG Trading, რომელიც 100% –ით ფლობილი შვილობილი კომპანიაა და 2015 წელს შეიძინა შპს ფონიჭალა 2009-ს სრული მფლობელობა. 2021 წლის განმავლობაში, ჯგუფმა შეიძინა შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენს-ის 100%-იანი მფლობელობა.

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს როგორც საცალო, ასევე საბითუმო სეგმენტში. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფი მუშაობდა საქართველოში მდებარე 147 (2020 წელს 147) ბენზინგასამართი სადგურით, აქედან 83 (2020 წელს 69) ბენზინგასამართი სადგური კომპანიის, მისი შვილობილი საწაროების და მეკავშირე საწარმოების მფლობელობაში იყო. სხვა ბენზინგასამართი სადგურები ქირავდება.

ჯგუფის ბენზინგასამართი სადგურების ქსელმა საქმიანობა დაიწყო 2011 წლის მარტში Gulf- ის ბრენდის სახელით, Gulf Oil International- თან 15 წლიანი სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე. 2015 წლის აპრილიდან ჯგუფმა შექმნა საკუთარი ბრენდი G-Economy და დაიწყო ბენზინგასამართი სადგურების რებრენდინგი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 41 (2020 წელს 42) ბენზინგასამართი სადგური იყო G-Economy ბრენდის ქვეშ. G-Economy-ს ბენზინგასამართი სადგურები კონცენტრირებულია იაფი, დაბალი ხარისხის საწვავის საცალო ვაჭრობაზე, ხოლო Gulf- ის ბენზინგასამართი სადგურები გთავაზობთ პრემიუმ ხარისხის საწვავს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებულია 1,627 და 1,603 თანამშრომელი, შესაბამისად.

კომპანიასა და ჯგუფის მშობელ კომპანიას შემდეგი შვილობილი საწარმოები ჰყავს კონსოლიდირებული მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

სახელი	საქმიანობის ადგილი, ქვეყანა	მფლობელობის წილი 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	მფლობელობის წილი 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	საქმიანობის ტიპი
შპს Georgian Petroleum Equities	საქართველო	100%	100%	კომპანიის მართვა
შპს Georgian Energy Solutions	საქართველო	100%	0%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Sun Stores	საქართველო	100%	100%	საკვების საცალო ვაჭრობა
შპს DidubOil	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Chakvi Petrol Station	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს SPG Trading	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს Pikris Gora	საქართველო	75%	75%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Ponichala 2009	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს Kolo	საქართველო	67%	67%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Optima +	საქართველო	50%	50%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Gori Oil	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო
შპს Akhaltsikhe Oil Company	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს Energy Investment Venture Holdings, რომელიც რეგისტრირებულია აშშ – ში, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა Petrocas Energy International Ltd– ი, რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში.

ჯგუფის ძირითადი სამუშაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველო, ჭავჭავაძის გამზირი 34.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასა და ინტერპრეტაციებში. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, მათ შორის ჯგუფის ოპერაციებზეც. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გლობალური ინფექციის დონე რჩება მაღალი, ვაქცინაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები შემდგომ პერიოდებში, მათ შორის ვირუსის ახალი ვარიანტების გაჩენის გამო. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე მხარი დაუჭირა გლობალური ეკონომიკის აღორძინებამ და ფასების ზრდამ.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები ჯგუფის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი პერიოდულად გადადიოდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო სამუშაო პროცესი საწარმოში შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. იმის გამო, რომ წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია შეზღუდვების დაწესებას, ჯგუფის გაყიდვები ნორმალურ დონეს დაუბრუნდა და პოზიტიური ტენდენციაც კი აჩვენა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ისტორიული ღირებულების მეთოდით, მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების მეშვეობით, რაც ეფუძნება რეალურ ღირებულებას, და მარაგების თავდაპირველი და შემდგომი შეფასების მეშვეობით, რეალური ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გარდა, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წარმოდგენილი პერიოდებისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები და ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

სამუშაო ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შემავალი მუხლები ფასდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, სადაც ჯგუფი საქმიანობას ეწევა (სამუშაო ვალუტა). ჯგუფის მშობელი კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში. ყველა ღირებულება მრგვალდება უახლოეს ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთგადაფარვა – ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალის და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხორციელდება მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ამას არ ითვალისწინებს რაიმე სააღრიცხვო სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, და როგორც ეს კონკრეტულად არის გამჟღავნებული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ:

კონსოლიდირების საფუძველი –კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიის და კომპანიის მიერ კონტროლირებული საწარმოების (შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მოპოვებულია მაშინ, როდესაც კომპანიას:

- ძალაუფლება აქვს ინვესტიციის მიმღებზე;
- ექვემდებარება, ან მისი ინვესტიციის მიმღებთან ჩართულობის შედეგად გააჩნია ცვლად შემოსავლებზე უფლებები; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი ძალაუფლება და გავლენა მოახდინოს მის შემოსავლებზე.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტიციის მიმღებს, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის სამი ელემენტიდან ერთი ან მეტის ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

როდესაც კომპანიას აქვს ინვესტიციის მიმღებზე ხმის მიცემის უფლების უმრავლესობაზე ნაკლები, მას აქვს ძალაუფლება ინვესტიციის მიმღებზე, მაშინ, როდესაც ხმის მიცემის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მას მიეცეს ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის ცალმხრივად წარმართვის პრაქტიკული შესაძლებლობა. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას იმის შესაფასებლად, საკმარისია თუ არა კომპანიის ხმის უფლება ინვესტიციის მიმღების საწარმოში, რათა მას მიენიჭოს უფლებამოსილება, რაც მოიცავს:

- კომპანიის ხმის მიცემის უფლების მოცულობას, რომელიც შესაბამისია სხვა, ხმის მიცემის უფლების მქონე პირების მფლობელობის დანაწილებისა და მოცულობისა;
- კომპანიის, სხვა ხმის მიცემის უფლების მქონეების და სხვა მხარეების მიერ პოტენციურად ფლობილ ხმის მიცემის უფლებებს
- სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებისგან წარმოქმნილ უფლებებს; და
- ნებისმიერ დამატებითი ფაქტსა და გარემოებას, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას აქვს არ აქვს ამჟამინდელი შესაძლებლობა, მართოს შესაბამისი საქმიანობა იმ დროს, როდესაც გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული, აქციონერთა წინა კრებებზე ხმის მიცემის წესების ჩათვლით.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს შვილობილ საწარმოზე კონტროლს და წყვეტს მას, როდესაც კომპანია კარგავს შვილობილ საწარმოზე კონტროლს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასული შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები შედის მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, კომპანიის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან, მანამდე, სანამ კომპანია შეწყვეტს შვილობილი საწარმოს კონტროლს.

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არა-მაკონტროლებელ წილს. შვილობილი საწარმოების მთლიანი სრული შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არამაკონტროლებელ წილებს, თუნდაც ამან გამოიწვიოს არა-მაკონტროლებელი წილების დეფიციტური ნაშთი.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები კონსოლიდაციის შედეგად სრულად ელიმინირდება.

არა-მაკონტროლირებელი წილები წარმოადგენს შვილობილი საწარმოს კაპიტალს, რომელიც არ მიეკუთვნება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მშობელ კომპანიას.

არამაკონტროლებელი წილები ინდივიდუალურად არის წარდგენილი მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების საკუთარი კაპიტალის ნაწილში, მშობელი კომპანიის აქციონერების კაპიტალისგან განცალკევებით.

ჯგუფის შვილობილი საწარმოების მფლობელობის წილებში ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ საწარმოებზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც საკუთარი კაპიტალის გარიგებები. ჯგუფის წილების საბალანსო ღირებულებები და არამაკონტროლებელი წილები კორექტირდება შვილობილ საწარმოებში მათი ფარდობითი წილის ცვლილებების ასახვის მიზნით. ნებისმიერი სხვაობა იმ თანხას, რომლითაც ხდება არამაკონტროლებელი წილის კორექტირება და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის, აღიარებულია პირდაპირ კაპიტალში და მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს.

როდესაც ჯგუფი შვილობილ საწარმოზე კონტროლს კარგავს, შემოსულობა და ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში და გამოთვლილია, როგორც სხვაობა, (i) მიღებული ანაზღაურების აგრეგირებულ რეალურ ღირებულებას და ნარჩენი წილის რეალურ ღირებულებას შორის და (ii) აქტივების (გუდვილის ჩათვლით) წინა საბალანსო ღირებულებასა და შვილობილი საწარმოსა და ნებისმიერი სხვა არა-მაკონტროლებელი წილის ვალდებულებებს შორის. ყველა თანხა, რომელიც უკავშირდება ამ შვილობილ საწარმოს და მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფი პირდაპირ განკარგავდა შვილობილი საწარმოს დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს (ე.ი. განახორციელა რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში ან გადაიტანა კაპიტალის სხვა კატეგორიაში, როგორც ეს განსაზღვრულია/ნებადართულია გამოყენებადი ფასს-ებით). ყოფილ შვილობილი საწარმოში შენარჩუნებული ნებისმიერი ინვესტიციის რეალური ღირებულება, კონტროლის დაკარგვის დღეს, განიხილება, როგორც ბასს 39-ის მიხედვით, შემდგომი საბუღალტრო აღრიცხვის თავდაპირველი აღიარებისთვის რეალური ღირებულება, ხოლო როდესაც ეს გამოყენებადია, შვილობილ საწარმოსა ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის თავდაპირველი აღიარების ღირებულება.

საწარმოთა გაერთიანება –სამეურნეო ერთეულების (ბიზნესების) შეძენა ხორციელდება შეძენის მეთოდის გამოყენებით. გადაცემული ანაზღაურება საწარმოთა გაერთიანებისას შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც გამოთვლილია, როგორც ჯგუფის მიერ გადაცემული აქტივების შეძენის თარიღით არსებული რეალური ღირებულებების, შეძენილი საწარმოს წინა მფლობელებისთვის ჯგუფის მიერ გაწეული ვალდებულებების, და ჯგუფის მიერ, შეძენილ საწარმოზე კონტროლის სანაცვლოდ გაცემული სააქციო წილების ჯამი. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზოგადად აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, გაწევისთანავე.

შეძენის დღეს, იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები აღიარდება შეძენის თარიღით არსებული რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები და აქტივები, რომელიც უკავშირდება თანამშრომელთა სარგებლის პროგრამებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ბასს 12-ით „მოგების გადასახადები“ და ბასს 19-ით, „დასაქმებულთა გასამრჯელოები“-ს, შესაბამისად;
- შეძენილი საწარმოს წილობრივი გადახდების პროგრამებთან დაკავშირებული ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, ან ჯგუფის წილობრივი გადახდების პროგრამებთან, რომლებმაც უნდა ჩაანაცვლონ შეძენილი საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები, შეფასდება ფასს 2-ის „წილობრივი გადახდით“ ,შეძენის თარიღით; და
- აქტივები (ან გამსვლელი ჯგუფები), რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, ფასს 5-ით- „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“, შეფასდება ამ სტანდარტის მიხედვით.

გუდვილი შეფასდება, როგორც გადაცემული ანაზღაურების ჯამის, შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის და შემსყიდველის მიერ შეძენილ საწარმოში მანამდე ფლობილი სააქციო წილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაჭარბება, შეძენის თარიღით იდენტიფიცირებადი ახლადშეძენილი აქტივებისა და მიღებული ვალდებულებების წმინდა ოდენობასთან შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ გადაფასების შემდეგ შეძენის თარიღით იდენტიფიცირებადი ახლადშეძენილი აქტივებისა და მიღებული ვალდებულებების წმინდა ოდენობა გადააჭარბებს გადაცემული ანაზღაურების ჯამს, შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობას და შემსყიდველის მიერ შეძენილ საწარმოში მანამდე ფლობილი წილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალურ ღირებულებას, გადაჭარბება აღიარდება დაუყოვნებლივ, მოგებაში ან ზარალში, როგორც ხელსაყრელი შესყიდვის შემოსულობა.

არამაკონტროლებელი წილები, რომლებიც წარმოადგენს ამჟამინდელ საკუთრების წილებს და მფლობელს უფლებას ანიჭებს, მიიღოს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში, თავდაპირველად შეიძლება შეფასდეს ან რეალური ღირებულებით, ან შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების აღიარებული ოდენობის არამაკონტროლებელი წილების პროპორციული წილი. შეფასების საფუძველი არჩეულია თითოეული გარიგებისთვის ცალკე. არამაკონტროლებელი წილების სხვა სახეობები შეფასდება რეალური ღირებულებით ან, თუ ეს გამოყენებადია, სხვა ფასს-ით გათვალისწინებული საფუძვლის მიხედვით.

როდესაც საწარმოთა გაერთიანებისას, ჯგუფის მიერ გადაცემული ანაზღაურება მოიცავს პირობითი კომპენსაციის შეთანხმების შედეგად წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებს, პირობითი კომპენსაცია შეფასდება შეძენის თარიღით არსებული რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას გადაცემული ანაზღაურების ნაწილს. პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირებები, კორექტირდება რეტროსპექტიულად, გუდვილის შესაბამისი კორექტირებებთან ერთად. შეფასების პერიოდის (რაც არ შეიძლება აღემატებოდეს შეძენის თარიღიდან ერთ წელს)კორექტირებები წარმოადგენს კორექტირებებს, რომლებიც წარმოიქმნება „შეფასების პერიოდის“ განმავლობაში მოპოვებული, შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე .
პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებებში ცვლილებების შემდგომი აღრიცხვა, რომელიც არ კვალიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირება, დამოკიდებელია იმაზე, თუ როგორ არის პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებული. პირობითი კომპენსაცია, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი, არ შეფასდება შემდგომ საანგარიშო თარიღებში და მისი შემდგომი ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალში. პირობითი კომპენსაცია, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც აქტივი ან ვალდებულება, ხელახლა შეფასდება შემდგომ საანგარიშო თარიღებში, ბასს 39-ით, *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება,* ან ბასს 37-ით- *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები,* სათანადოდ, შესაბამისი შემოსულობის და ზარალის მოგებაში ან ზარალში აღიარებით.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებისას, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ მანამდე ფლობილი სააქციო წილი ხელახლა შეფასდება შეძენის თარიღით მისი რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში. შეძენის თარიღამდე, შეძენილ საწარმოში წილებიდან წარმოქმნილი თანხები, რომლებიც მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მსგავსი აღრიცხვა შესაფერისია იმ შემთხვევაში, თუ ეს წილი გასხვისდება.

თუ საწარმოთა გაერთიანების თავდაპირველი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანებას აქვს ადგილი, ჯგუფი ანგარიშგებაში ასახავს პირობით თანხებს
იმ მუხლებისთვის, რომლებისთვისაც აღრიცხვა არ არის დასრულებული. ეს პირობითი თანხები კორექტირდება შეფასების პერიოდის განმავლობაში, ან აღიარდება დამატებითი აქტივები და ვალდებულებები. რათა აისახოს შეძენის თარიღით არსებული ფაქტების და გარემოებების შესახებ მოპოვებული ახალი ინფორმაცია, რომელიც, თუ ეს ცნობილი იქნებოდა, განაპირობებდა იმ თარიღისთვის ამ აქტივების და ვალდებულებების აღიარებას.

აქტივების შეძენა - ისეთი აქტივების ჯგუფის შეძენისას, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს, გადაცემული ანაზღაურება ნაწილდება ცალკეულ იდენტიფიცირებად აქტივებსა და ვალდებულებებზე, მათი შედარებითი რეალური ღირებულების საფუძველზე, შეძენის თარიღისთვის. ასეთი გარიგება ან მოვლენა არ წარმოშობს გუდვილს.

გუდვილი – გუდვილი, რომელიც წარმოქმნება ბიზნესის შეძენისას, აღირიცხება თვითღირებულებით, როგორც ეს დადგინდა ბიზნესის შეძენის დღეს, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, გუდვილი გადანაწილდება ჯგუფის თითოეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე, რომელიც, მოსალოდნელია, რომ ისარგებლებს გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიით. ჯგუფი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად განიხილავს სადგურების მთლიან ქსელს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც განხორციელდა გუდვილის გადანაწილება, გაუფასურებაზე მოწმდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ ეს ერთეულები შესაძლოა გაუფასურდა. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე მეტია, გაუფასურების ზარალი პირველ რიგში გადანაწილდება ერთეულზე გადანაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულების და შემდეგ უკვე ერთეულის ხვა აქტივების შესამცირებლად პროპორციულად, ერთეულის თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების საფუძველზე. გუდვილის გაუფასურების ზარალი აღიარდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გუდვილზე აღიარებული გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდში არ აღდგება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გასვლისას, გუდვილისადმი მიკუთვნებადი წილი გასვლის შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის განსაზღვრებაში შედის.

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. მეკავშირე საწარმოები ის საწარმოებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა არის ჯგუფის უნარი, მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, მაგრამ არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივი საწარმო არის გარიგება, სადაც ერთობლივი კონტროლის მქონე მხარეებს გააჩნიათ უფლებები ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ერთობლივად ითვლება კონტროლი, რომლის განაწილება შეთანხმებულია კონტრაქტით და არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი საქმიანობის თაობაზე მოითხოვს ყველა მაკონტროლებელი მხარის თანხმობას.

მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შედეგები და აქტივები და ვალდებულებები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია წილობრივი მეთოდით. ამ მიდგომით ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ კორექტირდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის მიერ ფლობილი წილის აღიარების მიზნით. თუ ჯგუფის ზარალის წილმა გადააჭარბა ჯგუფის მიერ ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილ წილს (რაც მოიცავს გრძელვადიან წილებს, რომლებიც არსებითად შეადგენს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის წილს), ჯგუფი წყვეტს ამის შემდეგ მიღებულ ზარალში თავისი წილის აღიარებას. შემდგომი ზარალი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა შეასრულა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულებები ან განახორციელა გადახდები მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს სახელით.

ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში წილობრივი მეთოდით აღირიცხება იმ დღიდან, როდესაც ინვესტირების ობიექტი იქცა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ. მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შესყიდვისას, სხვაობა ინვესტიციის ღირებულებასა და ინვესტირების ობიექტის წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაში ჯგუფის წილს შორის აღიარდება გუდვილად და შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულების გაანგარიშებაში. სხვაობა წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაში ჯგუფის წილსა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის, გადაფასების შემდეგ, დაუყოვნებლივ აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა ინვესტიციის შესყიდვა.

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის ინვესტიციაზე გაუფასურების ზარალის აღიარება, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებლობის შემთხვევაში, ინვესტიციის მთელი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ შესაბამისად, როგორც ერთი აქტივი. შემოწმების მიზნით მისი ანაზღაურებადი ღირებულება (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯები, შორის უმცირესი) ედრება მის საბალანსო ღირებულებას. აღიარებული გაუფასურების ზარალი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის შესაბამისად, ისე, რომ ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება, შედეგად, იზრდება.

ჯგუფი წილობრივი მეთოდის გამოყენებას წყვეტს იმ დღიდან, როდესაც ინვესტიცია აღარ ითვლება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ ან მაშინ, როდესაც ინვესტიცია გადადის გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაში. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში და ეს შენარჩუნებული წილი არის ფინანსური აქტივი, ჯგუფი შენარჩუნებულ წილს აფასებს რეალური ღირებულებით ამ დღის მდგომარეობით და, ბასს 39-ის შესაბამისად, ეს ღირებულება ითვლება რეალურ ღირებულებად თავდაპირველი აღიარებისას. სხვაობა წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტის დღეს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და შენარჩუნებული წილის რეალური ღირებულების და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის გასვლით მიღებული შემოსავლის ჯამს შორის, შედის ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გასვლით მიღებული მოგება-ზარალის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, ამავე მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებულ ყველა თანხას ჯგუფი აღრიცხავს ისევე, როგორც აღრიცხავდა იმ შემთხვევაში, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები პირდაპირ რომ გაეყიდა. ამდენად, თუ ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიერ სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება ან ზარალი შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გაყიდვისას რეკლასიფიცირდებოდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ჯგუფი წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტისას მოგებას ან ზარალს გადაიტანს კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირებას).

წილობრივი მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში იქცევა ინვესტიციად ერთობლივ საწარმოში ან ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში იქცევა ინვესტიციად მეკავშირე საწარმოში. საკუთრების წილებში ამგვარი ცვლილება რეალური ღირებულების გადაფასებას არ იწვევს.

თუ ჯგუფმა შეამცირა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილი, მაგრამ გააგრძელა წილობრივი მეთოდის გამოყენება, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება--ზარალის ის წილი, რომელიც დაკავშირებული იყო ფლობილი წილის შემცირებასთან, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეკლასიფიცირდება, თუ შესაბამისი აქტივების ან ვალდებულების რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი ან ზარალი მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდებოდა.

ჯგუფში შემავალ საწარმოსა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, მის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მხოლოდ იმ წილის პროპორციულად, რომელიც არ არის დაკავშირებული ჯგუფთან.

ამონაგების აღიარება – ამონაგები შეფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებს გამოაკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება.

<u>საქონლის რეალიზაცია.</u>
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

ჯგუფი საწვავის, გაზისა და სხვა საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

როდესაც მომხმარებლისგან მიღებული გადახდები აღემატება გადაცემულ პროდუქციას ან ხელშეკრულებით გაწეულ მომსახურებას, აღიარებულია ხელშეკრულების ვალდებულება. ასეთი სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია როგორც წინასწარი გადახდები მიღებული ავანსებისა და სხვა ვალდებულებების შესაბამისად. საკონტრაქტო ვალდებულებები არ აღირიცხება, როგორც ამონაგები, სანამ შესაბამისი საქონლის მიწოდება ან მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდება არ განხორციელდება.

მომხმარებელთა ერთგულების პროგრამა.

ჯგუფს აქვს ერთგულების პროგრამა, გალფ-კლუბი, რომლის ფარგლებში მომხმარებლები ქულებს აგროვებენ განხორციელებული შესყიდვებისთვის, რაც მათ სამომავლო შესყიდვებზე ფასდათმობების მიღების უფლებას აძლევს. ამ ქულებიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც ქულები გამოისყიდება ან როდესაც ამოიწურება მოქმედების ვადა, თავდაპირველი ოპერაციიდან თორმეტ თვეში. ოპერაციის ფასი განაწილდება გაყიდულ საქონელსა და მინიჭებულ ქულებზე, მათი ცალკე გაყიდვის ფარდობითი ფასების საფუძველზე. ქულებისთვის სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება გაყიდვის მომენტში.]

საიჯარო შემოსავალი

ჯგუფის პოლიტიკა საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით აღწერილია ქვემოთ.

დივიდენდური და საპროცენტო შემოსავალი

დივიდენდური შემოსავალი ინვესტიციებიდან აღიარდება, როდესაც განისაზღვრება მფლობელის უფლება, მიიღოს გადახდები (იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია). საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი დაირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროგნოზო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება წმინდა დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), წმინდა დღევანდელ ღირებულებას, იჯარის წამახალისებელი მოთხოვნების გამოკლებით.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც ჯგუფის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსასაზღვრად, ჯგუფი იყენებს ბოლო დროინდელ მესამე მხარეების დაფინანსების განაკვეთს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ არის გამოქვეყნებული.

გაგრძელების შესაძლებლობები შეყვანილია ჯგუფის იჯარებში, თუ ეს გამოყენებადია. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით. გაგრძელების შესაძლებლობების სარგებლობის უფლება მხოლოდ ჯგუფს აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლების ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

საოპერაციო იჯარა. მაშინ, როდესაც ჯგუფი მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაიცემა მოიჯარეს (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საოპერაციო იჯარიდან მიღებული იჯარის გადახდები აღიარდება, როგორც სხვა შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე. მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარის მიერ იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვა ახალ იჯარად, იმ წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების გათვალისწინებით, რომლებიც კავშირშია თავდაპირველ იჯარასთან, როგორც ახალი საიჯარო შეთანხმების საიჯარო გადახდების ნაწილი.

უცხოური ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება საწარმოს ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი რეალური ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით ხელახალი კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია პირვანდელი ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ლარი/აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/ევრო	3.5040	4.0233

ნასესხები სახსრების ხარჯები – ნასესხები სახსრების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ისეთი განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელთა გამზადებას მოსახმარად ან გასაყიდად დიდი დრო სჭირდება, ემატება ამ აქტივების თვითღირებულებას მანამდე, სანამ ეს აქტივები არსებითად არ გამზადდება დაგეგმილი მოხმარების ან გაყიდვისათვის.

ნასესხები სახსრების ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის პერიოდში.

მოგების გადასახადი. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ განაწილდებოდა დივიდენდების სახით.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მოკლევადიანი საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები შეფასდება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ერთეულებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.
ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ნაშთი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესასყიდ ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებლებსა და გადასახადებს შენაძენზე, რომლებიც არ ბრუნდება, დისკონტებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ყველა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ერთეულის იმ ადგილასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას; (გ) ერთეულის დემონტაჟის, გადაადგილების და მონტაჟის ხარჯების წინასწარ გაანგარიშებას; (დ) ვალდებულებას, რომელსაც ჯგუფი კისრულობს ან მუხლის შესყიდვისას ან იმის შედეგად, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მარაგების დამზადების ნაცვლად ის სხვა მიზნით გამოიყენა; და (ე) კვალიფიციური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებულ ნასესხები სახსრების ხარჯებს.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებისა და ჩანაცვლების მსხვილ ხარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას და ზრდის შემოსავლის გენერირების შესაძლებლობებს. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, გაწევისას აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთის დარიცხვის შედეგად ცვეთადი ღირებულება ჩამოიწერება აქტივის სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ძირითად საშუალებათა კატეგორიები	წლები
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-13
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე აღჭურვილობა	5
სხვა ფიქსირებული აქტივები	5-13
საიჯარო გაუმჯობესებები	7

საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების მუხლის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების ამ მუხლის გასვლით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი უკვე რომ იყოს იმ ასაკისა და ისეთ მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს. წინა შეფასებების ცვლილების გავლენა აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალების მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის მშენებლობისას გაწეულ პირდაპირ დაკავშირებულ ცვლად ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მისი ცვეთა, სხვა ძირითადი საშუალებების მსგავსად, იწყება, როდესაც აქტივები მზადაა მოსახმარად, ანუ მაშინ, როდესაც აქტივები არის იმ ადგილასა და მდგომარეობაში, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას.

აქტივების გამოყენების უფლება - ჯგუფი იჯარით იღებს ოფისს, საწვავის ბაზების შენობებს, საწყობებს, მიწას და იმ შენობა-ნაგებობებს, რომლებიც დაკავშირებულია ბენზინგასამართ სადგურებთან. იჯარისგან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი

აქტივების გამოყენების უფლება შეფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულებების თავდაპირველი შეფასების ოდენობას;
- საიჯარო გადასახადს, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლების გამოკლებით.
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯს; და

- საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით აქტივის აღდგენის ხარჯებს

აქტივების გამოყენების უფლება საერთოდ ცვეთას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ყველა იმ იჯარისთვის, სადაც ჯგუფი მეიჯარეა, იჯარის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთა ერიცხება 3-20 წლის განმავლობაში ოფისისს, საწვავის ბაზების შენობების, საწყობების და ბენზინგასამართ სადგურებთან დაკავშირებული მიწისა და შენობა-ნაგებობების იჯარის პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე

არამატერიალური აქტივები - ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიებისთვის სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს 1 წლიდან 15 წლამდე.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და გასვლის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმაღლესამდე.

აქტივების გაუფასურება - ყოველ საანგარიშო პერიოდის დასასრულს, კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, არის თუ არა ნიშანი იმისა, რომ აქტივებმა განიცადეს გაუფასურება. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება ფულადი სახსრების წარმომქმნელ უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებასა (გამოკლებული რეალიზაციის ღირებულება) და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მათ დღევანდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასება და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც არ დაკორექტებულა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დაუდგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების აღიარება. გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. . მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად შეფასების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, შეფასების დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში, ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ შეფასების დღეს აქტივისა და ვალდებულების ფასწარმოქმნისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების შეფასება იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი ამოსავალი მონაცემებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს ამოსავალი მონაცემები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება საწარმოს შეუძლია შეფასების დღეს;
- მე-2 დონის ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის ამოსავალ მონაცემებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებულ ოპერაციას.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამყარებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი, ამორტიზირებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის ის საზღაური, რომელიც გადავადდა წარმოშობისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები, საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი პირობები:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას საწვავის, გაზისა და სხვა საქონლის გაყიდვიდან. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება. ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გამოსყიდულია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაჰენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

იმ ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა მიწოდება უნდა მოხდეს რეგულირებით ან ბაზარზე შეთანხმებით დადგენილ ვადაში (რეგულარული ყიდვა-გაყიდვა), აისახება ვაჭრობის თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, რომელშიც ჯგუფი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდებას. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულების მხარე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას, ანაცვლებს იმავე გამსესხებელთან სხვა ფინანსური ვალდებულება, არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები . წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ასახულია მათი რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ასახულია, როგორც აქტივები მაშინ, როდესაც რეალური ღირებულება დადებითია და როგორც ვალდებულებები, როდესაც რეალური ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებებში ცვლილებები, წლის მოგება-ზარალშია შეყვანილი. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

გარკვეული ფინანსურ ვალდებულებებსა და სხვა არაფინანსურ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები განიხილება, როგორც ცალკე წარმოებული ინსტრუმენტები, როდესაც მათი რისკები და მახასიათებლები არ არიან მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად ხელშეკრულებასთან.

სავალუტო ფორვარდები, რომლებიც ჩართულია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში, განცალკევებულია ძირითადი ხელშეკრულებისგან და აღირიცხება ცალკე, თუ ხელშეკრულება არ არის დენომინირებული ხელშეკრულების ნებისმიერი არსებითი მხარის სამუშაო ვალუტაში ან ისეთ ვალუტაში, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც ტრანზაქციას აქვს ადგილი, როგორიცაა აშშ დოლარი და ევრო ხელშეკრულებებისთვის.

ჯგუფის მიერ გაფორმებული საწვავის პროდუქტების ხელშეკრულებები მოიცავს ცვალებადობას, რომელიც უკავშირდება სასაქონლო ბაზრის ფასს, ამრიგად, მოიცავს ჩართულ წარმოებულს, რომელიც არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად ფინასურ ვალდებულებასთან.

ჯგუფმა რეალური ღირებულების შესაძლებლობა აირჩია იმისათვის, რომ გაეცალკევებინა ჩართული წარმოებული ძირითადი ფინანსური ვალდებულებისგან და იმისათვის, რომ ყველა ჰიბრიდული ფინანსური ვალდებულების კლასიფიკაცია განეხორციელებინა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). FVTPL -ით კლასიფიცირებული ჰიბრიდული ფინანსური ვალდებულებების შემდგომი ცვლილებები კორექტირდება და დაიყვანება მარაგების თვითღირებულებამდე, იმის საფუძველზე, რომ მსგავსი ცვლილებები წარმოადგენს შესყიდვის ან იმ სხვა ხარჯების ნაწილს, რომელიც გაწეულია მარაგების ამჟამინდელ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობაში მისაყვანად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულად სახსრებს ბანკებში, შეზღუდულ ფულად სახსრებს, ფულად სახსრებს ტრანზიტში, დეპოზიტებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკის გაწევის და ღირებულებაში ცვლილების გარეშე დაუყოვნებლივ მოთხოვნის შესაძლებლობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შემდგომში შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება, აისახება ნომინალური ღირებულებით. არა-ანაზღაურებადი საპროგნოზო თანხების შესაბამისი ანარიცხი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული ანარიცხის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო შეფასებული ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი აღარებისას გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები- სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შევა ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) მოწოდებულია შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისთვის (12 თვიანი ECL). ისეთი საკრედიტო დაქვემდებარებისთვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ზარალის ანარიცხი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (ECL -ის არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში იქმნება 12 თვიანი ECL.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი ECL -ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ აღიარებს ზარალის ანარიცხს თითოეულ საანგარიშგებო დღეს ECL -ის არსებობის მანძილის საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა ანარიცხის მატრიცა, რომელიც ისტორიული

საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი პერსპექტიული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსთვის არის სპეციფიური. საწვავის გაყიდვის სავაჭრო მოთხოვნები ფასდება ჯგუფურად.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს დეფოლტის პარამეტრის ზღვრული ალბათობის რისკის პარამეტრებს, დეფოლტის შემთხვევაში რისკის მოცულობის პარამეტრს და დეფოლტით გამოწვეული ზარალის პარამეტრს. თუ საბაზო ნიშნულის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად იყენებს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებს. საბაზისო მიდგომის გამოყენების მიზნებისათვის ერთერთი მთავარი მონაცემია გარე რეიტინგები ან მათი საბაზისო ნიშნულები კონტრაჰენტის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის გამოყენებით. ჯგუფი გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას იკვლევს ღია წყაროების საშუალებით, მათ შორის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებგვერდებზე, როგორებიცაა „მუდის“(Moody's), „ფიტჩი“ (Fitch) და „სტანდარდ ენდ ფურზი“(S&Ps). თუ გარე რეიტინგი ხელმისაწვდომი არ არის, ჯგუფი მოიპოვებს კონტრაჰენტის ფინანსურ ანგარიშგებებს და საბაზისო რეიტინგს ადგენს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, „მუდის“ ფინანსური კოეფიციენტების კვლევის საშუალებით.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ თავდაპირველი აღიარებისას შესაბამის თარიღებში, თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ჯგუფი სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა ანარიცხის მატრიცის შექმნა. არა-ანაზღაურებადი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული სახელშეკრულებო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად

აქტივები, რომლების ამოღების შესაძლებლობა არ არსებობს, ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგება-ზარალის მიხედვით.

გაცემული სესხები - გაცემული სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მარაგები - ჯგუფის მარაგებს წარმოადგენს გადასაყიდად გამიზნული საწვავი და სხვა მარაგები. გადასაყიდად გამიზნული საწვავი პროდუქტები წარმოადგენს საბირჟო საქონელს, რომელიც შეძენილია ახლო მომავალში გასაყიდად, ფასის რყევების შედეგად მოგების წარმოქმნის მიზნით. ეს მარაგები თავდაპირველად აღიარდება ფორვარდული სასაქონლო ფასის საფუძველზე (რაც ნიშნავს ანგარიშსწორებისას შეფასებულ ფორვარდულ ფასს) და შემდგომში შეფასდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული რეალიზაციის თვითღირებულება, ცვლილებით რეალურ ღირებულებას გამოკლებულ რეალიზაციის თვითღირებულების მოგებაში ან ზარალში აღიარებით, ცვლილების განხორციელების პერიოდში.
სხვა მარაგები აღრიცხულია თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს შეფასებულ გასაყიდ ფასს საქმიანობის ნორმალურ პირობებში წარმოებისას, შემცირებული დასრულებისა და რეალიზაციის ხარჯებით.

სხვა მარაგების ღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში პრინციპის საფუძველზე.

ანარიცხები – ანარიცხები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის შედეგად, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. ანარიცხად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება

თუ ანარიცხის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ ფასდება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა არც ისე შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ სავარაუდოა ჯგუფის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება.

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად - ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი - სააქციო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები - დივიდენდები აღირიცხება საკუთარ კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები - მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით არა-ანაზღაურებადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არა-ფულადი სარგებელი (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება და საბავშვო ბაღი) დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები კანონით განსაზღვრულ, დადგენილშენატანიან სქემაში გახნორციელებული გადახდების მიღმა.

ცვლილებები წარდგენაში - წლის განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა ქირავნობის ხარჯების კლასიფიკაცია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ჯგუფს მიაჩნია, რომ ცვლილება იძლევა სარწმუნო და უფრო შესაბამის ინფორმაციას. ბასს 8-ის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად და შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარდგენის მიზნებისთვის გადაანგარიშების გავლენა შემდეგი იყო:

	თავდაპირველი წარდგენის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქირავნობის ხარჯი	3,176	(678)	2,498
შენახვის ხარჯი	-	678	678

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში 3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, განსჯისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებიდან მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და მასთან ასოცირებული დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასების განუსაზღვრელობის მთავრი წყაროები

<u>დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება.</u> ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

<u>იჯარები</u>-იმის განსაზღვრა, იჯარა მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი, დროდადრო წარმოადგენს ხელმძღვანელობის განჯის საკითხს, მსგავსი შეთანხმებების და მეიჯარეების გამოცდილების საფუძველზე, ხელმძღვანელობამ განსაკუთრებით ითვალისწინებს იჯარის შეთანხმების გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ხელმძღვანელობა გონივრულად დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს იჯარის გაგრძელების ან არ შეწყვეტის შესაძლებლობას. მაშინ, როდესაც იჯარაში არ არის გათვალიწინებული საპროცენტო განაკვეთი, ხელმძვანელობა იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

<u>გუდვილის გაუფასურება</u> - იმის დასადგენად, არის თუ არა გუდვილი გაუფასურებული, ფასდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გამოყენებული ღირებულება, რომელზეც მოხდა გუდვილის განაწილება. გამოყენებული ღირებულების გასაანგარიშებლად დირექტორები აფასებენ იმ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოიშვება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან და ადგენენ დისკონტირების განაკვეთს დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად.

<u>დაბეგვრა</u> - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო, ტრანზაქციები ამ უკანასკნელებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ანარიცხი არ შექმნილა. ანგარიშები საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა სამი წლის განმავლობაში.

სამართლებრივი დავების ანარიცხი - სამართლებრივი დავების ანარიცხი დადგენა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია. ამ პროცესში ხელმძღვანელობა განიხილავს სამართლებრივი დავების მოსალოდნელ შედეგებს და მხედველობაში იღებს ამ დავების გარემომცველ რისკებსა და განუსაზღვრელობებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ქმნის იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხავად, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მისი კლიენტებს არ აქვთ უნარი, განახორციელონ სავალდებულო გადახდები ან მაშინ, როდესაც მის მომწოდებლებს არ აქვთ უნარი, მიაწოდონ მას შეთანხმებული პროდუქტები ან მომსახურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას, ხელმძღვანელობა დასკვნებს აკეთებს მიმდინარე ზოგადი ეკონომიკური გარემოებების, მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ვადების, ჩამოწერების ისტორიული გამოცდილების, კლიენტისა და მომწოდებლის საკრედიტო ხარისხისა და გადახდის პირობების ცვლილებების საფუძველზე. ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტული კლიენტისა და მომწოდებლის გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გააჩინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირების აუცილებლობა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 835 ათასი ლარით ან მისი შემცირება 683 ათასი ლარით (2020 წ. გაზრდა 710 ათასი ლარით ან შემცირება 581 ათასი ლარით).

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება - იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში შეყვანილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობ გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

შენობების იჯარებისთვის, ტიპიურად შემდეგი ფაქტორებია ყველაზე შესაბამისი:

- თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, ჯგუფს აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).

- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, ჯგუფს გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე)

სხვაგვარად, ჯგუფი ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს, რომელიც აუცილებელია იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად.

<u>იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები.</u>
მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსასაზღვრად ჯგუფი იყენებს მისი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს აშშ დოლარში დენომინირებული იჯარებისთვის, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს და მესამე მხარეების საფინანსო განაკვეთი იმ იჯარებისთვის, რომლებიც დენომინირებულია ქართულ ლარში, როგორც ეს განმარტებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (სებ).

დისკონტირების განაკვეთის 10%-ით ზრდა ან შემცირება 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, გამოიწვევდა საიჯარო ვალდებულებების შემცირებას 3,782 ათასი ლარით ან ზრდას 4,412 ათასი ლარით (2020 წლის 31 დეკემბერი ₾3,246 ათასი და ₾3,720 ათასი).

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგე დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
ამ შესწორებებმა მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს საიჯარო ქირის დათმობის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ საიჯარო ქირის დათმობებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება.

ჯგუფმა მეიჯარეებთან მოლაპარაკებები აწარმოა სხვადასხვა საიჯარო ქირის დათმობებზე საკუთრების იჯარებისთვის, მაგრამ არ გამოუყენებია არასავალდებულო შეღავათი. საიჯარო ქირის დათმობები, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-თან 2021 და 2020 წლის განმავლობაში, აღირიცხა , როგორც იჯარის მოდიფიკაცია. ამ მოდიფიკაციების გავლენა წარმოდგენილია შენიშვნა 13-ში.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც. *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

IBOR-ის რეფორმის გავლენა. სხვადასხვა ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთების („IBORs“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული USD LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

ჯგუფს არ აქვს სესხი IBOR განაკვეთით, შესაბამისად, შესწორებები არ ახდენს გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით.

ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)
ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ" მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების" მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3-ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა

გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია შემდეგი შესწორებები ფასს 17-სთვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.

- *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე.

ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; სწარამოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფის მის ამონაგებს აწარმოებს საქონლისა და მომსახურების გადაცემით დროის ერთ მომენტში. 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ამონაგები შედგებოდა შემდეგისგან:

	2021	2020
ამონაგები საწვავის გაყიდვიდან	667,129	450,405
ამონაგები გაყიდვის ობიექტებიდან	35,593	28,074
ამონაგები გაზის გაყიდვიდან	3,321	2,966
სხვა	2	1
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**706,045**	**481,446**

8. რეალიზაციის თვითღირებულება

2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2021	2020
საწვავის თვითღირებულება	598,990	392,056
გაყიდვის ობიექტებში მარაგების თვითღირებულება	26,404	20,924
გაზის თვითღირებულება	2,306	2,337
სხვა	2	1
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	**627,702**	**415,318**

9. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები მოიცავდა:

	2021	2020
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	17,245	15,189
ცვეთის ხარჯი	6,610	6,106
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	4,390	3,558
ქირის ხარჯი (მოკლევადიანი იჯარები და ცვლადი გადახდები)	2,523	2,498
სარეკლამო ხარჯი	3,916	2,813
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	2,414	1,879
კომუნალური ხარჯები	2,759	1,734
ტრანსპორტირება	1,470	996
საბანკო მომსახურების დანახარჯები	1,309	741
შენახვის ხარჯები	695	678
საწვავი	662	413
სხვა	104	85
სულ გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	**44,097**	**36,690**

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2021	2020
სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	10,571	8,944
ხელმძღვანელობის საფასური	1,742	1,686
საკანცელარიო მასალები	1,013	1,313
პროფესიული მომსახურება	860	625
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	884	727
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	820	869
დაზღვევა	650	607
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	531	437
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	344	980
საბანკო მომსახურების დანახარჯები	312	290
აუდიტის საფასური	248	276
უსაფრთხოების ხარჯი	222	189
ქირის ხარჯი (მოკლევადიანი იჯარები და ცვლადი გადახდები)	190	161
სხვა	1,004	735
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**19,390**	**17,839**

11. სხვა შემოსავალი/ (ხარჯი), ნეტო

2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის სხვა შემოსავალი/ (ხარჯი) მოიცავდა:

	2021	2020
საწვავის შენახვის ნამეტი, ნეტო	2,492	1,472
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	747	472
COVID-19-თან დაკავშირებული მოგების გადასახადის სარგებელი	535	898
ქირავნობის შემოსავალი	454	391
სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის ნამეტი, ნეტო	109	315
დაზღვევის კომპენსაცია	144	20
სხვა	786	527
სხვა შემოსავალი	**5,267**	**4,095**
ქველმოქმედება	(210)	(376)
ჯარიმები	(71)	-
სხვა	(324)	(426)
სხვა ხარჯი	**(605)**	**(802)**
სულ, ნეტო	**4,662**	**3,293**

მოგების გადასახადის სარგებელი, რომელიც ეხება COVID-19-ს, უკავშირდება შესწორებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსში. 2021 წლის პირველი იანვრიდან და 2021 წლის 31 მაისამდე (2020 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე) 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამსაქმებელს უფლება ჰქონდა შეემცირებინა (არ გადაეხადა) გადასახადის დაკავება (გადახდის წყაროსთან დაბეგვრა) დაქირავებული თანამშრომლისთვის 750 ლარის ოდენობის ხელფასის გადახდისთვის, თუ დაქირავებული თანამშრომელის მიერ იგივე დამქირავებლისგან მიღებული ხელფასი კალენდარული თვის განმავლობაში არ აღემატება 1500 ლარს.

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	საიჯარო გაუმჯობესებები	სხვა გრძელვადიანი აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება									
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,862**	**42,405**	**10,723**	**5,008**	**8,666**	**10,927**	**7,360**	**390**	**116,341**
დამატებები	33	1,126	1,106	443	802	-	345	2,469	6,324
გასვლები	-	(5)	(56)	-	(33)	(91)	(10)	-	(195)
ტრანსფერები	-	71	125	(37)	154	1,903	267	(2,483)	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,895**	**43,597**	**11,898**	**5,414**	**9,589**	**12,739**	**7,962**	**376**	**122,470**
შვილობილი საწარმოს შეძენა	36,782	1,097.00	-	-	26	-	-	-	37,905
დამატებები	107	462	2,069	960	1,302	160	897	3,388	9,345
გასვლები	-	(19)	(96)	(126)	(872)	(203)	(43)	-	(1,359)
ტრანსფერები	-	1,405	80	-	172	1,043	304	(3,004)	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**67,784**	**46,542**	**13,951**	**6,248**	**10,217**	**13,739**	**9,120**	**760**	**168,361**
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**17,789**	**6,960**	**3,780**	**6,570**	**5,770**	**4,452**	-	**45,321**
წლის დარიცხვა	-	2,651	959	396	716	1,188	481	-	6,391
გასვლისას ელიმინირებული	-	-	-	(38)	(41)	(71)	(6)		(156)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**20,440**	**7,919**	**4,138**	**7,245**	**6,887**	**4,927**	-	**51,556**
წლის დარიცხვა	-	2,837	1,157	448	860	1,308	511	-	7,121
გასვლისას ელიმინირებული	-	(17)	(238)	(125)	(848)	(106)	(23)	-	(1,357)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**23,260**	**8,838**	**4,461**	**7,257**	**8,089**	**5,415**	-	**57,320**
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**67,784**	**23,282**	**5,113**	**1,787**	**2,960**	**5,650**	**3,705**	**760**	**111,041**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,895**	**23,157**	**3,979**	**1,276**	**2,344**	**5,852**	**3,035**	**376**	**70,914**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,862**	**24,616**	**3,763**	**1,228**	**2,096**	**5,157**	**2,908**	**390**	**71,020**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ძირითადი საშუალებები, 28,091 ათასი და 37,335 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, შესაბამისად, გამოყენებული ჰქონდა საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა 23).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილმა აქტივებმა შეადგინა 23,534 ათასი და 23,359 ათასი ლარი, შესაბამისად. სრულად გაცვეთილი აქტივები აქტივების ჯგუფების მიხედვით, შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შენობა-ნაგებობები	2,780	2,938
საიჯარო გაუმჯობესებები	4,353	4,229
მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობა	5,314	6,929
საოფისე აღჭურვილობა	4,690	1,986
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,941	3,788
ავტომობილები	3,457	3,261
სულ	**23,535**	**23,131**

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ბენზინგასამართი სადგურები	სერვის ცენტრები	სხვა	სულ
ღირებულება						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**363**	**1,215**	**19,894**	**441**	**89**	**22,002**
დამატებები	-	-	6,603	-	243	6,846
გასვლები	-	-	(1,234)	-	-	(1,234)
მოდიფიკაცია	-	(109)	2,194	-	-	2,085
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**363**	**1,106**	**27,457**	**441**	**332**	**29,699**
დამატებები	-	-	1,442	-	-	1,442
გასვლები	-	-	(76)	-	-	(76)
მოდიფიკაცია	-	1,824	6,986	-	355	9,165
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**363**	**2,930**	**35,809**	**441**	**687**	**40,230**
დაგროვილი ცვეთა						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**102**	**606**	**2,741**	**76**	**39**	**3,564**
წლის დარიცხვა	56	500	3,372	132	225	4,285
გასვლისას ელიმინირებული	-	-	(202)	-	-	(202)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**158**	**1,106**	**5,911**	**208**	**264**	**7,647**
წლის დარიცხვა	56	733	4,098	132	255	5,274
გასვლისას ელიმინირებული	-	-	(10)	-	-	(10)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**214**	**1,839**	**9,999**	**340**	**519**	**12,911**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**149**	**1,091**	**25,810**	**101**	**168**	**27,319**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**205**	**-**	**21,546**	**233**	**68**	**22,052**

ჯგუფმა აღიარა საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	5,904	3,911
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	25,551	23,177
სულ	**31,455**	**27,088**

საიჯარო ვალდებულებებში მოძრაობები 2021 და 2020 წლების განმავლობაში იყო შემდეგი:

	2021	2020
საიჯარო ვალდებულება 1 იანვარს	**27,088**	**20,557**
საიჯარო ვალდებულების აღიარება	1,442	6,846
საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო დანახარჯი	2,573	2,021
ვალუტის კურსის გავლენა	(1,364)	2,403
საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა	(71)	(1,036)
იჯარის მოდიფიკაცია	9,281	2,011
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(2,592)	(2,002)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(4,902)	(3,712)
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**31,455**	**27,088**

აქტივის გამოყენების უფლების შეწონილი საშუალო იჯარის ვადა 6.75 წელია (2020: 6 წელი) და საიჯარო ვალდებულებებში გამოყენებული მოიჯარის შეწონილი საშუალო ზღვრული სასესხო განაკვეთი არის 7.88% (2020: 8.28%).

მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები	2021	2020
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	5,274	4,285
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	2,573	2,021
ხარჯი, რომელიც უკავშირდება ისეთ გადახდებს, რომლებიც არ არის შეყვანილი საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში	3,409	3,337
სულ	**11,256**	**9,643**

14. გუდვილი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილის ღირებულება იყო 2,436 ათასი ლარი.

გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც წარმოადგენს ჯგუფში უდაბლეს დონეს (ბენზინგასამართი სადგურები), რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი ხელმძღვანელობის მხრიდან.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებული ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე, რომელშიც გამოყენებული იყო ხუთწლიან პერიოდზე ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტებით მიღებული ფულადი ნაკადების პროგნოზი.ხუთწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადები ექსტრაპოლირდება ქვემოთ აღნიშნული შეფასებული ზრდის განაკვეთებით. ზრდის განაკვეთები

არ აჭარბებს ეკონომიკის იმ სექტორის გრძელვადიან საშუალო ზრდის მაჩვენებლებს, რომლებშიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები ოპერირებს.

იმ გამოყენებული ღირებულებების გასაანგარიშებელი დაშვებები, რომელთა მიმართ ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მეტ მგრძნობელობას ამჟღავნებს, მოიცავს საოპერაციო ფულადი ნაკადების საშუალო კლების განაკვეთს ხუთი წლის განმავლობაში - წლიური 4.6%, საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდის განაკვეთი ხუთი წლის შემდეგ - წლიური 2.5%, გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთი - წლიური 13.75%.

ხელმძღვანელობამ დაგეგმილი ფულადი ნაკადები განსაზღვრა ისტორიული შედეგებისა და ბაზრის მოლოდინების გათვალისწინებით. გამოყენებული დისკონტირებული განაკვეთები დაბეგვრამდეა და ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებულ სპეციფიურ რისკებს.

15. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, ამავე წლებში დარიცხული ამორტიზაცია შეადგენდა 20 ათას და 152 ათას ლარს, შესაბამისად.

16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში იყო:

		2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების წილი	საბალანსო ღირებულება	საკუთრების წილი	საბალანსო ღირებულება
„შპს არსენალი“	საკუთრების ფლობა	50.00%	406	50.00%	1,424
შპს „გიორგი 96“	საკუთრების ფლობა	49.50%	928	49.50%	926
შპს „ემჯი“	საკუთრების ფლობა	40.00%	890	40.00%	1,003
შპს „ვიპ ნუკოილი“	საკუთრების ფლობა	50.00%	402	50.00%	515
შპს „ნიაზი“	საკუთრების ფლობა	32.00%	133	32.00%	226
შპს „კარე +“	საკუთრების ფლობა	50.00%	125	50.00%	131
			2,884		**4,225**

ყველა მეკავშირე საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოა.

ხელმძღვანელობამ შეაფასა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ამოღებადობა და დაასკვნა, რომ მათი სრულად ამოღება შესაძლებელია. ჯგუფი ახლო მომავალში გეგმავს ამ მეკავშირე ინვესტიციებში შესული ბენზინგასამართი სადგურების განვითარებასა და ოპერირებას.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, მოძრაობა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებულ ინვესტიციებში იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი წლის დასაწყისში	4,226	3,926
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	747	472
მიღებული დივიდენდები	(2,089)	(173)
ნაშთი წლის ბოლოს	**2,884**	**4,225**

ქვემოთ მოცემულია დაჯამებული ფინანსური ინფორმაცია ჯგუფის მეკავშირე საწარმოების შესახებ:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სულ აქტივები	3,378	3,290
სულ ვალდებულებები	(481)	(324)
წმინდა აქტივები	2,897	2,966
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში	**1,385**	**1,398**

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სულ ამონაგები	1,884	1,313
წმინდა მოგება	1,784	1,132
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა მოგებაში	**747**	**472**

17. მარაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საწვავი	49,207	39,922
მარაგები სავაჭრო ობიექტებში	5,710	4,337
სათადარიგო ნაწილები და მასალები	251	248
სხვა	4,387	2,946
სულ მარაგები	**59,554**	**47,453**

ჯგუფმა ბანკიდან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად საწვავის სრული მარაგი დააგირავა (იხილეთ შენიშვნა 23).

18. გაცემული სესხები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
კომპანიებზე გაცემული სესხები	-	61,146
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	382	425
სულ	**382**	**61,571**
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	364	414
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	18	61,157

გაცემული სესხები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიებმა „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ", შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსმა" და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ" ხელი მოაწერეს სამმხრივ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, მანამდე ჯგუფთან დაკავშირებულ მხარეზე, „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ"-ზე გაცემული სესხი გადაეცა სხვა დაკავშირებულ მხარეს, შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსს".

2021 წლის 15 ოქტომბერს, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჯგუფის მიერ მოხდება აღნიშნული სესხის სრული ოდენობის ანგარიშსწორება, შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენსის 100% -ით ფლობის გზით, კომპანიის, რომელიც თავის მხრივ შპს ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსის მიერ არის სრულად ფლობილი. შესაბამისად, სესხი, დარიცხულ პროცენტთან ერთად, მთლიანად დაფარული იქნება. საწარმოთა გაერთიანების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	24,906	13,879
სხვა მოთხოვნები	2,448	2,538
	27,354	**16,417**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(6,444)	(6,100)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**20,910**	**10,317**

ჯგუფი საცალო კლიენტებთან ნაღდი ანგარიშსწორებით ვაჭრობას აწარმოებს. ყველა საბითუმო და კორპორატიული კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის დამტკიცების პროცედურებს გადის, რაც ხელს უწყობს კარგი კრედიტუნარიანობის კლიენტების პორტფელის შექმნას.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის განსაზღვრისას, ჯგუფი ამოწმებს, ხომ არ მომხდარა მის საკრედიტო ხარისხში რაიმე ცვლილება კრედიტის მინიჭების დღიდან საანგარიშგებო დღემდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტების ბაზა დიდია და არაერთგვაროვანი.

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**(6,100)**	**(5,148)**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(344)	(952)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერა	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ანაზღაურება	-	-
ნაშთი	**(6,444)**	**(6,100)**

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი:

2021 წლის 31 დეკემბერი	არა ვადაგადაც ილებული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაც ილებით	- 30-90 დღის ვადაგადაც ილებით	- 91-180 დღის ვადაგადაც ილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაც ილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	19,178	838	413	328	6,598	27,354
POD %	1%	11%	29%	20%	90%	24%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე	(198)	(94)	(120)	(65)	(5,967)	(6,444)

2020 წლის 31 დეკემბერი	არა ვადაგადაც ილებული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაც ილებით	- 30-90 დღის ვადაგადაც ილებით	- 91-180 დღის ვადაგადაც ილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაც ილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	9,063	450	132	112	6,660	**16,417**
POD %	1%	7%	16%	5%	90%	37%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე	(65)	(31)	(21)	(6)	(5,977)	**(6,100)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკის რეიტინგის განმარტებები:

	2021 წლის 31 დეკემბერი		
	მეორე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- არა კრედიტ-გაუფასურებული	მესამე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- კრედიტ-გაუფასურებული	სულ
არა ვადაგადაცილებული	19,178	-	19,178
0-30 ვადაგადაცილებით	838	-	838
30-90 ვადაგადაცილებით	413	-	412
90-180 ვადაგადაცილებით	-	328	328
180> ვადაგადაცილებით	-	6,597	6,597
სულ	**20,429**	**6,925**	**27,354**

	2020 წლის 31 დეკემბერი		
	მეორე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- არა კრედიტ-გაუფასურებული	მესამე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- კრედიტ-გაუფასურებული	სულ
არა ვადაგადაცილებული	9,063	-	9,063
0-30 ვადაგადაცილებით	450	-	450
30-90 ვადაგადაცილებით	132	-	132
90-180 ვადაგადაცილებით	-	112	112
180> ვადაგადაცილებით	-	6,660	6,660
სულ	**9,645**	**6,772**	**16,417**

20. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ავანსები საქონლის მიწოდებისათვის	1,750	1,261
სხვა ავანსები	3,490	768
	5,240	**2,029**

21. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2021 და 2020 წლის მდგომარეობით ფულადი ნაკადები და მათი ეკვივალენტები იყო შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	296	199
მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები	31,466	6,953
ნაღდი ფული ტრანზიტში	776	372
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**32,538**	**7,524**

მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები განთავსებულია 2 ქართულ ბანკში, რომლებსაც Fitch-ის სარეიტინგო სისტემის მიხედვით, მინიჭებული აქვს BB- რეიტინგი. დენომინაციის ვალუტის დეტალებისთვის, იხილეთ შენიშვნა 27.

22. კაპიტალში განხორციელებული შენატანი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავტორიზებული და გადახდილი კაპიტალი იყო 49,385 ათასი ლარი. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩურ ჰოლდინგსი".

2021 წლის განმავლობაში განაწილებული დივიდენდები 333 ათასი ლარის ტოლია (2020 წელს 6,361 ათასი ლარი).

2021 წლის 15 დეკემბერს შპს „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩურ ჰოლდინგზე" გაცემული სესხი განხორციელდა ჯგუფში აქტივების შეძენისა და კაპიტალის შემცირების გზით. კაპიტალის შემცირებამ, რასაც მოჰყვა ეს ოპერაცია, შეადგინა 6,090 ათასი აშშ დოლარი (18,866 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 30 ამ ოპერაციის შესახებ დამატებითი დეტალებისთვის.

23. სესხები და ნასესხები სახსრები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები და ნასესხები სახსრები იყო შემდეგი:

უზრუნველყოფილი სესხები და ნასესხები სახსრები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საქართველოს ბანკი 7819448	აშშ დოლარი	5.90%	თებ--22	29,129	-
პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედი	აშშ დოლარი	4.25%	თებ--26	17,555	22,695
ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედი	აშშ დოლარი	4.50%	ნოე-22	18,658	9,904
თიბისი ბანკი - 2135388-10731339	აშშ დოლარი	6.5%	ნოე-22	18,518	12,203
თიბისი ბანკი - 2135388-9842150	აშშ დოლარი	8.02%	ნოე- 22	8,939	270
თიბისი ბანკი - 2135388-8630397	აშშ დოლარი	9.70%	ოქტ-22	849	1,728
საქართველოს ბანკი – 1123288	აშშ დოლარი	10.00%	აპრ-21	-	965
საქართველოს ბანკი – 6984741	აშშ დოლარი	5.90%	თებ-21	-	13,119
სულ სესხები და ნასესხები სახსრები				**93,648**	**60,884**
სესხების და ნასესხები სახსრების მოკლევადიანი წილი				79,994	42,315
სესხების და ნასესხები სახსრების გრძელვადიანი წილი				13,654	18,569

2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა მნიშვნელოვნად გაზარდა სესხები, რაც ძირითადად დაკავშირებულია მსოფლიო ბაზარზე საწვავის შესყიდვის გაზრდილ ფასებთან, წინა პერიოდთან შედარებით. წინა წელთან შედარებით ჯგუფს ასევე ჰქონდა მარაგებისა და შესყიდვების ზრდა, რაც დაკავშირებულია სესხების ზრდასთან.

მოყვანილი ცხრილი დეტალურად ასახავს ჯგუფის ნასესხები სახსრების ცვლილებებს, მათ შორის როგორც ფულად, ასევე არაფულად ცვლილებებს:

	2021	2020
სესხებისა და ნასესხები სახსრების ნაშთები 1 იანვრის მდგომარეობით	**60,880**	**70,426**
სესხებისა და ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	334,075	239,423
საპროცენტო ხარჯი	4,172	3,526
სავალუტო კურსების ცვლილების გავლენა	(3,388)	6,482
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(3,880)	(4,024)
დაფარვა	(298,211)	(254,953)
სესხებისა და ნასესხები სახსრების ნაშთები 31 დეკემბრის	**93,648**	**60,880**

სესხების და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ერთ თვეში	18,762	107
ერთიდან სამ თვემდე	30,237	15,954
სამიდან თორმეტ თვემდე	30,995	26,254
სულ ერთ წელიწადში დასაფარი მიმდინარე ნაწილი	**79,994**	**42,315**
ერთიდან ხუთ წლამდე	13,654	18,569
სულ სესხები და ნასესხები სახსრები	**93,648**	**60,884**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი შესაბამისობაში იყო სს „თიბისი ბანკთან“ და სს „საქართველოს ბანკთან“ არსებული სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი ლევერიჯის კოეფიციენტებთან მიმართებაში.

სესხები და ნასესხები სახსრები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 12) და მარაგებით (შენიშვნა 17).

24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები იყო შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება საწვავზე	44,686	39,798
სავაჭრო ობიექტებში არსებული მარაგების სავაჭრო ვალდებულება	2,503	2,383
ცვლადი და მოკლევადიანი ქირავნობის ვალდებულება	296	3,152
გაზის სავაჭრო ვალდებულება	284	209
სხვა	2,382	2,825
	50,151	**48,367**

25. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მას აძლევს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეიძინოს საწვავი რეალური ღირებულებით, 5,895 ათასი ლარის ოდენობით ((2020: 11,074 ათასი ლარი) დაკავშირებული მხარეებისგან. ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება უფლებით სარგებლობა, არ არის შეზღუდული.

26. მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საწვავზე მიღებული ავანსები	8,970	8,580
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	644	260
ხელფასის დარიცხვა	165	115
სხვა მიღებული ავანსები	56	57
სხვა ვალდებულებები	395	701
	10,230	**9,713**

საწვავისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს კლიენტებისგან მიღებულ ფულად ანაზღაურებას, რომელიც განხორციელდა გალფის ბარათებითა და კუპონებით, რომელთა სანაცვლოდ, ჯგუფს ნაკისრი აქვს მომავალში კლიენტისათვის საწვავის გადაცემის ვალდებულება. 2021 და 2020 წლების მდგომარეობით, მოძრაობა მიღებულ ავანსებში შემდეგია:

	2021	2020
1 იანვარს	**8,580**	**6,712**
წლის განმავლობაში მიღებული ავანსები	142,604	97,454
წლის განმავლობაში ამონაგებად აღიარებული	(142,214)	(95,586)
31 დეკემბერს	**8,970**	**8,580**

27. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ გარიგებაში. ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და რეალური ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაჰენტის

საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი, მითითებული დაფარვის ვადების მქონე ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება გამოთვლილი იყო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან. . ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა 1 დონის შეფასების გამოყენებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მე-3 დონის შეფასების გამოყენებით.

კაპიტალის რისკის მართვა. ჯგუფი განაგებს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფის საწარმოებმა შეძლონ გააგრძელონ საქმიანობა, როგორ ფუნქციონირებადმა საწარმოებმა და ამავდროულად კაპიტალის მფლობელისთვის, სესხისა და კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით უკუგების მაქსიმალურად გაზრდისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ამ განხილვის შედეგების საფუძველზე, ჯგუფი იღებს ზომებს კაპიტალის მთლიანი სტრუქტურის დაბალანსებისთვის დივიდენდების, ახალი აქციების გამოშვების, აგრეთვე ახალი სესხებისა და ნასესხები სახსრების ან არსებული სესხებისა და ნასესხები სახსრების გამოსყიდვის გზით.

ვალდებულების სახით მიღებული კაპიტალის კოეფიციენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სესხები და ნასესხები სახსრები	23	93,648	60,884
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21	(32,537)	(7,524)
წმინდა ნასესხები სახსრები		**61,111**	**53,360**
კაპიტალი	22	**71,716**	**71,805**
წმინდა ვალის თანაფარდობა კაპიტალთან		85.2%	74.3%

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც შემცირებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	20,910	10,317
გაცემული სესხები	18	18	61,571
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21	32,538	7,524
სულ ფინანსური აქტივები		**53,466**	**79,412**

		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	55,420	59,441
სესხები და ნასესხები სახსრები	23	93,648	60,884
საიჯარო ვალდებულებები	13	32,081	26,843
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		291	432
სულ ფინანსური ვალდებულებები		**181,440**	**147,600**

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკისადმი დაქვემდებარების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარს	**ევრო** 1 ევრო = 3.5040 ლარს	**აშშ დოლარი** 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარს	**ევრო** 1 ევრო = 4.0233 ლარს
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	382	-	61,571	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,548	-	2,367	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,981	-	1,037	-
სულ ფინანსური აქტივები	**36,911**	**-**	**64,975**	**-**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	35,517	152	37,785	267
სესხები და ნასესხები სახსრები	93,693	-	60,884	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	290	-	434
სულ ფინანსური ვალდებულებები	**129,210**	**442**	**98,669**	**701**
სულ წმინდა პოზიცია	**(92,299)**	**(442)**	**(33,694)**	**(701)**

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2021 და 2020 წლის

31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად მუხლებს:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD გავლენა		EUR გავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL – 20%
გავლენა მოგება-ზარალსა და კაპიტალზე	18,460	(18,460)	88	(88)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD გავლენა		EUR გავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL – 20%
გავლენა მოგება-ზარალსა და კაპიტალზე	(6,738)	6,738	(140)	140

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით.

	ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2021 წლის 31 დეკ.						
სულ ფინანსური აქტივები	32,538	20,910	18	364	-	53,830
სულ ფინანსური ვალდებულებები	59,120	35,755	40,549	28,647	11,184	175,255
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა	**(26,582)**	**(14,845)**	**(40,531)**	**(28,283)**	**(11,184)**	**(121,425)**
2020 წ/ 31 დეკ.						
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,524	10,317	61,157	414	-	79,412
სულ ფინანსური ვალდებულებები	47,819	22,079	35,676	32,510	9,437	147,521
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა	**(40,295)**	**(11,762)**	**25,481**	**(32,096)**	**(9,437)**	**(68,109)**

2021 წლის 31 დეკემბერს, საპროცენტო განაკვეთები იმ თარიღისთვის რომ ყოფილიყო 200 საბაზისო პუნქტით დაბალი (2020: 200 საბაზისო პუნქტით დაბალი), ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, პერიოდის მოგება იქნებოდა 2,507 ლარით (2020: 528 ლარით) მეტი, ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე ნაკლები საპროცენტო ხარჯის შედეგად.

საპროცენტო განაკვეთები რომ ყოფილიყო 200 საბაზისო პუნქტით მაღალი (2020: 200 საბაზისო პუნქტით მაღალი), ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შეთხვევაში, მოგება იქნებოდა 2,507 ლარით (2020: 528 ლარი) დაბალი, ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე უფრო მაღალი საპროცენტო ხარჯის შედეგად.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა შეიძლება განიცადოს დეფოლტი, ან არ შეასრულოს ჯგუფის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები დროულად, რაც ჯგუფისთვის გამოიწვევს ფინანსურ ზარალს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დაქვემდებარებას. ჯგუფი მუშაობს საცალო და საბითუმო სექტორში. საცალო ვაჭრობის სექტორში გაყიდვები ხორციელდება წინასწარი გადახდის საფუძველზე. საბითუმო სექტორში ყველა კლიენტი გადის კლიენტის მიღების პროცედურებს ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და შედეგად ირჩევა მხოლოდ კრედიტუნარიანი კლიენტები. ჯგუფი ასევე აწესებს საკრედიტო ზღვრებს თავის კლიენტებზე.

საკრედიტო რისკის შეფასება

საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან რისკიდისადმი დაქვემდებარება ბაზრის პირობების ცვლილებებთან, მოსალოდნელ ფულად ნაკადებთან და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე, შესაბამისი ზარალის კოეფიციენტებსა და კონტრაჰენტებს შორის დეფოლტის ურთიერთკავშირზე. ჯგუფის საკრედიტო რისკს აფასებს` დეფოლტის ალბათობით (PD), რისკისადმი დაქვემდებარებით დეფოლტისას (EAD) და `დეფოლტით გამოწვეული ზარალით (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებული მიდგომის მსგავსია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

<u>ზოგადი მიდგომა</u>

ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზოგადი მოდელის პრინციპია, რომ მოდელში უნდა აისახოს ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო ხარისხის ცვლილების სურათი მისი მიღების შემდეგ, რაც საშუალებას მისცემს საწარმოს, დროულად მოახდინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) აღიარება. აღიარებული მსზ-ის ოდენობა დამოკიდებულია საწყისი აღიარების შემდეგ კრედიტის გაუარესების მასშტაბზე. სტანდარტში გათვალისწინებულია მსზ-ის გაზომვის ორი საფუძველი(12 თვიანი და არსებობის მანძილზე მსზ) და საპროცენტო შემოსავლის აღიარების ორი მეთოდი. ეტაპები საბაზრო ტერმინია, რომელიც აღნიშნავს შეფასების საფუძველს და საპროცენტო შემოსავლის აღიარების მეთოდის არჩევის პროცესს კონკრეტული რისკების მიმართ დაქვემდებარებისა თუ მათი ჯგუფის შემთხვევაში.

სტანდარტით მოცემული პრინციპების მიხედვით, რისკებისადმი დაქვემდებარება კლასიფიცირდება სამიდან ერთერთ ეტაპზე და შესაბამისად აისახება:

პირველი ეტაპი: ჯგუფი რისკისადმი დაქვემდებარებას პირველ ეტაპზე ათავსებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი საწყისი აღიარებისას კრედიტგაუფასურებული არ იყო. 12 თვიანი მსზ და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე პირველი ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

მეორე ეტაპი: რისკისადმი დაქვემდებარება მეორე ეტაპზე კლასიფიცირდება, თუ დადგინდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი კრედიტ-გაუფასურებულად არ ითვლება. მსზ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე მეორე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის

მესამე ეტაპი: მესამე ეტაპის ინსტრუმენტებში თავსდება ის რისკისადმი დაქვემდებარებები, რომელზეც შეიმჩნევა კრედიტგაუფასურების ინდიკატორების არსებობა. მსზ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებულ ღირებულებაზე მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ზოგადი მიდგომა გამოიყენება ჯგუფის მიერ ფლობილ შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- ნაღდი ფული ბანკებში
- გაცემული სესხები
- ამორტიზებული ღირებულებით ასახული სხვა სავალო ინსტრუმენტები

ჯგუფს ამჟამად სხვა სავალო ინსტრუმენტები არ გააჩნია. ამდენად, ეს დოკუმენტი მსზ-ის შეფასებაზე დამატებით ინფორმაციას არ იძლევა. ყველა შემთხვევაში, მომავალში, სხვა სავალო ინსტრუმენტებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება გაცემულ სესხებზე და ბანკებში განთავსებულ ნაღდ ფულზე გამოყენებული მიდგომით.

<u>გამარტივებული მიდგომა</u>

სავაჭრო მოთხოვნებისა თუ სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს არ მოიცავს, ჯგუფი ვალდებულია, გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა. სავაჭრო მოთხოვნებისა თუ საკონტრაქტო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს მოიცავს, ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს გამარტივებულ და ზოგად მიდგომას შორის. გამოყენების შემთხვევაში (არჩევითი თუ სავალდებულო ვარიანტის დროს), მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე გამოითვლება მთელი პორტფელისათვის, იმის გამოთვლის გარეშე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ.

გამარტივებული მიდგომით, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ათავსებს ან მეორე ან მესამე ეტაპზე. ჯგუფი გამარტივებულ მიდგომას იყენებს შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- მოთხოვნები საწვავიდან
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები
- სხვა აქტივები (ფასს 15-ით - საკონტრაქტო აქტივები).

ფასს 9-ზე გადასვლის თარიღისათვის ჯგუფს სხვა ფინანსური აქტივები არ გააჩნია.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნება ორ ზოგად კრიტერიუმს, ანუ რისკისადმი დაქვემდებარება დეფოლტად ითვლება, ყოველთვის, როდესაც:

- რისკისადმი დაქვემდებარება 90 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული,(DPD90), ან
- სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.

ჯგუფში ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის გამოყენებული დეფოლტის განსაზღვრება შეესაბამება შიდა მართვის მიზნებისათვის გამოყენებულ განსაზღვრებას. დეფოლტირებულად ჩათვლილი რისკისადმი დაქვემდებარებები მესამე ეტაპზე თავსდება.

ეტაპებზე განაწილების წესები

ჯგუფი რისკისადმი დაქვემდებარებებს ეტაპებზე ანაწილებს თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებებზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი მოიცავს:

ფინანსური აქტივების კლასი	ეტაპი 3	ეტაპი 2	ეტაპი 1
სავაჭრო მოთხოვნები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
სხვა მოთხოვნები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
საბანკო დეპოზიტები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე. კონტრაჰენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუარესდა (2 პუნქტით)	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს, თავსდება პირველ ეტაპზე.
გაცემული სესხები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე. კონტრაჰენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუარესდა (2 პუნქტით)	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს, თავსდება პირველ ეტაპზე.

რისკის პარამეტრების შეფასების მიდგომა

მოსალოდნელი ზარალი შესაფასებლად ჯგუფი ფორმულაზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს, რომელიც უშვებს, რომ კონკრეტული ფინანსური აქტივის ზარალის მოსალოდნელი ღირებულება ამავე აქტივთან დაკავშირებული დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული ზარალისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრების ნამრავლის ტოლია.

ჯგუფი რისკის პარამეტრებს აფასებს ან ინდივიდუალურად, საბაზისო ნიშნულის მიდგომით, ან ჯგუფურად, ისტორიული გამოცდილებით.

ზარალის ანარიცხების აღიარებისა და შეფასების მიზნით, ჯგუფი რისკისადმი დაქვემდებარებას თვლის ან ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ.

რისკისადმი დაქვემდებარება მნიშვნელოვნად ითვლება, თუ კონტრაჰენტის მთლიანი რისკისადმი დაქვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი რაოდენობის თვეების განმავლობაში 50,000 ლარს აღემატება. გარდა რაოდენობრივი ინდიკატორებისა, ჯგუფმა კონკრეტული რისკისადმი დაქვემდებარებები ინდივიდუალურად შეიძლება შეაფასოს საექსპერტო შეფასებით. ასეთი რისკისადმი დაქვემდებარებები მოიცავს გაცემულ სესხებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული ზარალისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრები გამოითვლება საბაზისო ნიშნულის მიდგომით. თუ მისი გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელ ზარალს ანგარიშობს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებით.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ჯგუფმა რისკისადმი დაქვემდებარებების ვადიანობის სტრუქტურა გააანალიზა და დაასკვნა, რომ ფინანსური აქტივების უმეტესობა მოკლევადიანია (12 თვეზე ნაკლები). გარდა ამისა, რისკის პარამეტრების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბოლოდროინდელი დეფოლტის შემთხვევები და ამოღების ისტორია ჯგუფური შეფასებისათვის, ხოლო ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკისადმი დაქვემდებარებების რეიტინგის დადგენისას მხედველობაში მიიღება ხარისხობრივი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ჯგუფმა გააანალიზა მაკროეკონომიკური პროგნოზები და ისინი შეადარა 2020 წლის რეალურ მონაცემებს. ჯგუფმა დაასკვნა, რომ მოსალოდნელი მაკროეკონომიკური პარამეტრები რეალურისგან ძალიან არ განსხვავდება. შესაბამისად, მაკროეკონომიკური ინფორმაციის გამოყენება რისკის პარამეტრების გაანგარიშებაში მოსალოდნელ ზარალზე დიდ ზეგავლენას არ იქონიებს.

ჯგუფის მიერ გაანალიზებული მაკროეკონომიკური პარამეტრებია:

	2021	2022	2023
მშპ-ს ზრდის განაკვეთი			
საბაზისო სცენარი	4.5%	5.0%	4.0%
აღმავალი სცენარი	6.0%	5.0%	5.0%
დაღმავალი სცენარი	2.5%	4.0%	4.0%
GEL/USD გაცვლითი კურსი			
საბაზისო სცენარი	0%	0%	0%
აღმავალი სცენარი	5%	0%	2%
დაღმავალი სცენარი	(5)%	5%	2%
უმრავი ქონების ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)			
საბაზისო სცენარი	1.5%	2.5%	5.0%
აღმავალი სცენარი	4.0%	3.0%	5.0%
დაღმავალი სცენარი	2.0%	5.0%	1.0%

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების მოსალოდნელ უმნიშვნელო ცვლილებებზე დაყრდნობით, ჯგუფმა გადაწყვიტა, არ გაითვალისწინოს მაკროეკონომიკური კორექტირება მიმდინარე რისკის პარამეტრის მოდელებში

ჯგუფი მაკროეკონომიკურ კორექტირებას მომავალში გაითვალისწინებს, თუ მშპ-ის მოსალოდნელი ზრდის განაკვეთი 10 %-ით მოიმატებს/დაიკლებს.

სესხის გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის იყო:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მსზ)	ეტაპი 2 მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუფასურების გარეშე	ეტაპი 3 მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუაფასურებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები1 იანვარს	**-**	**117**	**5,983**	**6,100**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები 1 იანვარს	-	-	-	-
- გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	-	(290)	290	-
- გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	411	97	508
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	123	(401)	(278)
დაფარვები	-	-	-	-
ცვლილებები შეფასებებსა და დაშვებებში	-	-	-	-
სულ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვა პერიოდის მოგება-ზარალში	**-**	**244**	**(14)**	**229**
ჩამოწერები	-	-	-	-
სავალუტო მოძრაობები	-	-	115	115
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია	-	-	-	-
სავაჭრო მოთხოვნებზე არსებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**-**	**361**	**6,084**	**6,444**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებებში შესაბამისი მოძრაობები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, არის შემდეგი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ეტაპი 1 12 თვიანი მსზ	ეტაპი 2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ეტაპი 3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
მთლიანი ოდენობა 1 იანვრის მდგომარებით	-	9,668	6,749	16,417
- გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	-	-	-	-
- გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	(296)	296	-
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	4,443	182	4,624
დაფარვები	-	431	(636)	(205)
ცვლილებები შეფასებებსა და დაშვებებში	-	-	-	-
სხვა მოძრაობები	-	-	-	-
სულ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვა პერიოდის მოგება-ზარალში	**-**	**14,245**	**6,591**	**20,836**
ჩამოწერები	-	-	-	-
სავალუტო მოძრაობები	-	-	115	115
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია	-	-	-	-
სავაჭრო მოთხოვნებზე არსებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**-**	**14,245**	**6,706**	**20,951**

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილში მოცემულია როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა. სახელშეკრულებო დაფარვის ვადა ეფუძნება ყველაზე ადრეულ თარიღს, როდესაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს გადახდა.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი						
სავაჭრო ვალდებულება	39,918	4,638	5,596	-	-	50,152
ნასესხები სახსრები	37,530	61,618	64,584	36,106	-	199,838
საიჯარო ვალდებულება	586	1,172	5,273	21,487	15,813	44,331
	78,034	**67,428**	**75,453**	**57,593**	**15,813**	**294,321**
2020 წლის 31 დეკემბერი						
სავაჭრო ვალდებულება	47,407	5,245	7,033	-	-	59,685
ნასესხები სახსრები	520	3,475	45,887	41,493	4,939	96,314
საიჯარო ვალდებულება	470	1,172	3,886	24,165	11,727	41,420
	48,397	**9,892**	**56,806**	**65,658**	**16,666**	**197,419**

28. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, ჯგუფის შვილობილ საწარმოებს, ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და მთავარი ხელმძღვანელი პირების შემადგენლობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არა-დაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	2021 წლის 31 დეკემბერი			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-
გაცემული სესხები	-	-	367	**367**
აქტივების გამოყენების უფლება	9,897	28	-	**9,925**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	368	43,086	-	**43,454**
სესხები და ნასესხები სახსრები	-	36,211	-	**36,211**
საიჯარო ვალდებულებები	10,811	27	-	**10,838**
ამონაგები	-	1,168	-	**1,168**
საპროცენტო შემოსავალი	-	3,157	31	**3,188**
საპროცენტო ხარჯი	815	1,581	-	**2,396**
შეძენები	-	373,303	-	**373,303**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	1,273	517	-	**1,790**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	1,824	2,436	**4,260**

	2020 წლის 31 დეკემბერი			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3	-	**3**
გაცემული სესხები	-	61,146	417	**61,563**
აქტივების გამოყენების უფლება	5,746	102	-	**5,848**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,866	53,019	-	**54,885**
სესხები და ნასესხები სახსრები	-	32,525	-	**32,525**
საიჯარო ვალდებულებები	7,058	114	-	**7,172**
ამონაგები	-	709	-	**709**
საპროცენტო შემოსავალი	-	3,232	18	**3,250**
საპროცენტო ხარჯი	391	1,593	-	**1,984**
შეძენები	-	261,896	-	**261,896**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	970	472	-	**1,442**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	1,767	2,370	**4,102**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხელმძღვანელობის მომსახურების საფასურს 1,742 ათასი ლარის ოდენობით.(2020: 1,686 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობა მოიცავს 3 პირს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 :3): მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი და მთავარი საოპერაციო დირექტორი. მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელით არის წარმოდგენილი, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში შეადგინა 2,436 ათასი და 2,370 ათასი ლარი, შესაბამისად.

29. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

ვალდებულებები. ჯგუფს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა რაიმე არსებითი ვალდებულებები.

სამართალწარმოება. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოების პროცესში.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან - ჯგუფმა უნდა დაიცვას გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც დაკავშირებულია, პირველ რიგში, სს „საქართველოს ბანკიდან“ და სს „თიბისი ბანკიდან“ ნასესხებ სახსრებთან. ამ შეთანხმებების შეუსრულებლობამ ჯგუფისთვის შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები, მათ შორის, სესხების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონდა დარღვეული ბანკებთან არსებული სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი ლიკვიდობისა და ლევერიჯის კოეფიციენტები.

გარანტიები - გარანტიები წარმოადგენს შეუქცევად გარანტიას, რომ ჯგუფი განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა მხარე ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს. ჯგუფს გარანტირებული აქვს შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ (EUCC) 39,778 ათასი ლარის ვალდებულებები, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

გარანტიის რეალური ღირებულება იყო 39,778 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბერს.

გადასახადები - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო, ტრანზაქციები ამ უკანასკნელებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ანარიცხი არ შექმნილა. 2021 წელი საგადასახადო შემოწმებისათვის ღია რჩება.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობაში შესწორებები შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან, სადაც წარმოდგენილია დოკუმენტაციის დამატებითი მოთხოვნები. ახალი კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს, გარკვეული გარიგებების მიმართ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას აძლევს, მათ შორისაა, თუმცა არ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, თუ ამ გარიგების ფასწარმოქმნა არ განიხილება გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებულ ოპერაციად. ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტანტები, რათა შეაფასონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების შესაძლო გავლენა 2020 წლის საანგარიშგებო წლისთვის, თუმცა საბოლოო ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა. 2020 წლის საანგარიშგებო წლისთვის ჯგუფის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციების გამოწვევის გავლენის სარწმუნოდ შეფასება არ არის შესაძლებელი.

ასეთი გაურკვევლობა შეიძლება ეხებოდეს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებას, გაუფასურების ზარალის ანარიცხის შეფასებას და გარიგების საბაზრო ფასწარმოქმნას. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მან დააგროვა გადასახადის ყველა გადასახდელი თანხა და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი ანარიცხი არ გაკეთებულა.

გარემოს დაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება მათ და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი ოპერირებს.

30. შვილობილი საწარმოს შეძენა

ჯგუფს, 2021 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული ჰქონდა სესხი შპს Energy Solutions Investments ("ESI") - სთვის, რომელის საბალანსო ღირებულება 60, 841 ათასი ლარია (19,640 ათასი აშშ დოლარი). მშობელი კომპანიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს სესხი დაიფარა ჯგუფის მიერ შპს Georgian Energy Solutions -ის ("GES") 100% წილის შეძენის გზით. ნარჩენი თანხა (განსხვავება GES-ის 100% წილის რეალურ ღირებულებასა და გაცემული სესხის საბალანსო ღირებულებას შორის) განხულული იქნა, როგორც ჯგუფის კაპიტალის შემცირება მშობელი კომპანიის მიერ.

2021 წლის 15 დეკემბერს შპს Georgian Energy Solutions -ის 100%-იანი წილის შესყიდვა განიხილება როგორც აქტივების შეძენა და არა საწარმოთა გაერთიანება, რადგან შეძენილი საწარმოს ერთადერთი საოპერაციო საქმიანობა იყო ბენზინგასამართი სადგურების ჯგუფისთვის მიქირავება და სხვა ბიზნეს პროცესების ნიშნები ან შედეგები (IFRS 3) არ აღინიშნება.

შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასებით. შემფასებელმა შეფასებისთვის გამოიყენა შემოსავლის მიდგომა და შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრა 41,975 ათასი ლარით (13,550 ათასი აშშ დოლარი). რეალური ღირებულება გადანაწილდა თავდაპირველი აღიარებისას შეძენილ აქტივებზე. ჯგუფის კაპიტალი 2021 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით შემცირდა 18,866 ათასი ლარით (6,090 ათასი აშშ დოლარი).

შეძენილი აქტივები	შესყიდვის ფასის განაწილება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	208
მიწის ნაკვეთი	36,782
შენობა-ნაგებობები	1,097
სხვა გრძელვადიანი აქტივები	26
მოკლევადიანი აქტივები შემცირებული მოკლევადიანი ვალდებულებებით	(17)
ჯგუფსშიდა სავაჭრო მოთხოვნა	3,879
სულ შეძენილი აქტივები	**41,975**
შეძენისას მიღებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	208

31. რეალური ღირებულების განმარტება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები
რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებია, რომელთა გაკეთება მოითხოვება ან ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
მარაგები	-	59,554	-	**59,554**	-	39,922	-	**39,922**
ფინანსური ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით	-	5,895	-	**5,895**	-	11,074	-	**11,074**
სულ ვალდებულებები, რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებით	-	**5,895**		**5,895**	-	**11,074**		**11,074**

ფინანსური ვალდებულებების, რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით და მარაგების რეალური ღირებულების შეფასების ტექნიკა მსგავსია და განისაზღვრება, როგორც საბაზრო ფასის ანალიზი, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა გამჟღავნდეს.

იმ აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	296	32,241	-	**32,537**	199	7,324	-	**7,523**
სხვა ფინანსური აქტივები								
სავაჭრო მოთხოვნები	-	20,910	-	**20,910**	-	10,317	-	**10,317**
- გაცემული სესხები	-	382	-	**382**	-	61,571	-	**61,571**
სულ აქტივები	**296**	**53,533**	**-**	**53,829**	**199**	**79,212**	**-**	**79,411**
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო ვალდებულება	-	49,525	-	**49,525**	-	48,612	-	**48,612**
ფინანსური ვალდებულება FVTPL-ით	-	5,895	-	**5,895**	-	11,074	-	**11,074**
ნასესხები სახსრები	-	93,648	-	**93,648**		60,884		**60,884**
სულ ვალდებულებები	**-**	**149,068**	**-**	**149,068**	**-**	**120,570**	**-**	**120,570**
					-	48,612	-	**48,612**

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. საზოგადოდ, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

32. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთის შეჭრა უკრაინაში. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ხელმძღვანელობა უკრაინის ომს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობამ მოძებნა საწვავის ახალი მომწოდებლები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან. ჯგუფი საწვავს რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და საბერძნეთიდან შეისყიდის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა ჯგუფზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

რესტრუქტურიზაცია. 2022 წლის მაისში ჯგუფმა შეიტანა ცვლილება ჯგუფის სტრუქტურაში. კერძოდ, შპს Georgian Petroleum Equities გაერთიანდა შპს Sun Petroleum Georgia-სთან.

სესხის დაფარვა. ჯგუფმა სრულად დაფარა საქართველოს ბანკის მოკლევადიანი სესხი 2022 წლის თებერვლის სახელშეკრულებო ვადით. გარდა ამისა, 2022 წლის მაისში ჯგუფმა ვადაზე ადრე დაფარა Petrocas Energy International Limited-დან აღებული გრძელვადიანი სესხის სრული ოდენობა.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1. მიმოხილვა

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში“კომპანია”) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. N34, სართ. N6, რეგისტრაციის თარიღი 2010 წლის 26 ნოემბერი. კომპანია დაარსებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404391136.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30,519 ათას ლარს (2020: 49,385 ათასი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს (შემდგომში “ჯგუფი“):

- შპს ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითისი - 100%, მენეჯმენტ კომპანია;
- შპს სან სთორზ - 100%, საცალო სასურსათო მაღაზიები;
- შპს დიდუბოილი - 100%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს ჩაქვის ბენზინგასამართი სადგური- 100%,ბენზინგასამართი სადგური;
- შპს SPG თრეიდინგი - 100%,საბითუმო საწვავის ყიდვა-გაყიდვა;
- შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენს-100%, ბენზინგასამართი სადგური
- შპს ფიქრის გორა - 75%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს ფონიჭალა 2009-100%,უმოქმედო;
- შპს ქოლო- 67%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს ოპტიმა+ 50%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს გორი ოილ -50%,უმოქმედო;
- შპს ახალციხე ოილ კომპანი- 50%, უმოქმედო.

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს:

- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და რეალიზაცია;
- სატრანსპორტო საშუალებებისა და ავტომობილების სერვისული მომსახურება;
- გაზის საცალო რეალიზაცია;
- ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა საგნების საცალო რეალიზაცია ბენზინგასამართ სადგურებთან არსებული მაღაზიებიდან.

2021 წლის ბოლოსთვის ჯგუფი ახორციელებდა საწვავის და თხევადი ავტოგაზის რეალიზაციას 147 ბენზინგასამართ სადგურში, მათ შორის 106 დაბრენდილია როგორც გალფი, 41 - როგორც G-Economy და 5 გაზგასამართი სადგური, რომლებიდანაც ნაწილი არის ჯგუფის მფლობელობაში, ხოლო ნაწილი კი არის იჯარით აღებული საკუთრება.

2. მთავარი ფინანსური ინდიკატორები

ჯგუფის 2021 წლის წმინდა მოგებამ მიმდინარე ოპერაციებიდან შეადგინა 19,110 ათასი ლარი 2020 წლის 1,884 ათას ლართან შედარებით. ჯგუფის მთლიანი მოგება 2021 წელს იყო 78,343 ათასი ლარი, რაც გაიზარდა 2020 წლის 66,128 ათას ლართან შედარებით.

მომგებიანობის გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფმა ძირითადი აქცენტი გააკეთა გაყიდვების ზრდასა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. საწვავის რეალიზაციიდან მიღებული

შემოსავალი გაიზარდა 48%-ით, ხოლო არა საწვავი პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 27 %_ით.

3. კვლევის და განვითრების სფეროების მიმოხილვა

ჯგუფი სისტემატიურად მუშაობს პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც შედეგად იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას. სან პეტროლიუმ ჯორჯიას, მესამე მხარე, კომპანია - ACT ყოველწლიურად უტარებს ბაზრის კვლევას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ჯგუფის მარკეტინგულ პოზიციონირებაზე. ამასთან, კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებელმა გაუგზავნოს შეტყობინება მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე, რეგულარულად მოწმდება საწვავის ხარისხიანობა და ჯგუფი ფლობს არაერთ დამადასტურებელ სერთიფიკატს. ჯგუფი მუდმივად ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მომხმარებელთან სიახლოვე პრიორიტეტულია, ამიტომ ის მუდმივად იკვლევს მათ ინტერესს და ზრუნავს კმაყოფილების ზრდაზე.

4. ფილიალების ოპერაციები

ჯგუფი არ ფლობს ფილიალებს.

5. ჯგუფის სავალო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებებისგან, სავაჭრო და სხვა დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფულადი სახსრების ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

ფინანსური რისკების უმეტესობის გადახედვა და კონტროლი ხდება ჯგუფის მმართველობის დონეზე ყოველთვიურად. ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

6. საბაზრო რისკი

ჯგუფის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი არის საწვავის საერთაშორისო ფასის ზრდა. შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასი ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას და დგინდება ყოველდღიური პლაცის (Platts, European MarketScan, by S&P Global) მეშვეობით. პლაცის დადგენა ხდება ყოველდღიურად გარდა შაბათ-კვირისა და საბანკო დასვენების დღეებისა და იგი მოიცავს ერთი მეტრული ტონა მზა პროდუქტის (მაგ. ბენზინი Prem Unl 10ppm და დიზელი 10ppm ULSD) ფასს. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბოლოო პროდუქციის საცალო ქსელში და კორპორატიული რეალიზაცია ხდება მხოლოდ ქართულ ლარში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ფასში, შესასყიდი ფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული რისკის ჰეჯირება ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადანაწილებით, თუმცა ეს პროცედურა ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას. გარდა აღნიშნულისა, სარეალიზაციო საფასო პოლიტიკა აუცილებლად და ბუნებრივად მოიცავს თავის

თავში შესასყიდი ფასების და ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის კომპონენტებს, რაც ასევე სარისკოა ჯგუფისთვის, რადგან გაცვლითი კურსის მერყეობა საქართველოში საკმაოდ მაღალია.

ამასთან, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. საწვავის საცალო და კორპორატიული ბაზარი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურები.

ამასთან, საქართველოს ენერგოსექტორი შეიძლება დაგდეს საშიში გამოწვევების წინაშე, მათ შორისაა მოსახლეობისა და ეკონომიკის ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგება, ენერგეტიკული ბალანსის დომინირებული იმპორტირებული რესურსების გარანტირებული მიწოდების უზრუნველყოფის იმ სირთულეების გამო, რაც წარმოიქმნება არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით რეგიონში, ენერგეტიკის სექტორების დაუცველობა, რომლებიც დამოკიდებულია კლიმატის პირობებზე, სტიქიურ უბედურებებზე, ტექნიკურად მოძველებული ინფრასტრუქტურის გაფუჭების დიდი ალბათობა, სახელმწიფო სტრატეგიული რეზერვების სიმცირე და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ან არაეფექტურობა, რომელიც საჭიროა ასეთი მარაგების გადანაწილებისთვის.

კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში, ხოლო საფასო და მომსახურების ხარისხის (სადგურის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, სატალონო და საბარათო სისტემის არარსებობა) სეგმენტში არა-ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში. შედეგად, ჯგუფში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, გაყიდვების, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება არაფორმალურად და განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, კორპორატიული რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს ჯგუფის პროდუქტების შეძენა.

პანდემიის შემდეგ ნავთობისა და გაზის ინდუსტრიამ წლის განმავლობაში საკმაოდ ძლიერი აღორძინება განიცადა, ნავთობის ფასებმა ბოლო წლების განმავლობაში უმაღლეს დონეს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიის აღდგენა მოსალოდნელზე უკეთესია, მომავალ წელს, ბაზრის დინამიკასთან დაკავშირებით, კვლავ გაურკვევლობა რჩება.

7. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ჯგუფში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ჯგუფის ბაზებში, ბენზინგასამართ და გაზგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

საწვავის ემისიის მონიტორინგის და საკანონმდებლო ნორმების, სახელმწიფო სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვის მიზნით სადგურებზე წელიწადში ერთხელ, ისევე როგორც ბაზებზე ყოველ წელიწადში ერთხელ ხდება ფაქტობრივი ემისიის მონიტორინგი. შესაბამისი დოკუმენტი იგზავნება გარემოს დაცვის სააგენტოში ელექტრონული ფორმით. ემისიის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, სადგურებზე და ბაზებში დამონტაჟებულია თანამედროვე ტიპის სარქველები და ხდება მათი გამართულად მუშაობის მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში.

საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით ავტოგასამართი სადგურის მენეჯერი ან უფლებამოსილი პირი აკეთებს საწვავის გაზომვას, ხოლო დამოუკიდებელი სამსახური იგივეს თვეში ერთხელ აკეთებს.

დამატებით, ავტოგასამართ სადგურებზე ფუნქციონირებს ავტომატიზაციის სისტემა, რომელიც აღჭურვილია რეზერვუარში საწვავის რაოდენობის ელექტრონული გამზომველით. ავზის დაზიანების და საწვავის დაღვრის შემთხვევაში სადგურის მენეჯერს ან სხვა უფლებამოსილ პირს აქვს საშუალება გამოავლინოს მსგავსი დაზიანება და მოახდინოს მასზე რეაგირება.

ჯგუფს დაზღვეული აქვს მესამე მხარეების ქონება და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

8. განვითრების გეგმები

ჯგუფის გრძელვადიან გეგმები მოიცავს: უკვე არსებული სერვისების განვითარებას, ახალი სერვისების დანერგვას, მაღაზიების სერვისის განვითარებას ასევე გეგმავს მომხმარებლისთვის თვითმომსახურების სადგურების შეთავაზებას. გარდა ამისა, ერთგულების პროგრამა, საოპერაციო სისტემების განვითარება ისევე როგორც ეფექტიანობის ზრდა კვლავ რჩება ჯგუფის პრიორიტეტად.

ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია როგორც უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე ისე ახალი სერვისების დანერგვაზე. მომავალში იგეგმება არა-საწვავი პროდუქტების წილის ზრდა საერთო შემოსავლებში. წლიდან წლამდე იზრდება ელექტრო მანქანების რაოდენობა, შესაბამისად იგეგმება სწრაფი დატენვის პუნქტების გახსნა. გარდა ზემოთ ხსენებულისა უკვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს თვითმომსახურების ავტოგასამართი სადგურების გახსნასთან დაკავშირებით.

ჯგუფი მუდმივად ავითარებს მომხმარებლების ერთგულების სისტემას, მაგალითად 2018 წლიდან თითოეულ მომხმარებელს შეუძლია მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირის შეტყობინების სახით გამოგზავნა

9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფი ყოველთვის ცდილობს საზოგადოებისა და გარემოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებთ. ჯგუფის სოციალური აქტივობები მოიცავს სხვადასხვა პროექტებს, რომელიც ფარავს სხვადასხვა ასპექტებს, მაგალითად კულტურულ, სპორტულ, ინფრასტრუქტურულ, ტურიზმისა და საქველმოქმედო პროექტებს.

გარემოზე ზრუნვას ჯგუფის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უდიდესი ადგილი უჭირავს. ჯგუფი აქტიურად უჭერს მხარს ელექტრო და ჰიბრიდულ ავტომობილების პარკის გაზრდას. გარემოზე ზრუნვის ფარგლებში ჯგუფმა მოახდინა საწვავის ფორმულის გაუმჯობესება, 2019 წლის მაისიდან საწვავს დაუმატებს ახალ დანამატს რომელიც უზრუნველყოფს მანქანის ძრავის უკეთ მუშაობას, იცავს ავტომობილის ნაწილებს ცვეთისგან, საწვავის მოხმარებას ამცირებს და რაც მთავარია ამცირებს მავნე აირების დაგროვების დონეს.

ამასთან, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით ჯგუფი წელიწადში ორჯერ აქვეყნებს საწვავის ლაბორატორიულ ანალიზს.

ბოლოდროინდელი მსოფლიო პანდემიის გათვალისწინებით, გალფმა დაიწყო საქველმოქმედო პროექტი. ყოველი გაყიდული ლიტრიდან 0,03 ლარი ირიცხება ამ საქველმოქმედო საქმიანობისთვის შექმნილ ანგარიშზე, რამაც შეადგინა 126,856 ლარი. მძიმე ეკონომიკური პირობებისა და სიღარიბის დასაძლევად ამ საქველმოქმედო ღონისძიებიდან თანხა გადაეცა 200

ოჯახს. აღსანიშნავია, რომ პროცესი არის სრულიად გამჭვირვალე და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ის შეამოწმოს ვებგვერდზე www.edu.gulf.ge.

გარდა ამისა, პანდემიის დროს გალფი მნიშვნელოვნად უჭერს მხარს და ეხმარება ექიმებს ფინანსურად, რადგან ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ Covid -19-ის გავცრელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კიდევ ერთი მთავარი ამოცანაა ცხოველთა დაცვა და მოვლა. ჯგუფი დაეხმარა 400-ზე მეტ ძაღლს 2021 წელს, აჩუქა 4 ტონა საკვები. უფრო მეტიც, კომპანია მთელი წლის განმავლობაში ზრუნავს 200-ზე მეტ ძაღლზე, უზრუნველყოფს მათ სამედიცინო ან ვეტერინარულ მომსახურებას.

განათლების სფეროში ძალისხმევის ფარგლებში, ჯგუფმა, საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან 10 სტუდენტის სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად, ხელი მოაწერა მემორანდუმს. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ აშშ-ში.

ჯგუფი ასევე წიგნებით უზრუნველყოფს რეგიონულ ბიბლიოთეკებს. საქართველოს 200-ზე მეტი სოფელი იყო მონახულებული, სადაც განათლების დონის ასამაღლებლად მოეწყო ბიბლიოთეკები, ასევე 20 სტუდენტს გადაეცა პერსონალური კომპიუტერები.

ჯგუფი მხარს უჭერს ცხოვრების ჯანსაღ წესს და ამის ფარგლებში გახსნა საკალათბურთო მოედანი, რომელსაც ცნობილი ქართველი კალათბურთელის- ზაზა ფაჩულიას სახელი დაერქვა. გარდა ამისა, კომპანიამ მემორანდუმი გააფორმა UFC მებრძოლთან - გიგა ჭიკაძესთან.

კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაციისთვის ჯგუფმა წამოიწყო პროექტი მოიარე.ჯი, ამასთან, გალფი პერიოდულად აქვეყნებს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების მნიშვნელოვან მოვლენებს სოციალურ მედიაში, რაც ზრდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად საინტერესო და თვალწარმტაცია საქართველო, რითაც მეტ ტურისტს იზიდავს ქვეყანაში. გარდა ამისა, ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის სანაპიროს დასუფთავებაში, რომელიც მოიცავს 30 ათას კვადრატულ მეტრზე მეტს.

გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელმოწერილია მმართველი საბჭოს სახელით, 2022 წლის 18 მაისს.

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი, მოქმედი აღმასრულებელი დირექტორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221319224
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.09.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**სალომე სალუქვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	09761693255022

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 164.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 169 (ასსამოცდაცხრა) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები 5-72

1. სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი და მისი საქმიანობა 7
2. ჯგუფის საოპერაციო გარემო 9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 38
5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 40
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 42
7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 51
8. რეალიზაციის თვითღირებულება 51
9. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები 51
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 52
11. სხვა შემოსავალი/ (ხარჯი), ნეტო 52
12. ძირითადი საშუალებები 55
13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 57
14. გუდვილი 58
15. სხვა გრძელვადიანი აქტივები 59
16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 59
17. მარაგები 61
18. გაცემული სესხები 62
19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 62
20. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები 65
21. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 66
22. კაპიტალში განხორციელებული შენატანი 66
23. სესხები და ნასესხები სახსრები 67
24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 68
25. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულება 68
26. მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები 70
27. ფინანსური ინსტრუმენტები 70
28. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 82
29. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 83

30. შვილობილი საწარმოს შეძენა 85
31. რეალური ღირებულების განმარტება 86
32. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 88
მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 90

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართული ლარი)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	12	111,041	70,914
აქტივების გამოყენების უფლება	13	27,319	22,052
გუდვილი	14	2,436	2,436
სხვა გრძელვადიანი აქტივები	15	689	727
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	16	2,884	4,225
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		393	111
გაცემული სესხები	18	364	414
სულ გრძელვადიანი აქტივები		**145,126**	**100,879**
მოკლევადიანი აქტივები:			
მარაგები	17	59,554	47,453
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	20,910	10,317
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი	20	5,240	2,029
გაცემული სესხები	18	18	61,157
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21	32,538	7,524
სულ მოკლევადიანი აქტივები		**118,260**	**128,480**
სულ აქტივები		**263,386**	**229,359**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
შეტანილი კაპიტალი	22	30,519	49,385
გაუნაწილებელი მოგება		40,401	21,645
კომპანიის მფლობელებისადმი მიკუთვნებადი კაპიტალი		74,970	71,030
არამაკონტროლებელი წილი		796	775
სულ კაპიტალი		**71,716**	**71,805**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სესხები და ნასესხები სახსრები	23	13,654	18,569
იჯარის ვალდებულებები	13	25,551	23,177
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		291	428
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**39,496**	**42,174**
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	50,151	48,367
ფინანსური ვალდებულება, რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით (FVTPL)	25	5,895	11,074
მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები	26	10,230	9,713
იჯარის ვალდებულებები	13	5,904	3,911
სესხები და ნასესხები სახსრები	23	79,994	42,315
სულ მოკლევადიანი აქტივები		**152,174**	**115,380**
სულ ვალდებულებები		**191,670**	**157,554**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**263,386**	**229,359**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა მმართველობის საბჭოს სახელით 2022 წლის 18 მაისს.

მიხეილ ესიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართული ლარი)

ფინანსური დირექტორი, მოქმედი აღმასრულებელი დირექტორი

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	706,045	481,446
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(627,702)	(415,318)
მთლიანი მოგება		**78,343**	**66,128**
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	9	(44,097)	(36,690)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(19,390)	(17,839)
საოპერაციო მოგება		**14,856**	**11,599**
საპროცენტო ხარჯი		(6,745)	(6,185)
საპროცენტო შემოსავალი		3,471	3,539
სავალუტო შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		2,924	(9,240)
სხვა შემოსავალი/(ხარჯები), ნეტო	11	4,662	3,293
მოგება დაბეგვრამდე		**19,168**	**3,006**
მოგების გადასახადის ხარჯი		(58)	(1,122)
წლის მოგება		**19,110**	**1,884**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**19,110**	**1,884**
წლის მოგება, რომელიც მიკუთვნებადია:			
ჯგუფის მფლობელებისადმი		18,756	1,570
არამაკონტროლებელი წილისადმი		354	314
		19,110	**1,884**
სულ სრული შემოსავალი რომელიც მიკუთვნებადია:			
ჯგუფის მფლობელებისადმი		18,756	1,570
არამაკონტროლებელი წილისადმი		354	314
		19,110	**1,884**

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მშობელი საწარმოს მფლობელების ადმი მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს		**49,385**	**26,134**	**75,519**	**763**	**76,282**
სულ წლის სრული მოგება		-	1,570	1,570	314	1,884
გამოცხადებული დივიდენდები		-	(6,059)	(6,059)	(302)	(6,361)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		**49,385**	**21,645**	**71,030**	**775**	**71,805**
კაპიტალის შემცირება	30	(18,866)		(18,866)	-	(18,866)
სულ წლის სრული მოგება		-	18,756	18,756	354	19,110
გამოცხადებული დივიდენდები		-	-	-	(333)	(333)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		**30,519**	**40,401**	**70,920**	**796**	**71,716**

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		19,110	1,884
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯისთვის		58	1,122
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებისთვის		7,141	6,543
აქტივების გამოყენების უფლების ამორტიზაციისთვის		5,274	4,285
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობისთვის		(41)	(33)
საწვავის შენახვის ნამეტისთვის, ნეტო		(2,492)	(1,472)
მაღაზიებში საქონლის ნამეტისთვის, ნეტო		(109)	(315)
მეკავშირე საწარმოების შედეგების წილისთვის		(747)	(472)
აღიარებული გაუფასურების ზარალისთვის		344	980
სავალუტო (შემოსულობისთვის)/ზარალისთვის, ნეტო		(2,924)	9,240
საპროცენტო ხარჯისთვის		6,745	6,046
საპროცენტო შემოსავლისთვის		(3,471)	(3,539)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		**28,888**	**24,269**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა / (შემცირება)		(10,247)	1,157
მომწოდებლების მიმართ ავანსად გადახდილი თანხების ზრდა / (შემცირება)		(3,211)	582
ზრდა მარაგებში		(9,609)	(1,373)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,822	(15,799)
FVTPL-ით აღრიცხული ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)		(5,179)	11,074
ზრდა მიღებულ ავანსებსა და სხვა ვალდებულებებში		517	1,738
(ოპერაციებში გამოყენებული) /ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		**3,981**	**21,648**
გადახდილი მოგების გადასახადი		(58)	(1,122)
გადახდილი პროცენტი		(6,472)	(6,026)
მიღებული პროცენტი		354	228
(ოპერაციებში გამოყენებული) /ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები		**(2,195)**	**14,728**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(9,298)	(6,198)
სესხის მიღებული დაფარვები		28	170
მიღებული დივიდენდები		403	173
შეძენისას მიღებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		208	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(8,659)**	**(5,855)**
ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები სესხებიდან და ნასესხები სახსრებიდან		334,075	239,125
სესხების და ნასესხები სახსრების დაფარვა		(298,211)	(254,953)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა		(4,902)	(3,712)
გადახდილი დივიდენდები		(333)	(6,361)
წმინდა ფულადი სახსრები (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული)/საფინანსო საქმიანობიდან		**30,629**	**(25,901)**
წმინდა ზრდა / (შემცირება)ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**19,775**	**(17,028)**

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**7,524**	**25,638**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულადი სახსრების ნაშთებზე	5,239	(1,086)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**32,538**	**7,524**

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-72 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. სან პეტროლიუმ ჯორჯია ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია-სთვის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდგომში ჯგუფი).

შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (შემდგომში "კომპანია") დაარსდა 2010 წლის 30 ნოემბერს, როგორც შპს Sonoil Oil Products, რომლის მიზანია ბრენდირებული ბენზინგასამართი სადგურების პრემიერ ქსელის შექმნა. კომპანიამ იურიდიული სახელი შეცვალა და გახდა შპს Sunoil 2011 წლის იანვარში, ხოლო 2011 წლის მარტში შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (Sun Petroleum Georgia).

ჯგუფმა ბენზინგასამართი სადგურების ქსელის განვითარება დაიწყო 2011 წლის მარტში, თავდაპირველად მესამე მხარეების შეძენის, ბენზინგასამართი სადგურის აქტივებისა და ბენზინგასამართი საწყობების აქტივების შემდგომი განახლებისა და რებრენდინგის გზით. 2011 წლის განმავლობაში კომპანიამ დააფუძნა 100% -ით ფლობილი შვილობილი კომპანიები: შპს ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითიზ და შპს სან სთორს, შპს ფონიჭალა 2009, 70%-ით ფლობილი შვილობილი კომპანია, -50%-ით ფლობილი შვილობილი კომპანიები შპს გორი ოილ კომპანია და შპს ახალციხის ნავთობკომპანია და მოიპოვა შპს დიდუბოილის, შპს ოპტიმა +-ის, შპს ფიქრის გორის, შპს ჩაქვის ბენზინგასამართი სადგურის და შპს კოლო (საყოველთაოდ მოხსენიებული, როგორც ”ჯგუფი”) საკონტროლო წილი. ჯგუფმა 2013 წლის განმავლობაში დააარსა შპს SPG Trading, რომელიც 100% –ით ფლობილი შვილობილი კომპანიაა და 2015 წელს შეიძინა შპს ფონიჭალა 2009-ს სრული მფლობელობა. 2021 წლის განმავლობაში, ჯგუფმა შეიძინა შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენს-ის 100%-იანი მფლობელობა.

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს როგორც საცალო, ასევე საბითუმო სეგმენტში. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფი მუშაობდა საქართველოში მდებარე 147 (2020 წელს 147) ბენზინგასამართი სადგურით, აქედან 83 (2020 წელს 69) ბენზინგასამართი სადგური კომპანიის, მისი შვილობილი საწაროების და მეკავშირე საწარმოების მფლობელობაში იყო. სხვა ბენზინგასამართი სადგურები ქირავდება.

ჯგუფის ბენზინგასამართი სადგურების ქსელმა საქმიანობა დაიწყო 2011 წლის მარტში Gulf- ის ბრენდის სახელით, Gulf Oil International- თან 15 წლიანი სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე. 2015 წლის აპრილიდან ჯგუფმა შექმნა საკუთარი ბრენდი G-Economy და დაიწყო ბენზინგასამართი სადგურების რებრენდინგი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 41 (2020 წელს 42) ბენზინგასამართი სადგური იყო G-Economy ბრენდის ქვეშ. G-Economy-ს ბენზინგასამართი სადგურები კონცენტრირებულია იაფი, დაბალი ხარისხის საწვავის საცალო ვაჭრობაზე, ხოლო Gulf- ის ბენზინგასამართი სადგურები გთავაზობთ პრემიუმ ხარისხის საწვავს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებულია 1,627 და 1,603 თანამშრომელი, შესაბამისად.

კომპანიასა და ჯგუფის მშობელ კომპანიას შემდეგი შვილობილი საწარმოები ჰყავს კონსოლიდირებული მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

სახელი	საქმიანობის ადგილი, ქვეყანა	მფლობელობის წილი 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	მფლობელობის წილი 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	საქმიანობის ტიპი
შპს Georgian Petroleum Equities	საქართველო	100%	100%	კომპანიის მართვა
შპს Georgian Energy Solutions	საქართველო	100%	0%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Sun Stores	საქართველო	100%	100%	საკვების საცალო ვაჭრობა
შპს DidubOil	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Chakvi Petrol Station	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს SPG Trading	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს Pikris Gora	საქართველო	75%	75%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Ponichala 2009	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს Kolo	საქართველო	67%	67%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Optima +	საქართველო	50%	50%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს Gori Oil	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო
შპს Akhaltsikhe Oil Company	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს Energy Investment Venture Holdings, რომელიც რეგისტრირებულია აშშ – ში, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა Petrocas Energy International Ltd– ი, რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში.

ჯგუფის ძირითადი სამუშაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველო, ჭავჭავაძის გამზირი 34.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასა და ინტერპრეტაციებში. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, მათ შორის ჯგუფის ოპერაციებზეც. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გლობალური ინფექციის დონე რჩება მაღალი, ვაქცინაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები შემდგომ პერიოდებში, მათ შორის ვირუსის ახალი ვარიანტების გაჩენის გამო. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე მხარი დაუჭირა გლობალური ეკონომიკის აღორძინებამ და ფასების ზრდამ.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები ჯგუფის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი პერიოდულად გადადიოდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო სამუშაო პროცესი საწარმოში შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. იმის გამო, რომ წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია შეზღუდვების დაწესებას, ჯგუფის გაყიდვები ნორმალურ დონეს დაუბრუნდა და პოზიტიური ტენდენციაც კი აჩვენა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ისტორიული ღირებულების მეთოდით, მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების მეშვეობით, რაც ეფუძნება რეალურ ღირებულებას, და მარაგების თავდაპირველი და შემდგომი შეფასების მეშვეობით, რეალური ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გარდა, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წარმოდგენილი პერიოდებისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები და ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

სამუშაო ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შემავალი მუხლები ფასდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, სადაც ჯგუფი საქმიანობას ეწევა (სამუშაო ვალუტა). ჯგუფის მშობელი კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში. ყველა ღირებულება მრგვალდება უახლოეს ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთგადაფარვა – ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალის და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხორციელდება მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ამას არ ითვალისწინებს რაიმე სააღრიცხვო სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, და როგორც ეს კონკრეტულად არის გამჟღავნებული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ:

კონსოლიდირების საფუძველი –კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიის და კომპანიის მიერ კონტროლირებული საწარმოების (შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მოპოვებულია მაშინ, როდესაც კომპანიას:

- ძალაუფლება აქვს ინვესტიციის მიმღებზე;
- ექვემდებარება, ან მისი ინვესტიციის მიმღებთან ჩართულობის შედეგად გააჩნია ცვლად შემოსავლებზე უფლებები; და

- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი ძალაუფლება და გავლენა მოახდინოს მის შემოსავლებზე.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტიციის მიმღებს, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის სამი ელემენტიდან ერთი ან მეტის ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

როდესაც კომპანიას აქვს ინვესტიციის მიმღებზე ხმის მიცემის უფლების უმრავლესობაზე ნაკლები, მას აქვს ძალაუფლება ინვესტიციის მიმღებზე, მაშინ, როდესაც ხმის მიცემის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მას მიეცეს ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის ცალმხრივად წარმართვის პრაქტიკული შესაძლებლობა. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას იმის შესაფასებლად, საკმარისია თუ არა კომპანიის ხმის უფლება ინვესტიციის მიმღების საწარმოში, რათა მას მიენიჭოს უფლებამოსილება, რაც მოიცავს:

- კომპანიის ხმის მიცემის უფლების მოცულობას, რომელიც შესაბამისია სხვა, ხმის მიცემის უფლების მქონე პირების მფლობელობის დანაწილებისა და მოცულობისა;
- კომპანიის, სხვა ხმის მიცემის უფლების მქონეების და სხვა მხარეების მიერ პოტენციურად ფლობილ ხმის მიცემის უფლებებს
- სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებისგან წარმოქმნილ უფლებებს; და
- ნებისმიერ დამატებითი ფაქტსა და გარემოებას, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას აქვს არ აქვს ამჟამინდელი შესაძლებლობა, მართოს შესაბამისი საქმიანობა იმ დროს, როდესაც გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული, აქციონერთა წინა კრებებზე ხმის მიცემის წესების ჩათვლით.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს შვილობილ საწარმოზე კონტროლს და წყვეტს მას, როდესაც კომპანია კარგავს შვილობილ საწარმოზე კონტროლს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასული შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები შედის მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, კომპანიის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან, მანამდე, სანამ კომპანია შეწყვეტს შვილობილი საწარმოს კონტროლს.

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არა-მაკონტროლებელ წილს. შვილობილი საწარმოების მთლიანი სრული შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არამაკონტროლებელ წილებს, თუნდაც ამან გამოიწვიოს არა-მაკონტროლებელი წილების დეფიციტური ნაშთი.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები კონსოლიდაციის შედეგად სრულად ელიმინირდება.

არა-მაკონტროლირებელი წილები წარმოადგენს შვილობილი საწარმოს კაპიტალს, რომელიც არ მიეკუთვნება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მშობელ კომპანიას.

არამაკონტროლებელი წილები ინდივიდუალურად არის წარდგენილი მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების საკუთარი კაპიტალის ნაწილში, მშობელი კომპანიის აქციონერების კაპიტალისგან განცალკევებით.

ჯგუფის შვილობილი საწარმოების მფლობელობის წილებში ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ საწარმოებზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც საკუთარი კაპიტალის გარიგებები. ჯგუფის წილების საბალანსო ღირებულებები და არამაკონტროლებელი წილები კორექტირდება შვილობილ საწარმოებში მათი ფარდობითი წილის ცვლილებების ასახვის მიზნით. ნებისმიერი სხვაობა იმ თანხას, რომლითაც ხდება არამაკონტროლებელი წილის კორექტირება და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის, აღიარებულია პირდაპირ კაპიტალში და მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს.

როდესაც ჯგუფი შვილობილ საწარმოზე კონტროლს კარგავს, შემოსულობა და ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში და გამოთვლილია, როგორც სხვაობა, (i) მიღებული ანაზღაურების აგრეგირებულ რეალურ ღირებულებას და ნარჩენი წილის რეალურ ღირებულებას შორის და (ii) აქტივების (გუდვილის ჩათვლით) წინა საბალანსო ღირებულებასა და შვილობილი საწარმოსა და ნებისმიერი სხვა არა-მაკონტროლებელი წილის ვალდებულებებს შორის. ყველა თანხა, რომელიც უკავშირდება ამ შვილობილ საწარმოს და მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფი პირდაპირ განკარგავდა შვილობილი საწარმოს დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს (ე.ი. განახორციელა რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში ან გადაიტანა კაპიტალის სხვა კატეგორიაში, როგორც ეს განსაზღვრულია/ნებადართულია გამოყენებადი ფასს-ებით). ყოფილ შვილობილი საწარმოში შენარჩუნებული ნებისმიერი ინვესტიციის რეალური ღირებულება, კონტროლის დაკარგვის დღეს, განიხილება, როგორც ბასს 39-ის მიხედვით, შემდგომი საბუღალტრო აღრიცხვის თავდაპირველი აღიარებისთვის რეალური ღირებულება, ხოლო როდესაც ეს გამოყენებადია, შვილობილ საწარმოსა ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის თავდაპირველი აღიარების ღირებულება.

საწარმოთა გაერთიანება –სამეურნეო ერთეულების (ბიზნესების) შეძენა ხორციელდება შეძენის მეთოდის გამოყენებით. გადაცემული ანაზღაურება საწარმოთა გაერთიანებისას შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც გამოთვლილია, როგორც ჯგუფის მიერ გადაცემული აქტივების შეძენის თარიღით არსებული რეალური ღირებულებების, შეძენილი საწარმოს წინა მფლობელებისთვის ჯგუფის მიერ გაწეული ვალდებულებების, და ჯგუფის მიერ, შეძენილ საწარმოზე კონტროლის სანაცვლოდ გაცემული სააქციო წილების ჯამი. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზოგადად აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, გაწევისთანავე.

შეძენის დღეს, იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები აღიარდება შეძენის თარიღით არსებული რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები და აქტივები, რომელიც უკავშირდება თანამშრომელთა სარგებლის პროგრამებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ბასს 12-ით „მოგების გადასახადები“ და ბასს 19-ით, „დასაქმებულთა გასამრჯელოები“-ს, შესაბამისად;
- შეძენილი საწარმოს წილობრივი გადახდების პროგრამებთან დაკავშირებული ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, ან ჯგუფის წილობრივი გადახდების პროგრამებთან, რომლებმაც უნდა ჩაანაცვლონ შეძენილი საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები, შეფასდება ფასს 2-ის „წილობრივი გადახდით“ ,შეძენის თარიღით; და
- აქტივები (ან გამსვლელი ჯგუფები), რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, ფასს 5-ით- „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“, შეფასდება ამ სტანდარტის მიხედვით.

გუდვილი შეფასდება, როგორც გადაცემული ანაზღაურების ჯამის, შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის და შემსყიდველის მიერ შეძენილ საწარმოში მანამდე ფლობილი სააქციო წილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაჭარბება, შეძენის თარიღით იდენტიფიცირებადი ახლადშეძენილი აქტივებისა და მიღებული ვალდებულებების წმინდა ოდენობასთან შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ გადაფასების შემდეგ შეძენის თარიღით იდენტიფიცირებადი ახლადშეძენილი აქტივებისა და მიღებული ვალდებულებების წმინდა ოდენობა გადააჭარბებს გადაცემული ანაზღაურების ჯამს, შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობას და შემსყიდველის მიერ შეძენილ საწარმოში მანამდე ფლობილი წილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალურ ღირებულებას, გადაჭარბება აღიარდება დაუყოვნებლივ, მოგებაში ან ზარალში, როგორც ხელსაყრელი შესყიდვის შემოსულობა.

არამაკონტროლებელი წილები, რომლებიც წარმოადგენს ამჟამინდელ საკუთრების წილებს და მფლობელს უფლებას ანიჭებს, მიიღოს საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში, თავდაპირველად შეიძლება შეფასდეს ან რეალური ღირებულებით, ან შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების აღიარებული ოდენობის არამაკონტროლებელი წილების პროპორციული წილი. შეფასების საფუძველი არჩეულია თითოეული გარიგებისთვის ცალკე. არამაკონტროლებელი წილების სხვა სახეობები შეფასდება რეალური ღირებულებით ან, თუ ეს გამოყენებადია, სხვა ფასს-ით გათვალისწინებული საფუძვლის მიხედვით.

როდესაც საწარმოთა გაერთიანებისას, ჯგუფის მიერ გადაცემული ანაზღაურება მოიცავს პირობითი კომპენსაციის შეთანხმების შედეგად წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებს, პირობითი კომპენსაცია შეფასდება შეძენის თარიღით არსებული რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას გადაცემული ანაზღაურების ნაწილს. პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირებები, კორექტირდება რეტროსპექტიულად, გუდვილის შესაბამისი კორექტირებებთან ერთად. შეფასების პერიოდის (რაც არ შეიძლება აღემატებოდეს შეძენის თარიღიდან ერთ წელს)კორექტირებები წარმოადგენს კორექტირებებს, რომლებიც წარმოიქმნება „შეფასების პერიოდის“ განმავლობაში მოპოვებული, შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე .
პირობითი კომპენსაციის რეალურ ღირებულებებში ცვლილებების შემდგომი აღრიცხვა, რომელიც არ კვალიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირება, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებული. პირობითი კომპენსაცია, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი, არ შეფასდება შემდგომ საანგარიშო თარიღებში და მისი შემდგომი ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალში. პირობითი კომპენსაცია, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც აქტივი ან ვალდებულება, ხელახლა შეფასდება შემდგომ საანგარიშო თარიღებში, ბასს 39-ით, *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება,* ან ბასს 37-ით- *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები,* სათანადოდ, შესაბამისი შემოსულობის და ზარალის მოგებაში ან ზარალში აღიარებით.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებისას, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ მანამდე ფლობილი სააქციო წილი ხელახლა შეფასდება შეძენის თარიღით მისი რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში. შეძენის თარიღამდე, შეძენილ საწარმოში წილებიდან წარმოქმნილი თანხები, რომლებიც მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მსგავსი აღრიცხვა შესაფერისია იმ შემთხვევაში, თუ ეს წილი გასხვისდება.

თუ საწარმოთა გაერთიანების თავდაპირველი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანებას აქვს ადგილი, ჯგუფი ანგარიშგებაში ასახავს პირობით თანხებს
იმ მუხლებისთვის, რომლებისთვისაც აღრიცხვა არ არის დასრულებული. ეს პირობითი თანხები კორექტირდება შეფასების პერიოდის განმავლობაში, ან აღიარდება დამატებითი აქტივები და ვალდებულებები. რათა აისახოს შეძენის თარიღით არსებული ფაქტების და გარემოებების შესახებ მოპოვებული ახალი ინფორმაცია, რომელიც, თუ ეს ცნობილი იქნებოდა, განაპირობებდა იმ თარიღისთვის ამ აქტივების და ვალდებულებების აღიარებას.

აქტივების შეძენა - ისეთი აქტივების ჯგუფის შეძენისას, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს, გადაცემული ანაზღაურება ნაწილდება ცალკეულ იდენტიფიცირებად აქტივებსა და ვალდებულებებზე, მათი შედარებითი რეალური ღირებულების საფუძველზე, შეძენის თარიღისთვის. ასეთი გარიგება ან მოვლენა არ წარმოშობს გუდვილს.

გუდვილი – გუდვილი, რომელიც წარმოქმნება ბიზნესის შეძენისას, აღირიცხება თვითღირებულებით, როგორც ეს დადგინდა ბიზნესის შეძენის დღეს, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, გუდვილი გადანაწილდება ჯგუფის თითოეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე, რომელიც, მოსალოდნელია, რომ ისარგებლებს გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიით. ჯგუფი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად განიხილავს სადგურების მთლიან ქსელს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც განხორციელდა გუდვილის გადანაწილება, გაუფასურებაზე მოწმდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ ეს ერთეულები შესაძლოა გაუფასურდა. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე მეტია, გაუფასურების ზარალი პირველ რიგში გადანაწილდება ერთეულზე გადანაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულების და შემდეგ უკვე ერთეულის ხვა აქტივების შესამცირებლად პროპორციულად, ერთეულის თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების საფუძველზე. გუდვილის გაუფასურების ზარალი აღიარდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გუდვილზე აღიარებული გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდში არ აღდგება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გასვლისას, გუდვილისადმი მიკუთვნებადი წილი გასვლის შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის განსაზღვრებაში შედის.

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. მეკავშირე საწარმოები ის საწარმოებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა არის ჯგუფის უნარი, მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, მაგრამ არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივი საწარმო არის გარიგება, სადაც ერთობლივი კონტროლის მქონე მხარეებს გააჩნიათ უფლებები ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ერთობლივად ითვლება კონტროლი, რომლის განაწილება შეთანხმებულია კონტრაქტით და არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი საქმიანობის თაობაზე მოითხოვს ყველა მაკონტროლებელი მხარის თანხმობას.

მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შედეგები და აქტივები და ვალდებულებები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია წილობრივი მეთოდით. ამ მიდგომით ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ კორექტირდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის მიერ ფლობილი წილის აღიარების მიზნით. თუ ჯგუფის ზარალის წილმა გადააჭარბა ჯგუფის მიერ ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილ წილს (რაც მოიცავს გრძელვადიან წილებს, რომლებიც არსებითად შეადგენს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის წილს), ჯგუფი წყვეტს ამის შემდეგ მიღებულ ზარალში თავისი წილის აღიარებას. შემდგომი ზარალი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა შეასრულა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულებები ან განახორციელა გადახდები მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს სახელით.

ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში წილობრივი მეთოდით აღირიცხება იმ დღიდან, როდესაც ინვესტირების ობიექტი იქცა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ. მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შესყიდვისას, სხვაობა ინვესტიციის ღირებულებასა და ინვესტირების ობიექტის წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაში ჯგუფის წილს შორის აღიარდება გუდვილად და შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულების გაანგარიშებაში. სხვაობა წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაში ჯგუფის წილსა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის, გადაფასების შემდეგ, დაუყოვნებლივ აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა ინვესტიციის შესყიდვა.

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის ინვესტიციაზე გაუფასურების ზარალის აღიარება, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებლობის შემთხვევაში, ინვესტიციის მთელი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ შესაბამისად, როგორც ერთი აქტივი. შემოწმების მიზნით მისი ანაზღაურებადი ღირებულება (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯები, შორის უმცირესი) ედრება მის საბალანსო ღირებულებას. აღიარებული გაუფასურების ზარალი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის შესაბამისად, ისე, რომ ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება, შედეგად, იზრდება.

ჯგუფი წილობრივი მეთოდის გამოყენებას წყვეტს იმ დღიდან, როდესაც ინვესტიცია აღარ ითვლება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ ან მაშინ, როდესაც ინვესტიცია გადადის გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაში. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში და ეს შენარჩუნებული წილი არის ფინანსური აქტივი, ჯგუფი შენარჩუნებულ წილს აფასებს რეალური ღირებულებით ამ დღის მდგომარეობით და, ბასს 39-ის შესაბამისად, ეს ღირებულება ითვლება რეალურ ღირებულებად თავდაპირველი აღიარებისას. სხვაობა წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტის დღეს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და შენარჩუნებული წილის რეალური ღირებულების და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის გასვლით მიღებული შემოსავლის ჯამს შორის, შედის ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გასვლით მიღებული მოგება-ზარალის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, ამავე მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებულ ყველა თანხას ჯგუფი აღრიცხავს ისევე, როგორც აღრიცხავდა იმ შემთხვევაში, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები პირდაპირ რომ გაეყიდა. ამდენად, თუ ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიერ სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება ან ზარალი შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გაყიდვისას რეკლასიფიცირდებოდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ჯგუფი წილობრივი მეთოდის

გამოყენების შეწყვეტისას მოგებას ან ზარალს გადაიტანს კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირებას).

წილობრივი მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში იქცევა ინვესტიციად ერთობლივ საწარმოში ან ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში იქცევა ინვესტიციად მეკავშირე საწარმოში. საკუთრების წილებში ამგვარი ცვლილება რეალური ღირებულების გადაფასებას არ იწვევს.

თუ ჯგუფმა შეამცირა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილი, მაგრამ გააგრძელა წილობრივი მეთოდის გამოყენება, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება-ზარალის ის წილი, რომელიც დაკავშირებული იყო ფლობილი წილის შემცირებასთან, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეკლასიფიცირდება, თუ შესაბამისი აქტივების ან ვალდებულების რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი ან ზარალი მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდებოდა.

ჯგუფში შემავალ საწარმოსა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, მის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მხოლოდ იმ წილის პროპორციულად, რომელიც არ არის დაკავშირებული ჯგუფთან.

ამონაგების აღიარება – ამონაგები შეფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებს გამოაკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება.

<u>საქონლის რეალიზაცია.</u>
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

ჯგუფი საწვავის, გაზისა და სხვა საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

როდესაც მომხმარებლისგან მიღებული გადახდები აღემატება გადაცემულ პროდუქციას ან ხელშეკრულებით გაწეულ მომსახურებას, აღიარებულია ხელშეკრულების ვალდებულება. ასეთი სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია როგორც წინასწარი გადახდები მიღებული ავანსებისა და სხვა ვალდებულებების შესაბამისად. საკონტრაქტო ვალდებულებები არ აღირიცხება, როგორც ამონაგები, სანამ შესაბამისი საქონლის მიწოდება ან მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდება არ განხორციელდება.

მომხმარებელთა ერთგულების პროგრამა.

ჯგუფს აქვს ერთგულების პროგრამა, გალფ-კლუბი, რომლის ფარგლებში მომხმარებლები ქულებს აგროვებენ განხორციელებული შესყიდვებისთვის, რაც მათ სამომავლო შესყიდვებზე ფასდათმობების მიღების უფლებას აძლევს. ამ ქულებიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც ქულები გამოისყიდება ან როდესაც ამოიწურება მოქმედების ვადა, თავდაპირველი ოპერაციიდან თორმეტ თვეში. ოპერაციის ფასი განაწილდება გაყიდულ საქონელსა და მინიჭებულ ქულებზე, მათი ცალკე გაყიდვის ფარდობითი ფასების საფუძველზე. ქულებისთვის სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება გაყიდვის მომენტში.]

საიჯარო შემოსავალი
ჯგუფის პოლიტიკა საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით აღწერილია ქვემოთ.

დივიდენდური და საპროცენტო შემოსავალი

დივიდენდური შემოსავალი ინვესტიციებიდან აღიარდება, როდესაც განისაზღვრება მფლობელის უფლება, მიიღოს გადახდები (იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია). საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი დაირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროგნოზო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება წმინდა დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), წმინდა დღევანდელ ღირებულებას, იჯარის წამახალისებელი მოთხოვნების გამოკლებით.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც ჯგუფის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსასაზღვრად, ჯგუფი იყენებს ბოლო დროინდელ მესამე მხარეების დაფინანსების განაკვეთს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ არის გამოქვეყნებული.

გაგრძელების შესაძლებლობები შეყვანილია ჯგუფის იჯარებში, თუ ეს გამოყენებადია. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით. გაგრძელების შესაძლებლობების სარგებლობის უფლება მხოლოდ ჯგუფს აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლების ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

საოპერაციო იჯარა. მაშინ, როდესაც ჯგუფი მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაიცემა მოიჯარეს (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საოპერაციო იჯარიდან მიღებული იჯარის გადახდები აღიარდება, როგორც სხვა შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე. მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარის მიერ იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვა ახალ იჯარად, იმ წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების გათვალისწინებით, რომლებიც კავშირშია თავდაპირველ იჯარასთან, როგორც ახალი საიჯარო შეთანხმების საიჯარო გადახდების ნაწილი.

უცხოური ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება საწარმოს ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი რეალური ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით ხელახალი კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია პირვანდელი ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ლარი/აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/ევრო	3.5040	4.0233

ნასესხები სახსრების ხარჯები – ნასესხები სახსრების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ისეთი განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელთა გამზადებას

მოსახმარად ან გასაყიდად დიდი დრო სჭირდება, ემატება ამ აქტივების თვითღირებულებას მანამდე, სანამ ეს აქტივები არსებითად არ გამზადდება დაგეგმილი მოხმარების ან გაყიდვისათვის.

ნასესხები სახსრების ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის პერიოდში.

მოგების გადასახადი. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ განაწილდებოდა დივიდენდების სახით.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მოკლევადიანი საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები შეფასდება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ერთეულებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.
ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ნაშთი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესასყიდ ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებლებსა და გადასახადებს შენაძენზე, რომლებიც არ ბრუნდება, დისკონტებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ყველა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ერთეულის იმ ადგილასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას; (გ) ერთეულის დემონტაჟის, გადაადგილების და მონტაჟის ხარჯების წინასწარ გაანგარიშებას; (დ) ვალდებულებას, რომელსაც ჯგუფი კისრულობს ან მუხლის შესყიდვისას ან იმის

შედეგად, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მარაგების დამზადების ნაცვლად ის სხვა მიზნით გამოიყენა; და (ე) კვალიფიციური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებულ ნასესხები სახსრების ხარჯებს.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებისა და ჩანაცვლების მსხვილ ხარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას და ზრდის შემოსავლის გენერირების შესაძლებლობებს. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, გაწევისას აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთის დარიცხვის შედეგად ცვეთადი ღირებულება ჩამოიწერება აქტივის სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ძირითად საშუალებათა კატეგორიები	**წლები**
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-13
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე აღჭურვილობა	5
სხვა ფიქსირებული აქტივები	5-13
საიჯარო გაუმჯობესებები	7

საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების მუხლის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების ამ მუხლის გასვლით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი უკვე რომ იყოს იმ ასაკისა და ისეთ მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს. წინა შეფასებების ცვლილების გავლენა აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალების მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის მშენებლობისას გაწეულ პირდაპირ დაკავშირებულ ცვლად ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მისი ცვეთა, სხვა ძირითადი საშუალებების მსგავსად, იწყება, როდესაც აქტივები მზადაა მოსახმარად, ანუ მაშინ, როდესაც აქტივები არის იმ ადგილასა და მდგომარეობაში, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას.

აქტივების გამოყენების უფლება - ჯგუფი იჯარით იღებს ოფისს, საწვავის ბაზების შენობებს, საწყობებს, მიწას და იმ შენობა-ნაგებობებს, რომლებიც დაკავშირებულია ბენზინგასამართ სადგურებთან. იჯარისგან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი

აქტივების გამოყენების უფლება შეფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულებების თავდაპირველი შეფასების ოდენობას;
- საიჯარო გადასახადს, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლების გამოკლებით.
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯს; და
- საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით აქტივის აღდგენის ხარჯებს

აქტივების გამოყენების უფლება საერთოდ ცვეთას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ყველა იმ იჯარისთვის, სადაც ჯგუფი მეიჯარეა, იჯარის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთა ერიცხება 3-20 წლის განმავლობაში ოფისისს, საწვავის ბაზების შენობების, საწყობების და ბენზინგასამართ სადგურებთან დაკავშირებული მიწისა და შენობა-ნაგებობების იჯარის პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე

არამატერიალური აქტივები - ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიებისთვის სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს 1 წლიდან 15 წლამდე.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და გასვლის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმაღლესამდე.

აქტივების გაუფასურება - ყოველ საანგარიშო პერიოდის დასასრულს, კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, არის თუ არა ნიშანი იმისა, რომ აქტივებმა განიცადეს გაუფასურება. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება ფულადი სახსრების წარმომქმნელ უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებასა (გამოკლებული რეალიზაციის ღირებულება) და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მათ დღევანდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასება და იმ აქტივისათვის

დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც არ დაკორექტებულა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დაუდგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების აღიარება. გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. . მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად შეფასების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, შეფასების დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში, ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ შეფასების დღეს აქტივისა და ვალდებულების ფასწარმოქმნისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების შეფასება იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი ამოსავალი მონაცემებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს ამოსავალი მონაცემები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება საწარმოს შეუძლია შეფასების დღეს;
- მე-2 დონის ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის ამოსავალ მონაცემებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები

რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებულ ოპერაციას.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამყარებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი, ამორტიზირებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის ის საზღაური, რომელიც გადავადდა წარმოშობისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები, საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი პირობები:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას საწვავის, გაზისა და სხვა საქონლის გაყიდვიდან. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება. ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გამოსყიდულია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაჰენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

იმ ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა მიწოდება უნდა მოხდეს რეგულირებით ან ბაზარზე შეთანხმებით დადგენილ ვადაში (რეგულარული ყიდვა-გაყიდვა), აისახება ვაჭრობის თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, რომელშიც ჯგუფი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდებას. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულების მხარე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას, ანაცვლებს იმავე გამსესხებელთან სხვა ფინანსური ვალდებულება, არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები . წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ასახულია მათი რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ასახულია, როგორც აქტივები მაშინ, როდესაც რეალური ღირებულება დადებითია და როგორც ვალდებულებები, როდესაც რეალური ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებებში ცვლილებები, წლის მოგება-ზარალშია შეყვანილი. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

გარკვეული ფინანსურ ვალდებულებებსა და სხვა არაფინანსურ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები განიხილება, როგორც ცალკე წარმოებული ინსტრუმენტები, როდესაც მათი რისკები და მახასიათებლები არ არიან მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად ხელშეკრულებასთან.

სავალუტო ფორვარდები, რომლებიც ჩართულია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში, განცალკევებულია ძირითადი ხელშეკრულებისგან და აღირიცხება ცალკე, თუ ხელშეკრულება არ არის დენომინირებული ხელშეკრულების ნებისმიერი არსებითი მხარის სამუშაო ვალუტაში ან ისეთ ვალუტაში, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც ტრანზაქციას აქვს ადგილი, როგორიცაა აშშ დოლარი და ევრო ხელშეკრულებებისთვის.

ჯგუფის მიერ გაფორმებული საწვავის პროდუქტების ხელშეკრულებები მოიცავს ცვალებადობას, რომელიც უკავშირდება სასაქონლო ბაზრის ფასს, ამრიგად, მოიცავს ჩართულ წარმოებულს, რომელიც არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად ფინასურ ვალდებულებასთან.

ჯგუფმა რეალური ღირებულების შესაძლებლობა აირჩია იმისათვის, რომ გაეცალკევებინა ჩართული წარმოებული ძირითადი ფინანსური ვალდებულებისგან და იმისათვის, რომ ყველა ჰიბრიდული ფინანსური ვალდებულების კლასიფიკაცია განეხორციელებინა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). FVTPL -ით კლასიფიცირებული ჰიბრიდული ფინანსური ვალდებულებების შემდგომი ცვლილებები კორექტირდება და დაიყვანება მარაგების თვითღირებულებამდე, იმის საფუძველზე, რომ მსგავსი ცვლილებები წარმოადგენს შესყიდვის ან იმ სხვა ხარჯების ნაწილს, რომელიც გაწეულია მარაგების ამჟამინდელ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობაში მისაყვანად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები . ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულად სახსრებს ბანკებში, შეზღუდულ ფულად სახსრებს, ფულად სახსრებს ტრანზიტში, დეპოზიტებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკის გაწევის და ღირებულებაში ცვლილების გარეშე დაუყოვნებლივ მოთხოვნის შესაძლებლობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შემდგომში შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება, აისახება ნომინალური ღირებულებით. არა-ანაზღაურებადი საპროგნოზო თანხების შესაბამისი ანარიცხი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული ანარიცხის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო შეფასებული ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი აღარებისას გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები– სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შევა ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) მოწოდებულია შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისთვის (12 თვიანი ECL). ისეთი საკრედიტო დაქვემდებარებისთვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ზარალის ანარიცხი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (ECL -ის არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში იქმნება 12 თვიანი ECL.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი ECL -ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ

ადევნებს, არამედ აღიარებს ზარალის ანარიცხს თითოეულ საანგარიშგებო დღეს ECL -ის არსებობის მანძილის საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა ანარიცხის მატრიცა, რომელიც ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი პერსპექტიული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსთვის არის სპეციფიური. საწვავის გაყიდვის სავაჭრო მოთხოვნები ფასდება ჯგუფურად.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს დეფოლტის პარამეტრის ზღვრული ალბათობის რისკის პარამეტრებს, დეფოლტის შემთხვევაში რისკის მოცულობის პარამეტრს და დეფოლტით გამოწვეული ზარალის პარამეტრს. თუ საბაზო ნიშნულის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად იყენებს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებს. საბაზისო მიდგომის გამოყენების მიზნებისათვის ერთერთი მთავარი მონაცემია გარე რეიტინგები ან მათი საბაზისო ნიშნულები კონტრაჰენტის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის გამოყენებით. ჯგუფი გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას იკვლევს ღია წყაროების საშუალებით, მათ შორის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებგვერდებზე, როგორებიცაა „მუდის“(Moody's), „ფიტჩი“ (Fitch) და „სტანდარდ ენდ ფურზი“(S&Ps). თუ გარე რეიტინგი ხელმისაწვდომი არ არის, ჯგუფი მოიპოვებს კონტრაჰენტის ფინანსურ ანგარიშგებებს და საბაზისო რეიტინგს ადგენს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, „მუდის“ ფინანსური კოეფიციენტების კვლევის საშუალებით.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ თავდაპირველი აღიარებისას შესაბამის თარიღებში, თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ჯგუფი სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა ანარიცხის მატრიცის შექმნა. არა-ანაზღაურებადი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული სახელშეკრულებო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად

აქტივები, რომლების ამოღების შესაძლებლობა არ არსებობს, ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგება-ზარალის მიხედვით.

გაცემული სესხები - გაცემული სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მარაგები - ჯგუფის მარაგებს წარმოადგენს გადასაყიდად გამიზნული საწვავი და სხვა მარაგები. გადასაყიდად გამიზნული საწვავი პროდუქტები წარმოადგენს საბირჟო საქონელს, რომელიც შეძენილია ახლო მომავალში გასაყიდად, ფასის რყევების შედეგად მოგების წარმოქმნის მიზნით. ეს მარაგები თავდაპირველად აღიარდება ფორვარდული სასაქონლო ფასის საფუძველზე (რაც ნიშნავს ანგარიშსწორებისას შეფასებულ ფორვარდულ ფასს) და შემდგომში შეფასდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული რეალიზაციის თვითღირებულება, ცვლილებით რეალურ ღირებულებას გამოკლებულ რეალიზაციის თვითღირებულების მოგებაში ან ზარალში აღიარებით, ცვლილების განხორციელების პერიოდში.
სხვა მარაგები აღრიცხულია თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს შეფასებულ გასაყიდ ფასს საქმიანობის ნორმალურ პირობებში წარმოებისას, შემცირებული დასრულებისა და რეალიზაციის ხარჯებით.

სხვა მარაგების ღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში პრინციპის საფუძველზე.

ანარიცხები – ანარიცხები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული მოვლენის შედეგად, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. ანარიცხად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება

თუ ანარიცხის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ ფასდება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა არც ისე შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ სავარაუდოა ჯგუფის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება.

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად - ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი - სააქციო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები - დივიდენდები აღირიცხება საკუთარ კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე

გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები - მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით არა-ანაზღაურებადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

დასაქმებულთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არა-ფულადი სარგებელი (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება და საბავშვო ბაღი) დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები კანონით განსაზღვრულ, დადგენილშენატანიან სქემაში გახნორციელებული გადახდების მიღმა.

ცვლილებები წარდგენაში - წლის განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა ქირავნობის ხარჯების კლასიფიკაცია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ჯგუფს მიაჩნია, რომ ცვლილება იძლევა სარწმუნო და უფრო შესაბამის ინფორმაციას. ბასს 8-ის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად და შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარდგენის მიზნებისთვის გადაანგარიშების გავლენა შემდეგი იყო:

	თავდაპირველი წარდგენის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქირავნობის ხარჯი	3,176	(678)	2,498
შენახვის ხარჯი	-	678	678

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში 3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, განსჯისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებიდან მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და მასთან ასოცირებული დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასების განუსაზღვრელობის მთავარი წყაროები

<u>დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება.</u> ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

<u>იჯარები</u>-იმის განსაზღვრა, იჯარა მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი, დროდადრო წარმოადგენს ხელმძღვანელობის განჯის საკითხს, მსგავსი შეთანხმებების და მეიჯარეების გამოცდილების საფუძველზე, ხელმძღვანელობამ განსაკუთრებით ითვალისწინებს იჯარის შეთანხმების გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ხელმძღვანელობა გონივრულად დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს იჯარის გაგრძელების ან არ შეწყვეტის შესაძლებლობას. მაშინ, როდესაც იჯარაში არ არის გათვალიწინებული საპროცენტო განაკვეთი, ხელმძვანელობა იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

<u>გუდვილის გაუფასურება</u> - იმის დასადგენად, არის თუ არა გუდვილი გაუფასურებული, ფასდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გამოყენებული ღირებულება, რომელზეც მოხდა გუდვილის განაწილება. გამოყენებული ღირებულების გასაანგარიშებლად დირექტორები აფასებენ იმ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოიშვება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან და ადგენენ დისკონტირების განაკვეთს დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად.

<u>დაბეგვრა</u> - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო, ტრანზაქციები ამ უკანასკნელებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და კონსოლიდირებულ ფინანსურ

ანგარიშგებაში დამატებითი ანარიცხი არ შექმნილა. ანგარიშები საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა სამი წლის განმავლობაში.

<u>სამართლებრივი დავების ანარიცხი</u> - სამართლებრივი დავების ანარიცხი დადგენა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია. ამ პროცესში ხელმძღვანელობა განიხილავს სამართლებრივი დავების მოსალოდნელ შედეგებს და მხედველობაში იღებს ამ დავების გარემომცველ რისკებსა და განუსაზღვრელობებს.

<u>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</u> - ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ქმნის იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხავად, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მისი კლიენტებს არ აქვთ უნარი, განახორციელონ სავალდებულო გადახდები ან მაშინ, როდესაც მის მომწოდებლებს არ აქვთ უნარი, მიაწოდონ მას შეთანხმებული პროდუქტები ან მომსახურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას, ხელმძღვანელობა დასკვნებს აკეთებს მიმდინარე ზოგადი ეკონომიკური გარემოებების, მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ვადების, ჩამოწერების ისტორიული გამოცდილების, კლიენტისა და მომწოდებლის საკრედიტო ხარისხისა და გადახდის პირობების ცვლილებების საფუძველზე. ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტული კლიენტისა და მომწოდებლის გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გააჩინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირების აუცილებლობა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 835 ათასი ლარით ან მისი შემცირება 683 ათასი ლარით (2020 წ. გაზრდა 710 ათასი ლარით ან შემცირება 581 ათასი ლარით).

<u>აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება</u> - იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში შეყვანილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობ გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

შენობების იჯარებისთვის, ტიპიურად შემდეგი ფაქტორებია ყველაზე შესაბამისი:

- თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, ჯგუფს აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).

- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, ჯგუფს გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე)

სხვაგვარად, ჯგუფი ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს, რომელიც აუცილებელია იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად.

<u>იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები.</u> მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსასაზღვრად ჯგუფი იყენებს მისი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს აშშ დოლარში დენომინირებული იჯარებისთვის, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს და მესამე მხარეების საფინანსო განაკვეთი იმ იჯარებისთვის, რომლებიც დენომინირებულია ქართულ ლარში, როგორც ეს განმარტებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (სებ).

დისკონტირების განაკვეთის 10%-ით ზრდა ან შემცირება 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, გამოიწვევდა საიჯარო ვალდებულებების შემცირებას 3,782 ათასი ლარით ან ზრდას 4,412 ათასი ლარით (2020 წლის 31 დეკემბერი ₾3,246 ათასი და ₾3,720 ათასი).

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგე დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ამ შესწორებებმა მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს საიჯარო ქირის დათმობის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ საიჯარო ქირის დათმობებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება.

ჯგუფმა მეიჯარეებთან მოლაპარაკებები აწარმოა სხვადასხვა საიჯარო ქირის დათმობებზე საკუთრების იჯარებისთვის, მაგრამ არ გამოუყენებია არასავალდებულო შეღავათი. საიჯარო ქირის დათმობები, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-თან 2021 და 2020 წლის განმავლობაში,

აღირიცხა , როგორც იჯარის მოდიფიკაცია. ამ მოდიფიკაციების გავლენა წარმოდგენილია შენიშვნა 13-ში.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც. *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

IBOR-ის რეფორმის გავლენა. სხვადასხვა ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთების („IBORs“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული USD LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

ჯგუფს არ აქვს სესხი IBOR განაკვეთით, შესაბამისად, შესწორებები არ ახდენს გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვადასხვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა,

რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი- როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს

ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3-ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს

მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასააღვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია შემდეგი შესწორებები ფასს 17-სთვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და

ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.

- *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის

მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს

გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; სწარამოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფის მის ამონაგებს აწარმოებს საქონლისა და მომსახურების გადაცემით დროის ერთ მომენტში. 2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ამონაგები შედგებოდა შემდეგისგან:

	2021	2020
ამონაგები საწვავის გაყიდვიდან	667,129	450,405
ამონაგები გაყიდვის ობიექტებიდან	35,593	28,074
ამონაგები გაზის გაყიდვიდან	3,321	2,966
სხვა	2	1
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**706,045**	**481,446**

8. რეალიზაციის თვითღირებულება

2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2021	2020
საწვავის თვითღირებულება	598,990	392,056
გაყიდვის ობიექტებში მარაგების თვითღირებულება	26,404	20,924
გაზის თვითღირებულება	2,306	2,337
სხვა	2	1
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	**627,702**	**415,318**

9. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

2020 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები მოიცავდა:

	2021	2020
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	17,245	15,189
ცვეთის ხარჯი	6,610	6,106
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	4,390	3,558
ქირის ხარჯი (მოკლევადიანი იჯარები და ცვლადი გადახდები)	2,523	2,498
სარეკლამო ხარჯი	3,916	2,813
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	2,414	1,879
კომუნალური ხარჯები	2,759	1,734
ტრანსპორტირება	1,470	996
საბანკო მომსახურების დანახარჯები	1,309	741
შენახვის ხარჯები	695	678
საწვავი	662	413
სხვა	104	85

სულ გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	**44,097**	**36,690**

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2021	2020
სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	10,571	8,944
ხელმძღვანელობის საფასური	1,742	1,686
საკანცელარიო მასალები	1,013	1,313
პროფესიული მომსახურება	860	625
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	884	727
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	820	869
დაზღვევა	650	607
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	531	437
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	344	980
საბანკო მომსახურების დანახარჯები	312	290
აუდიტის საფასური	248	276
უსაფრთხოების ხარჯი	222	189
ქირის ხარჯი (მოკლევადიანი იჯარები და ცვლადი გადახდები)	190	161
სხვა	1,004	735
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**19,390**	**17,839**

11. სხვა შემოსავალი/ (ხარჯი), ნეტო

2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის სხვა შემოსავალი/ (ხარჯი) მოიცავდა:

	2021	2020
საწვავის შენახვის ნამეტი, ნეტო	2,492	1,472
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	747	472
COVID-19-თან დაკავშირებული მოგების გადასახადის სარგებელი	535	898
ქირავნობის შემოსავალი	454	391
სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის ნამეტი, ნეტო	109	315
დაზღვევის კომპენსაცია	144	20
სხვა	786	527
სხვა შემოსავალი	**5,267**	**4,095**
ქველმოქმედება	(210)	(376)
ჯარიმები	(71)	-
სხვა	(324)	(426)
სხვა ხარჯი	**(605)**	**(802)**

სულ, ნეტო	4,662	3,293

მოგების გადასახადის სარგებელი, რომელიც ეხება COVID-19-ს, უკავშირდება შესწორებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსში. 2021 წლის პირველი იანვრიდან და 2021 წლის 31 მაისამდე (2020 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე) 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამსაქმებელს უფლება ჰქონდა შეემცირებინა (არ გადაეხადა) გადასახადის დაკავება (გადახდის წყაროსთან დაბეგვრა) დაქირავებული თანამშრომლისთვის 750 ლარის ოდენობის ხელფასის გადახდისთვის, თუ დაქირავებული თანამშრომელის მიერ იგივე დამქირავებლისგან მიღებული ხელფასი კალენდარული თვის განმავლობაში არ აღემატება 1500 ლარს.

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	საიჯარო გაუმჯობესებები	სხვა გრძელვადიანი აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება									
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,862**	**42,405**	**10,723**	**5,008**	**8,666**	**10,927**	**7,360**	**390**	**116,341**
დამატებები	33	1,126	1,106	443	802	-	345	2,469	6,324
გასვლები	-	(5)	(56)	-	(33)	(91)	(10)	-	(195)
ტრანსფერები	-	71	125	(37)	154	1,903	267	(2,483)	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**30,895**	**43,597**	**11,898**	**5,414**	**9,589**	**12,739**	**7,962**	**376**	**122,470**
შვილობილი საწარმოს შეძენა	36,782	1,097.00	-	-	26	-	-	-	37,905
დამატებები	107	462	2,069	960	1,302	160	897	3,388	9,345
გასვლები	-	(19)	(96)	(126)	(872)	(203)	(43)	-	(1,359)
ტრანსფერები	-	1,405	80	-	172	1,043	304	(3,004)	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**67,784**	**46,542**	**13,951**	**6,248**	**10,217**	**13,739**	**9,120**	**760**	**168,361**
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	**17,789**	**6,960**	**3,780**	**6,570**	**5,770**	**4,452**	**-**	**45,321**
წლის დარიცხვა	-	2,651	959	396	716	1,188	481	-	6,391
გასვლისას ელიმინირებული	-	-	-	(38)	(41)	(71)	(6)		(156)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**20,440**	**7,919**	**4,138**	**7,245**	**6,887**	**4,927**	**-**	**51,556**
წლის დარიცხვა	-	2,837	1,157	448	860	1,308	511	-	7,121
გასვლისას ელიმინირებული	-	(17)	(238)	(125)	(848)	(106)	(23)	-	(1,357)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	23,260	8,838	4,461	7,257	8,089	5,415	-	57,320
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	67,784	23,282	5,113	1,787	2,960	5,650	3,705	760	111,041
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,895	23,157	3,979	1,276	2,344	5,852	3,035	376	70,914
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,862	24,616	3,763	1,228	2,096	5,157	2,908	390	71,020

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ძირითადი საშუალებები, 28,091 ათასი და 37,335 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, შესაბამისად, გამოყენებული ჰქონდა საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა 23).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილმა აქტივებმა შეადგინა 23,534 ათასი და 23,359 ათასი ლარი, შესაბამისად. სრულად გაცვეთილი აქტივები აქტივების ჯგუფების მიხედვით, შემდეგია:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შენობა-ნაგებობები	2,780	2,938
საიჯარო გაუმჯობესებები	4,353	4,229
მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობა	5,314	6,929
საოფისე აღჭურვილობა	4,690	1,986
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2,941	3,788
ავტომობილები	3,457	3,261
სულ	**23,535**	**23,131**

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ბენზინგასამართი სადგურები	სერვის ცენტრები	სხვა	სულ
ღირებულება						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**363**	**1,215**	**19,894**	**441**	**89**	**22,002**
დამატებები	-	-	6,603	-	243	6,846
გასვლები	-	-	(1,234)	-	-	(1,234)
მოდიფიკაცია	-	(109)	2,194	-	-	2,085
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**363**	**1,106**	**27,457**	**441**	**332**	**29,699**
დამატებები	-	-	1,442	-	-	1,442
გასვლები	-	-	(76)	-	-	(76)
მოდიფიკაცია	-	1,824	6,986	-	355	9,165
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**363**	**2,930**	**35,809**	**441**	**687**	**40,230**
დაგროვილი ცვეთა						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**102**	**606**	**2,741**	**76**	**39**	**3,564**
წლის დარიცხვა	56	500	3,372	132	225	4,285
გასვლისას ელიმინირებული	-	-	(202)	-	-	(202)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**158**	**1,106**	**5,911**	**208**	**264**	**7,647**
წლის დარიცხვა	56	733	4,098	132	255	5,274
გასვლისას ელიმინირებული	-	-	(10)	-	-	(10)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**214**	**1,839**	**9,999**	**340**	**519**	**12,911**
წმინდა საბალანსო ღირებულება						

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**149**	**1,091**	**25,810**	**101**	**168**	**27,319**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**205**	**-**	**21,546**	**233**	**68**	**22,052**

ჯგუფმა აღიარა საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 დეკემბერი	**2020 წლის 31 დეკემბერი**
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	5,904	3,911
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	25,551	23,177
სულ	**31,455**	**27,088**

საიჯარო ვალდებულებებში მოძრაობები 2021 და 2020 წლების განმავლობაში იყო შემდეგი:

	2021	**2020**
საიჯარო ვალდებულება 1 იანვარს	**27,088**	**20,557**
საიჯარო ვალდებულების აღიარება	1,442	6,846
საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო დანახარჯი	2,573	2,021
ვალუტის კურსის გავლენა	(1,364)	2,403
საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა	(71)	(1,036)
იჯარის მოდიფიკაცია	9,281	2,011
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(2,592)	(2,002)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(4,902)	(3,712)
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**31,455**	**27,088**

აქტივის გამოყენების უფლების შეწონილი საშუალო იჯარის ვადა 6.75 წელია (2020: 6 წელი) და საიჯარო ვალდებულებებში გამოყენებული მოიჯარის შეწონილი საშუალო ზღვრული სასესხო განაკვეთი არის 7.88% (2020: 8.28%).

მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები	**2021**	**2020**
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	5,274	4,285
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	2,573	2,021
ხარჯი, რომელიც უკავშირდება ისეთ გადახდებს, რომლებიც არ არის შეყვანილი საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში	3,409	3,337
სულ	**11,256**	**9,643**

14. გუდვილი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილის ღირებულება იყო 2,436 ათასი ლარი.

გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც წარმოადგენს ჯგუფში უდაბლეს დონეს (ბენზინგასამართი სადგურები), რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი ხელმძღვანელობის მხრიდან.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებული ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე, რომელშიც გამოყენებული იყო ხუთწლიან პერიოდზე ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტებით მიღებული ფულადი ნაკადების პროგნოზი.ხუთწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადები ექსტრაპოლირდება ქვემოთ აღნიშნული შეფასებული ზრდის განაკვეთებით. ზრდის განაკვეთები არ აჭარბებს ეკონომიკის იმ სექტორის გრძელვადიან საშუალო ზრდის მაჩვენებლებს, რომლებშიც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები ოპერირებს.

იმ გამოყენებული ღირებულებების გასაანგარიშებელი დაშვებები, რომელთა მიმართ ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მეტ მგრძნობელობას ამჟღავნებს, მოიცავს საოპერაციო ფულადი ნაკადების საშუალო კლების განაკვეთს ხუთი წლის განმავლობაში - წლიური 4.6%, საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდის განაკვეთი ხუთი წლის შემდეგ - წლიური 2.5%, გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთი - წლიური 13.75%.

ხელმძღვანელობამ დაგეგმილი ფულადი ნაკადები განსაზღვრა ისტორიული შედეგებისა და ბაზრის მოლოდინების გათვალისწინებით. გამოყენებული დისკონტირებული განაკვეთები დაბეგვრამდეა და ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებულ სპეციფიურ რისკებს.

15. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, ამავე წლებში დარიცხული ამორტიზაცია შეადგენდა 20 ათას და 152 ათას ლარს, შესაბამისად.

16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში იყო:

		2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების წილი	საბალანსო ღირებულება	საკუთრების წილი	საბალანსო ღირებულება
„შპს არსენალი“	საკუთრების ფლობა	50.00%	406	50.00%	1,424
შპს „გიორგი 96“	საკუთრების ფლობა	49.50%	928	49.50%	926
შპს „ემჯი“	საკუთრების ფლობა	40.00%	890	40.00%	1,003
შპს „ვიპ ნუკოილი“	საკუთრების ფლობა	50.00%	402	50.00%	515
შპს „ნიაზი“	საკუთრების ფლობა	32.00%	133	32.00%	226
შპს „კარე +“	საკუთრების ფლობა	50.00%	125	50.00%	131
			2,884		**4,225**

ყველა მეკავშირე საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოა.

ხელმძღვანელობამ შეაფასა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ამოღებადობა და დაასკვნა, რომ მათი სრულად ამოღება შესაძლებელია. ჯგუფი ახლო მომავალში გეგმავს ამ მეკავშირე ინვესტიციებში შესული ბენზინგასამართი სადგურების განვითარებასა და ოპერირებას.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, მოძრაობა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებულ ინვესტიციებში იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი წლის დასაწყისში	4,226	3,926
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	747	472
მიღებული დივიდენდები	(2,089)	(173)
ნაშთი წლის ბოლოს	**2,884**	**4,225**

ქვემოთ მოცემულია დაჯამებული ფინანსური ინფორმაცია ჯგუფის მეკავშირე საწარმოების შესახებ:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სულ აქტივები	3,378	3,290
სულ ვალდებულებები	(481)	(324)
წმინდა აქტივები	2,897	2,966
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში	**1,385**	**1,398**

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სულ ამონაგები	1,884	1,313
წმინდა მოგება	1,784	1,132
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა მოგებაში	**747**	**472**

17. მარაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საწვავი	49,207	39,922
მარაგები სავაჭრო ობიექტებში	5,710	4,337
სათადარიგო ნაწილები და მასალები	251	248
სხვა	4,387	2,946
სულ მარაგები	**59,554**	**47,453**

ჯგუფმა ბანკიდან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად საწვავის სრული მარაგი დააგირავა (იხილეთ შენიშვნა 23).

18. გაცემული სესხები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
კომპანიებზე გაცემული სესხები	-	61,146
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	382	425
სულ	**382**	**61,571**
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	364	414
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	18	61,157

გაცემული სესხები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიებმა „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ“, შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსმა“ და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“ ხელი მოაწერეს სამმხრივ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, მანამდე ჯგუფთან დაკავშირებულ მხარეზე, „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ“-ზე გაცემული სესხი გადაეცა სხვა დაკავშირებულ მხარეს, შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსს“.

2021 წლის 15 ოქტომბერს, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჯგუფის მიერ მოხდება აღნიშნული სესხის სრული ოდენობის ანგარიშსწორება, შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენსის 100% -ით ფლობის გზით, კომპანიის, რომელიც თავის მხრივ შპს ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსის მიერ არის სრულად ფლობილი. შესაბამისად, სესხი, დარიცხულ პროცენტთან ერთად, მთლიანად დაფარული იქნება. საწარმოთა გაერთიანების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	24,906	13,879
სხვა მოთხოვნები	2,448	2,538
	27,354	**16,417**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(6,444)	(6,100)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**20,910**	**10,317**

ჯგუფი საცალო კლიენტებთან ნაღდი ანგარიშსწორებით ვაჭრობას აწარმოებს. ყველა საბითუმო და კორპორატიული კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის დამტკიცების

პროცედურებს გადის, რაც ხელს უწყობს კარგი კრედიტუნარიანობის კლიენტების პორტფელის შექმნას.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის განსაზღვრისას, ჯგუფი ამოწმებს, ხომ არ მომხდარა მის საკრედიტო ხარისხში რაიმე ცვლილება კრედიტის მინიჭების დღიდან საანგარიშგებო დღემდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტების ბაზა დიდია და არაერთგვაროვანი.

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**(6,100)**	**(5,148)**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(344)	(952)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერა	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ანაზღაურება	-	-
ნაშთი	**(6,444)**	**(6,100)**

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი:

2021 წლის 31 დეკემბერი	არა ვადაგადაც ილებული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაც ილებით	- 30-90 დღის ვადაგადაც ილებით	- 91-180 დღის ვადაგადაც ილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაც ილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	19,178	838	413	328	6,598	27,354
POD %	1%	11%	29%	20%	90%	24%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე	(198)	(94)	(120)	(65)	(5,967)	(6,444)

2020 წლის 31 დეკემბერი	არა ვადაგადაც ილებული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაც ილებით	- 30-90 დღის ვადაგადაც ილებით	- 91-180 დღის ვადაგადაც ილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაც ილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	9,063	450	132	112	6,660	**16,417**
POD %	1%	7%	16%	5%	90%	37%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე	(65)	(31)	(21)	(6)	(5,977)	**(6,100)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკის რეიტინგის განმარტებები:

	2021 წლის 31 დეკემბერი		
	მეორე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- არა კრედიტ-გაუფასურებული	მესამე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- კრედიტ-გაუფასურებული	სულ
არა ვადაგადაცილებული	19,178	-	19,178
0-30 ვადაგადაცილებით	838	-	838
30-90 ვადაგადაცილებით	413	-	412
90-180 ვადაგადაცილებით	-	328	328
180> ვადაგადაცილებით	-	6,597	6,597
სულ	**20,429**	**6,925**	**27,354**

	2020 წლის 31 დეკემბერი		
	მეორე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- არა კრედიტ-გაუფასურებული	მესამე ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე- კრედიტ-გაუფასურებული	სულ
არა ვადაგადაცილებული	9,063	-	9,063
0-30 ვადაგადაცილებით	450	-	450
30-90 ვადაგადაცილებით	132	-	132
90-180 ვადაგადაცილებით	-	112	112
180> ვადაგადაცილებით	-	6,660	6,660
სულ	**9,645**	**6,772**	**16,417**

20. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ავანსები საქონლის მიწოდებისათვის	1,750	1,261
სხვა ავანსები	3,490	768
	5,240	**2,029**

21. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2021 და 2020 წლის მდგომარეობით ფულადი ნაკადები და მათი ეკვივალენტები იყო შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	296	199
მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები	31,466	6,953
ნაღდი ფული ტრანზიტში	776	372
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**32,538**	**7,524**

მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები განთავსებულია 2 ქართულ ბანკში, რომლებსაც Fitch-ის სარეიტინგო სისტემის მიხედვით, მინიჭებული აქვს BB- რეიტინგი. დენომინაციის ვალუტის დეტალებისთვის, იხილეთ შენიშვნა 27.

22. კაპიტალში განხორციელებული შენატანი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავტორიზებული და გადახდილი კაპიტალი იყო 49,385 ათასი ლარი. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩურ ჰოლდინგსი“.

2021 წლის განმავლობაში განაწილებული დივიდენდები 333 ათასი ლარის ტოლია (2020 წელს 6,361 ათასი ლარი).

2021 წლის 15 დეკემბერს შპს „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩურ ჰოლდინგზე“ გაცემული სესხი განხორციელდა ჯგუფში აქტივების შეძენისა და კაპიტალის შემცირების გზით. კაპიტალის შემცირებამ, რასაც მოჰყვა ეს ოპერაცია, შეადგინა 6,090 ათასი აშშ დოლარი (18,866 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 30 ამ ოპერაციის შესახებ დამატებითი დეტალებისთვის.

23. სესხები და ნასესხები სახსრები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები და ნასესხები სახსრები იყო შემდეგი:

უზრუნველყოფილი სესხები და ნასესხები სახსრები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საქართველოს ბანკი 7819448	აშშ დოლარი	5.90%	თებ--22	29,129	-
პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედი	აშშ დოლარი	4.25%	თებ--26	17,555	22,695
ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედი	აშშ დოლარი	4.50%	ნოე-22	18,658	9,904
თიბისი ბანკი - 2135388-10731339	აშშ დოლარი	6.5%	ნოე-22	18,518	12,203
თიბისი ბანკი - 2135388-9842150	აშშ დოლარი	8.02%	ნოე- 22	8,939	270
თიბისი ბანკი - 2135388-8630397	აშშ დოლარი	9.70%	ოქტ-22	849	1,728
საქართველოს ბანკი – 1123288	აშშ დოლარი	10.00%	აპრ-21	-	965
საქართველოს ბანკი – 6984741	აშშ დოლარი	5.90%	თებ-21	-	13,119
სულ სესხები და ნასესხები სახსრები				**93,648**	**60,884**
სესხების და ნასესხები სახსრების მოკლევადიანი წილი				79,994	42,315
სესხების და ნასესხები სახსრების გრძელვადიანი წილი				13,654	18,569

2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა მნიშვნელოვნად გაზარდა სესხები, რაც ძირითადად დაკავშირებულია მსოფლიო ბაზარზე საწვავის შესყიდვის გაზრდილ ფასებთან, წინა პერიოდთან შედარებით. წინა წელთან შედარებით ჯგუფს ასევე ჰქონდა მარაგებისა და შესყიდვების ზრდა, რაც დაკავშირებულია სესხების ზრდასთან.

მოყვანილი ცხრილი დეტალურად ასახავს ჯგუფის ნასესხები სახსრების ცვლილებებს, მათ შორის როგორც ფულად, ასევე არაფულად ცვლილებებს:

	2021	2020
სესხებისა და ნასესხები სახსრების ნაშთები 1 იანვრის მდგომარეობით	**60,880**	**70,426**
სესხებისა და ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	334,075	239,423
საპროცენტო ხარჯი	4,172	3,526
სავალუტო კურსების ცვლილების გავლენა	(3,388)	6,482
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(3,880)	(4,024)

დაფვარვა	(298,211)	(254,953)
სესხებისა და ნასესხები სახსრების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**93,648**	**60,880**

სესხების და ნასესხები სახსრების დაფვარვის ვადები შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ერთ თვეში	18,762	107
ერთიდან სამ თვემდე	30,237	15,954
სამიდან თორმეტ თვემდე	30,995	26,254
სულ ერთ წელიწადში დასაფარი მიმდინარე ნაწილი	**79,994**	**42,315**
ერთიდან ხუთ წლამდე	13,654	18,569
სულ სესხები და ნასესხები სახსრები	**93,648**	**60,884**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი შესაბამისობაში იყო სს „თიბისი ბანკთან“ და სს „საქართველოს ბანკთან“ არსებული სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი ლევერიჯის კოეფიციენტებთან მიმართებაში.

სესხები და ნასესხები სახსრები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 12) და მარაგებით (შენიშვნა 17).

24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები იყო შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება საწვავზე	44,686	39,798
სავაჭრო ობიექტებში არსებული მარაგების სავაჭრო ვალდებულება	2,503	2,383
ცვლადი და მოკლევადიანი ქირავნობის ვალდებულება	296	3,152
გაზის სავაჭრო ვალდებულება	284	209
სხვა	2,382	2,825
	50,151	**48,367**

25. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მას აძლევს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეიძინოს საწვავი რეალური ღირებულებით, 5,895 ათასი ლარის ოდენობით ((2020: 11,074 ათასი ლარი) დაკავშირებული

მხარეებისგან. ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება უფლებით სარგებლობა, არ არის შეზღუდული.

26. მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საწვავზე მიღებული ავანსები	8,970	8,580
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	644	260
ხელფასის დარიცხვა	165	115
სხვა მიღებული ავანსები	56	57
სხვა ვალდებულებები	395	701
	10,230	**9,713**

საწვავისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს კლიენტებისგან მიღებულ ფულად ანაზღაურებას, რომელიც განხორციელდა გალფის ბარათებითა და კუპონებით, რომელთა სანაცვლოდ, ჯგუფს ნაკისრი აქვს მომავალში კლიენტისათვის საწვავის გადაცემის ვალდებულება. 2021 და 2020 წლების მდგომარეობით, მოძრაობა მიღებულ ავანსებში შემდეგია:

	2021	2020
1 იანვარს	**8,580**	**6,712**
წლის განმავლობაში მიღებული ავანსები	142,604	97,454
წლის განმავლობაში ამონაგებად აღიარებული	(142,214)	(95,586)
31 დეკემბერს	**8,970**	**8,580**

27. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ გარიგებაში. ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და რეალური ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი

საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი, მითითებული დაფარვის ვადების მქონე ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება გამოთვლილი იყო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან. . ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა 1 დონის შეფასების გამოყენებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მე-3 დონის შეფასების გამოყენებით.

კაპიტალის რისკის მართვა. ჯგუფი განაგებს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფის საწარმოებმა შეძლონ გააგრძელონ საქმიანობა, როგორ ფუნქციონირებადმა საწარმოებმა და ამავდროულად კაპიტალის მფლობელისთვის, სესხისა და კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით უკუგების მაქსიმალურად გაზრდისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ამ განხილვის შედეგების საფუძველზე, ჯგუფი იღებს ზომებს კაპიტალის მთლიანი სტრუქტურის დაბალანსებისთვის დივიდენდების, ახალი აქციების გამოშვების, აგრეთვე ახალი სესხებისა და ნასესხები სახსრების ან არსებული სესხებისა და ნასესხები სახსრების გამოსყიდვის გზით.

ვალდებულების სახით მიღებული კაპიტალის კოეფიციენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სესხები და ნასესხები სახსრები	23	93,648	60,884
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21	(32,537)	(7,524)
წმინდა ნასესხები სახსრები		**61,111**	**53,360**
კაპიტალი	**22**	**71,716**	**71,805**
წმინდა ვალის თანაფარდობა კაპიტალთან		85.2%	74.3%

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც შემცირებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით.

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	20,910	10,317
გაცემული სესხები	18	18	61,571
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21	32,538	7,524
სულ ფინანსური აქტივები		**53,466**	**79,412**

		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	55,420	59,441
სესხები და ნასესხები სახსრები	23	93,648	60,884
საიჯარო ვალდებულებები	13	32,081	26,843
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		291	432
სულ ფინანსური ვალდებულებები		**181,440**	**147,600**

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკისადმი დაქვემდებარების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარს	**ევრო** 1 ევრო = 3.5040 ლარს	**აშშ დოლარი** 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარს	**ევრო** 1 ევრო = 4.0233 ლარს
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	382	-	61,571	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,548	-	2,367	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,981	-	1,037	-
სულ ფინანსური აქტივები	**36,911**	**-**	**64,975**	**-**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	35,517	152	37,785	267
სესხები და ნასესხები სახსრები	93,693	-	60,884	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	290	-	434
სულ ფინანსური ვალდებულებები	**129,210**	**442**	**98,669**	**701**

სულ წმინდა პოზიცია	**(92,299)**	**(442)**	**(33,694)**	**(701)**

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად მუხლებს:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD გავლენა		EUR გავლენა	
	USD/GEL + 20%	**USD/GEL – 20%**	**EUR/GEL + 20%**	**EUR/GEL – 20%**
გავლენა მოგება-ზარალსა და კაპიტალზე	18,460	(18,460)	88	(88)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD გავლენა		EUR გავლენა	
	USD/GEL + 20%	**USD/GEL – 20%**	**EUR/GEL + 20%**	**EUR/GEL – 20%**
გავლენა მოგება-ზარალსა და კაპიტალზე	(6,738)	6,738	(140)	140

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით.

	ერთ თვეზე ნაკლები	**1-დან 3 თვემდე**	**3 თვიდან 1 წლამდე**	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
2021 წლის 31 დეკ.						
სულ ფინანსური აქტივები	32,538	20,910	18	364	-	53,830
სულ ფინანსური ვალდებულებები	59,120	35,755	40,549	28,647	11,184	175,255
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა	**(26,582)**	**(14,845)**	**(40,531)**	**(28,283)**	**(11,184)**	**(121,425)**

2020 წ/ 31 დეკ.

სულ ფინანსური ვალდებულებები	7,524	10,317	61,157	414	-	79,412
სულ ფინანსური ვალდებულებები	47,819	22,079	35,676	32,510	9,437	147,521
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა	**(40,295)**	**(11,762)**	**25,481**	**(32,096)**	**(9,437)**	**(68,109)**

2021 წლის 31 დეკემბერს, საპროცენტო განაკვეთები იმ თარიღისთვის რომ ყოფილიყო 200 საბაზისო პუნქტით დაბალი (2020: 200 საბაზისო პუნქტით დაბალი), ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, პერიოდის მოგება იქნებოდა 2,507 ლარით (2020: 528 ლარით) მეტი, ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე ნაკლები საპროცენტო ხარჯის შედეგად.

საპროცენტო განაკვეთები რომ ყოფილიყო 200 საბაზისო პუნქტით მაღალი (2020: 200 საბაზისო პუნქტით მაღალი), ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შეთხვევაში, მოგება იქნებოდა 2,507 ლარით (2020: 528 ლარი) დაბალი, ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე უფრო მაღალი საპროცენტო ხარჯის შედეგად.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა შეიძლება განიცადოს დეფოლტი, ან არ შეასრულოს ჯგუფის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები დროულად, რაც ჯგუფისთვის გამოიწვევს ფინანსურ ზარალს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დაქვემდებარებას. ჯგუფი მუშაობს საცალო და საბითუმო სექტორში. საცალო ვაჭრობის სექტორში გაყიდვები ხორციელდება წინასწარი გადახდის საფუძველზე. საბითუმო სექტორში ყველა კლიენტი გადის კლიენტის მიღების პროცედურებს ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და შედეგად ირჩევა მხოლოდ კრედიტუნარიანი კლიენტები. ჯგუფი ასევე აწესებს საკრედიტო ზღვრებს თავის კლიენტებზე.

საკრედიტო რისკის შეფასება

საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან რისკიდსადმი დაქვემდებარება ბაზრის პირობების ცვლილებებთან, მოსალოდნელ ფულად ნაკადებთან და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე, შესაბამისი ზარალის კოეფიციენტებსა და კონტრაჰენტებს შორის დეფოლტის ურთიერთკავშირზე. ჯგუფის საკრედიტო რისკს აფასებს` დეფოლტის ალბათობით (PD), რისკისადმი დაქვემდებარებით დეფოლტისას (EAD) და `დეფოლტით გამოწვეული ზარალით (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებული მიდგომის მსგავსია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

<u>ზოგადი მიდგომა</u>

ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზოგადი მოდელის პრინციპია, რომ მოდელში უნდა აისახოს ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო ხარისხის ცვლილების სურათი მისი მიღების შემდეგ, რაც საშუალებას მისცემს საწარმოს, დროულად მოახდინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) აღიარება. აღიარებული მსზ-ის ოდენობა დამოკიდებულია საწყისი აღიარების შემდეგ კრედიტის გაუარესების მასშტაბზე. სტანდარტში გათვალისწინებულია მსზ-ის გაზომვის ორი საფუძველი(12 თვიანი და არსებობის მანძილზე მსზ) და საპროცენტო შემოსავლის აღიარების ორი მეთოდი. ეტაპები საბაზრო ტერმინია, რომელიც აღნიშნავს შეფასების საფუძველს და საპროცენტო შემოსავლის აღიარების მეთოდის არჩევის პროცესს კონკრეტული რისკების მიმართ დაქვემდებარებისა თუ მათი ჯგუფის შემთხვევაში. სტანდარტით მოცემული პრინციპების მიხედვით, რისკებისადმი დაქვემდებარება კლასიფიცირდება სამიდან ერთერთ ეტაპზე და შესაბამისად აისახება:

პირველი ეტაპი: ჯგუფი რისკისადმი დაქვემდებარებას პირველ ეტაპზე ათავსებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი საწყისი აღიარებისას კრედიტგაუფასურებული არ იყო. 12 თვიანი მსზ და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე პირველი ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

მეორე ეტაპი: რისკისადმი დაქვემდებარება მეორე ეტაპზე კლასიფიცირდება, თუ დადგინდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი კრედიტ-გაუფასურებულად არ ითვლება. მსზ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე მეორე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის

მესამე ეტაპი: მესამე ეტაპის ინსტრუმენტებში თავსდება ის რისკისადმი დაქვემდებარებები, რომელზეც შეიმჩნევა კრედიტგაუფასურების ინდიკატორების არსებობა. მსზ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებულ ღირებულებაზე მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ზოგადი მიდგომა გამოიყენება ჯგუფის მიერ ფლობილ შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- ნაღდი ფული ბანკებში
- გაცემული სესხები
- ამორტიზებული ღირებულებით ასახული სხვა სავალო ინსტრუმენტები

ჯგუფს ამჟამად სხვა სავალო ინსტრუმენტები არ გააჩნია. ამდენად, ეს დოკუმენტი მსზ-ის შეფასებაზე დამატებით ინფორმაციას არ იძლევა. ყველა შემთხვევაში, მომავალში, სხვა სავალო ინსტრუმენტებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება გაცემულ სესხებზე და ბანკებში განთავსებულ ნაღდ ფულზე გამოყენებული მიდგომით.

<u>გამარტივებული მიდგომა</u>

სავაჭრო მოთხოვნებისა თუ სახელშეკრულკებო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს არ მოიცავს, ჯგუფი ვალდებულია, გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა. სავაჭრო მოთხოვნებისა თუ საკონტრაქტო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს მოიცავს, ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს გამარტივებულ და ზოგად მიდგომას შორის. გამოყენების შემთხვევაში (არჩევითი თუ სავალდებულო ვარიანტის დროს),

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე გამოითვლება მთელი პორტფელისათვის, იმის გამოთვლის გარეშე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ.

გამარტივებული მიდგომით, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ათავსებს ან მეორე ან მესამე ეტაპზე. ჯგუფი გამარტივებულ მიდგომას იყენებს შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- მოთხოვნები საწვავიდან
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები
- სხვა აქტივები (ფასს 15-ით - საკონტრაქტო აქტივები).

ფასს 9-ზე გადასვლის თარიღისათვის ჯგუფს სხვა ფინანსური აქტივები არ გააჩნია.

<u>დეფოლტის განსაზღვრება</u>

დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნება ორ ზოგად კრიტერიუმს, ანუ რისკისადმი დაქვემდებარება დეფოლტად ითვლება, ყოველთვის, როდესაც:

- რისკისადმი დაქვემდებარება 90 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული,(DPD90), ან
- სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.

ჯგუფში ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის გამოყენებული დეფოლტის განსაზღვრება შეესაბამება შიდა მართვის მიზნებისათვის გამოყენებულ განსაზღვრებას. დეფოლტირებულად ჩათვლილი რისკისადმი დაქვემდებარებები მესამე ეტაპზე თავსდება.

ეტაპებზე განაწილების წესები

ჯგუფი რისკისადმი დაქვემდებარებებს ეტაპებზე ანაწილებს თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებებზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი მოიცავს:

ფინანსური აქტივების კლასი	ეტაპი 3	ეტაპი 2	ეტაპი 1
სავაჭრო მოთხოვნები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
სხვა მოთხოვნები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
საბანკო დეპოზიტები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე. კონტრაჰენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუარესდა (2 პუნქტით)	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს, თავსდება პირველ ეტაპზე.
გაცემული სესხები	რისკისადმი დაქვემდებარებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაჰენტი ვერ	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე. კონტრაჰენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად	რისკისადმი დაქვემდებარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს, თავსდება პირველ ეტაპზე.

	შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	გაუარესდა (2 პუნქტით)	

<u>რისკის პარამეტრების შეფასების მიდგომა</u>

მოსალოდნელი ზარალი შესაფასებლად ჯგუფი ფორმულაზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს, რომელიც უშვებს, რომ კონკრეტული ფინანსური აქტივის ზარალის მოსალოდნელი ღირებულება ამავე აქტივთან დაკავშირებული დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული ზარალისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრების ნამრავლის ტოლია.

ჯგუფი რისკის პარამეტრებს აფასებს ან ინდივიდუალურად, საბაზისო ნიშნულის მიდგომით, ან ჯგუფურად, ისტორიული გამოცდილებით.

ზარალის ანარიცხების აღიარებისა და შეფასების მიზნით, ჯგუფი რისკისადმი დაქვემდებარებას თვლის ან ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ.

რისკისადმი დაქვემდებარება მნიშვნელოვნად ითვლება, თუ კონტრაჰენტის მთლიანი რისკისადმი დაქვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი რაოდენობის თვეების განმავლობაში 50,000 ლარს აღემატება. გარდა რაოდენობრივი ინდიკატორებისა, ჯგუფმა კონკრეტული რისკისადმი დაქვემდებარებები ინდივიდუალურად შეიძლება შეაფასოს საექსპერტო შეფასებით. ასეთი რისკისადმი დაქვემდებარებები მოიცავს გაცემულ სესხებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული ზარალისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრები გამოითვლება საბაზისო ნიშნულის მიდგომით. თუ მისი გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელ ზარალს ანგარიშობს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებით.

<u>საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება</u>

ჯგუფმა რისკისადმი დაქვემდებარებების ვადიანობის სტრუქტურა გააანალიზა და დაასკვნა, რომ ფინანსური აქტივების უმეტესობა მოკლევადიანია (12 თვეზე ნაკლები). გარდა ამისა, რისკის პარამეტრების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბოლოდროინდელი დეფოლტის შემთხვევები და ამოღების ისტორია ჯგუფური შეფასებისათვის, ხოლო ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკისადმი დაქვემდებარებების რეიტინგის დადგენისას მხედველობაში მიიღება ხარისხობრივი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ჯგუფმა გააანალიზა მაკროეკონომიკური პროგნოზები და ისინი შეადარა 2020 წლის რეალურ მონაცემებს. ჯგუფმა დაასკვნა, რომ მოსალოდნელი მაკროეკონომიკური პარამეტრები რეალურისგან ძალიან არ განსხვავდება. შესაბამისად, მაკროეკონომიკური ინფორმაციის გამოყენება რისკის პარამეტრების გაანგარიშებაში მოსალოდნელ ზარალზე დიდ ზეგავლენას არ იქონიებს.

ჯგუფის მიერ გაანალიზებული მაკროეკონომიკური პარამეტრებია:

	2021	2022	2023
მშპ-ს ზრდის განაკვეთი			
საბაზისო სცენარი	4.5%	5.0%	4.0%
აღმავალი სცენარი	6.0%	5.0%	5.0%
დაღმავალი სცენარი	2.5%	4.0%	4.0%
GEL/USD გაცვლითი კურსი			
საბაზისო სცენარი	0%	0%	0%
აღმავალი სცენარი	5%	0%	2%
დაღმავალი სცენარი	(5)%	5%	2%
უძრავი ქონების ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)			
საბაზისო სცენარი	1.5%	2.5%	5.0%
აღმავალი სცენარი	4.0%	3.0%	5.0%
დაღმავალი სცენარი	2.0%	5.0%	1.0%

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების მოსალოდნელ უმნიშვნელო ცვლილებებზე დაყრდნობით, ჯგუფმა გადაწყვიტა, არ გაითვალისწინოს მაკროეკონომიკური კორექტირება მიმდინარე რისკის პარამეტრის მოდელებში

ჯგუფი მაკროეკონომიკურ კორექტირებას მომავალში გაითვალისწინებს, თუ მშპ-ის მოსალოდნელი ზრდის განაკვეთი 10 %-ით მოიმატებს/დაიკლებს.

სესხის გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის იყო:

საეჭვო და სხვა მოთხოვნები	**ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (მსზ)**	**ეტაპი 2 მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუფასურების გარეშე**	**ეტაპი 3 მსზ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუაფასურებული**	**სულ**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები1 იანვარს	**-**	**117**	**5,983**	**6,100**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები 1 იანვარს	-	-	-	-
- გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	-	(290)	290	-
- გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	411	97	508
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	123	(401)	(278)
დაფარვები	-	-	-	-
ცვლილებები შეფასებებსა და დაშვებებში	-	-	-	-
სულ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვა პერიოდის მოგება-ზარალში	**-**	**244**	**(14)**	**229**
ჩამოწერები	-	-	-	-
სავალუტო მოძრაობები	-	-	115	115
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია	-	-	-	-
საეჭვო მოთხოვნებზე არსებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**-**	**361**	**6,084**	**6,444**

საეჭვო და სხვა მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებებში შესაბამისი მოძრაობები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, არის შემდეგი:

საავჭრო და სხვა მოთხოვნები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
	12 თვიანი მსზ	საავჭრო და სხვა მოთხოვნები	საავჭრო და სხვა მოთხოვნები	
მთლიანი ოდენობა 1 იანვრის მდგომარებით	-	9,668	6,749	16,417
- გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე	-	-	-	-
- გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე	-	(296)	296	-
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	4,443	182	4,624
დაფარვები	-	431	(636)	(205)
ცვლილებები შეფასებებსა და დაშვებებში	-	-	-	-
სხვა მოძრაობები	-	-	-	-
სულ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის დარიცხვა პერიოდის მოგება-ზარალში	**-**	**14,245**	**6,591**	**20,836**
ჩამოწერები	-	-	-	-
სავალუტო მოძრაობები	-	-	115	115
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია	-	-	-	-
საავჭრო მოთხოვნებზე არსებული საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**-**	**14,245**	**6,706**	**20,951**

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილში მოცემულია როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა. სახელშეკრულებო დაფარვის ვადა ეფუძნება ყველაზე ადრეულ თარიღს, როდესაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს გადახდა.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი						
საავჭრო ვალდებულება	39,918	4,638	5,596	-	-	50,152
ნასესხები სახსრები	37,530	61,618	64,584	36,106	-	199,838
საიჯარო ვალდებულება	586	1,172	5,273	21,487	15,813	44,331
	78,034	**67,428**	**75,453**	**57,593**	**15,813**	**294,321**
2020 წლის 31 დეკემბერი						
საავჭრო ვალდებულება	47,407	5,245	7,033	-	-	59,685
ნასესხები სახსრები	520	3,475	45,887	41,493	4,939	96,314

საიჯარო ვალდებულება	470	1,172	3,886	24,165	11,727	41,420
	48,397	**9,892**	**56,806**	**65,658**	**16,666**	**197,419**

28. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, ჯგუფის შვილობილ საწარმოებს, ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და მთავარი ხელმძღვანელი პირების შემადგენლობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არა-დაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	2021 წლის 31 დეკემბერი			
	მეკავშირე საწარმოები	**ჯგუფის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**	**მთავარი ხელძღვანელი პირები**	**სულ**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	**-**
გაცემული სესხები	-	-	367	**367**
აქტივების გამოყენების უფლება	9,897	28	-	**9,925**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	368	43,086	-	**43,454**
სესხები და ნასესხები სახსრები	-	36,211	-	**36,211**
საიჯარო ვალდებულებები	10,811	27	-	**10,838**
ამონაგები	-	1,168	-	**1,168**
საპროცენტო შემოსავალი	-	3,157	31	**3,188**
საპროცენტო ხარჯი	815	1,581	-	**2,396**
შეძენები	-	373,303	-	**373,303**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	1,273	517	-	**1,790**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	1,824	2,436	**4,260**

	2020 წლის 31 დეკემბერი			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელძღვანელი პირები	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3	-	**3**
გაცემული სესხები	-	61,146	417	**61,563**
აქტივების გამოყენების უფლება	5,746	102	-	**5,848**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,866	53,019	-	**54,885**
სესხები და ნასესხები სახსრები	-	32,525	-	**32,525**
საიჯარო ვალდებულებები	7,058	114	-	**7,172**
ამონაგები	-	709	-	**709**
საპროცენტო შემოსავალი	-	3,232	18	**3,250**
საპროცენტო ხარჯი	391	1,593	-	**1,984**
შეძენები	-	261,896	-	**261,896**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	970	472	-	**1,442**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	1,767	2,370	**4,102**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხელმძღვანელობის მომსახურების საფასურს 1,742 ათასი ლარის ოდენობით.(2020: 1,686 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობა მოიცავს 3 პირს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 :3): მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი და მთავარი საოპერაციო დირექტორი. მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელით არის წარმოდგენილი, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში შეადგინა 2,436 ათასი და 2,370 ათასი ლარი, შესაბამისად.

29. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

ვალდებულებები. ჯგუფს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა რაიმე არსებითი ვალდებულებები.

სამართალწარმოება. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოების პროცესში.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან - ჯგუფმა უნდა დაიცვას გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც დაკავშირებულია, პირველ რიგში, სს „საქართველოს ბანკიდან“ და სს „თიბისი ბანკიდან“ ნასესხებ სახსრებთან. ამ შეთანხმებების შეუსრულებლობამ ჯგუფისთვის შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები, მათ შორის, სესხების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონდა დარღვეული ბანკებთან არსებული სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი ლიკვიდობისა და ლევერიჯის კოეფიციენტები.

გარანტიები - გარანტიები წარმოადგენს შეუქცევად გარანტიას, რომ ჯგუფი განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა მხარე ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს. ჯგუფს გარანტირებული აქვს შპს „ბლექ სი ტრანს ჯორჯიას“ (EUCC) 39,778 ათასი ლარის ვალდებულებები, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

გარანტიის რეალური ღირებულება იყო 39,778 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბერს.

გადასახადები - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო, ტრანზაქციები ამ უკანასკნელებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ანარიცხი არ შექმნილა. 2021 წელი საგადასახადო შემოწმებისათვის ღია რჩება.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობაში შესწორებები შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან, სადაც წარმოდგენილია დოკუმენტაციის დამატებითი მოთხოვნები. ახალი კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს, გარკვეული გარიგებების მიმართ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას აძლევს, მათ შორისაა, თუმცა არ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, თუ ამ გარიგების ფასწარმოქმნა არ განიხილება გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებულ ოპერაციად. ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტანტები, რათა შეაფასონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების შესაძლო გავლენა 2020 წლის საანგარიშგებო წლისთვის, თუმცა საბოლოო ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა. 2020 წლის საანგარიშგებო წლისთვის ჯგუფის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციების გამოწვევის გავლენის სარწმუნოდ შეფასება არ არის შესაძლებელი.

ასეთი გაურკვევლობა შეიძლება ეხებოდეს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებას, გაუფასურების ზარალის ანარიცხის შეფასებას და გარიგების საბაზრო ფასწარმოქმნას. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მან დააგროვა გადასახადის ყველა გადასახდელი თანხა და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი ანარიცხი არ გაკეთებულა.

გარემოს დაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და

ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება მათ და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი ოპერირებს.

30. შვილობილი საწარმოს შეძენა

ჯგუფს, 2021 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული ჰქონდა სესხი შპს Energy Solutions Investments (“ESI”) - სთვის, რომელის საბალანსო ღირებულება 60, 841 ათასი ლარია (19,640 ათასი აშშ დოლარი). მშობელი კომპანიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს სესხი დაიფარა ჯგუფის მიერ შპს Georgian Energy Solutions -ის (“GES”) 100% წილის შეძენის გზით. ნარჩენი თანხა (განსხვავება GES-ის 100% წილის რეალურ ღირებულებასა და გაცემული სესხის საბალანსო ღირებულებას შორის) განხულული იქნა, როგორც ჯგუფის კაპიტალის შემცირება მშობელი კომპანიის მიერ.

2021 წლის 15 დეკემბერს შპს Georgian Energy Solutions -ის 100%-იანი წილის შესყიდვა განიხილება როგორც აქტივების შეძენა და არა საწარმოთა გაერთიანება, რადგან შეძენილი საწარმოს ერთადერთი საოპერაციო საქმიანობა იყო ბენზინგასამართი სადგურების ჯგუფისთვის მიქირავება და სხვა ბიზნეს პროცესების ნიშნები ან შედეგები (IFRS 3) არ აღინიშნება.

შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასებით. შემფასებელმა შეფასებისთვის გამოიყენა შემოსავლის მიდგომა და შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრა 41,975 ათასი ლარით (13,550 ათასი აშშ დოლარი). რეალური ღირებულება გადანაწილდა თავდაპირველი აღიარებისას შეძენილ აქტივებზე. ჯგუფის კაპიტალი 2021 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით შემცირდა 18,866 ათასი ლარით (6,090 ათასი აშშ დოლარი).

შეძენილი აქტივები	შესყიდვის ფასის განაწილება
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	208
მიწის ნაკვეთი	36,782
შენობა-ნაგებობები	1,097
სხვა გრძელვადიანი აქტივები	26
მოკლევადიანი აქტივები შემცირებული მოკლევადიანი ვალდებულებებით	(17)
ჯგუფსშიდა სავაჭრო მოთხოვნა	3,879
სულ შეძენილი აქტივები	**41,975**
შეძენისას მიღებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	208

31. რეალური ღირებულების განმარტება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები
რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებია, რომელთა გაკეთება მოითხოვება ან ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
მარაგები	-	59,554	-	**59,554**	-	39,922	-	**39,922**
ფინანსური ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით	-	5,895	-	**5,895**	-	11,074	-	**11,074**
სულ ვალდებულებები, რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებით	**-**	**5,895**		**5,895**	**-**	**11,074**		**11,074**

ფინანსური ვალდებულებების, რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით და მარაგების რეალური ღირებულების შეფასების ტექნიკა მსგავსია და განისაზღვრება, როგორც საბაზრო ფასის ანალიზი, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა გამჟღავნდეს.

იმ აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	**მე-2 დონის რეალური ღირებულება**	**მე-3 დონის რეალური ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**1-ლი დონის რეალური ღირებულება**	**მე-2 დონის რეალური ღირებულება**	**მე-3 დონის რეალური ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	296	32,241	-	**32,537**	199	7,324	-	**7,523**
სხვა ფინანსური აქტივები								
სავაჭრო მოთხოვნები	-	20,910	-	**20,910**	-	10,317	-	**10,317**
- გაცემული სესხები	-	382	-	**382**	-	61,571	-	**61,571**
სულ აქტივები	**296**	**53,533**	**-**	**53,829**	**199**	**79,212**	**-**	**79,411**
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო ვალდებულება	-	49,525	-	**49,525**	-	48,612	-	**48,612**
ფინანსური ვალდებულება FVTPL-ით	-	5,895	-	**5,895**	-	11,074	-	**11,074**
ნასესხები სახსრები	-	93,648	-	**93,648**		60,884		**60,884**
სულ ვალდებულებები	**-**	**149,068**	**-**	**149,068**	**-**	**120,570**	**-**	**120,570**
					-	48,612	-	**48,612**

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. საზოგადოდ, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

32. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთის შეჭრა უკრაინაში. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ხელმძღვანელობა უკრაინის ომს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობამ მოძებნა საწვავის ახალი მომწოდებლები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან. ჯგუფი საწვავს რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და საბერძნეთიდან შეისყიდის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა ჯგუფზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

რესტრუქტურიზაცია. 2022 წლის მაისში ჯგუფმა შეიტანა ცვლილება ჯგუფის სტრუქტურაში. კერძოდ, შპს Georgian Petroleum Equities გაერთიანდა შპს Sun Petroleum Georgia-სთან.

სესხის დაფარვა. ჯგუფმა სრულად დაფარა საქართველოს ბანკის მოკლევადიანი სესხი 2022 წლის თებერვლის სახელშეკრულებო ვადით. გარდა ამისა, 2022 წლის მაისში ჯგუფმა ვადაზე ადრე დაფარა Petrocas Energy International Limited-დან აღებული გრძელვადიანი სესხის სრული ოდენობა.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1. მიმოხილვა

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში“კომპანია”) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. N34, სართ. N6, რეგისტრაციის თარიღი 2010 წლის 26 ნოემბერი. კომპანია დაარსებულია საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404391136.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30,519 ათას ლარს (2020: 49,385 ათასი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს (შემდგომში “ჯგუფი“):

- შპს ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითისი - 100%, მენეჯმენტ კომპანია;
- შპს სან სთორზ - 100%, საცალო სასურსათო მაღაზიები;
- შპს დიდუბოილი - 100%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს ჩაქვის ბენზინგასამართი სადგური- 100%,ბენზინგასამართი სადგური;
- შპს SPG თრეიდინგი - 100%,საბითუმო საწვავის ყიდვა-გაყიდვა;
- შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენს-100%, ბენზინგასამართი სადგური
- შპს ფიქრის გორა - 75%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს ფონიჭალა 2009-100%,უმოქმედო;
- შპს ქოლო- 67%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს ოპტიმა+ 50%, ბენზინგასამართი სადგური;
- შპს გორი ოილ -50%,უმოქმედო;
- შპს ახალციხე ოილ კომპანი- 50%, უმოქმედო.

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს:

- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და რეალიზაცია;
- სატრანსპორტო საშუალებებისა და ავტომობილების სერვისული მომსახურება;
- გაზის საცალო რეალიზაცია;
- ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა საგნების საცალო რეალიზაცია ბენზინგასამართ სადგურებთან არსებული მაღაზიებიდან.

2021 წლის ბოლოსთვის ჯგუფი ახორციელებდა საწვავის და თხევადი ავტოგაზის რეალიზაციას 147 ბენზინგასამართ სადგურში, მათ შორის 106 დაბრენდილია როგორც გალფი, 41 - როგორც G-Economy და 5 გაზგასამართი სადგური, რომლებიდანაც ნაწილი არის ჯგუფის მფლობელობაში, ხოლო ნაწილი კი არის იჯარით აღებული საკუთრება.

2. მთავარი ფინანსური ინდიკატორები

ჯგუფის 2021 წლის წმინდა მოგებამ მიმდინარე ოპერაციებიდან შეადგინა 19,110 ათასი ლარი 2020 წლის 1,884 ათას ლართან შედარებით. ჯგუფის მთლიანი მოგება 2021 წელს იყო 78,343 ათასი ლარი, რაც გაიზარდა 2020 წლის 66,128 ათას ლართან შედარებით.

მომგებიანობის გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფმა ძირითადი აქცენტი გააკეთა გაყიდვების ზრდასა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. საწვავის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 48%-ით, ხოლო არა საწვავი პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 27 %_ით.

3. კვლევის და განვითრების სფეროების მიმოხილვა

ჯგუფი სისტემატიურად მუშაობს პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც შედეგად იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას. სან პეტროლიუმ ჯორჯიას, მესამე მხარე, კომპანია - ACT ყოველწლიურად უტარებს ბაზრის კვლევას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ჯგუფის მარკეტინგულ პოზიციონირებაზე. ამასთან, კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებელმა გაუგზავნოს შეტყობინება მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე, რეგულარულად მოწმდება საწვავის ხარისხიანობა და ჯგუფი ფლობს არაერთ დამადასტურებელ სერთიფიკატს. ჯგუფი მუდმივად ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მომხმარებელთან სიახლოვე პრიორიტეტულია, ამიტომ ის მუდმივად იკვლევს მათ ინტერესს და ზრუნავს კმაყოფილების ზრდაზე.

4. ფილიალების ოპერაციები

ჯგუფი არ ფლობს ფილიალებს.

5. ჯგუფის სავალო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებებისგან, სავაჭრო და სხვა დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფულადი სახსრების ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

ფინანსური რისკების უმეტესობის გადახედვა და კონტროლი ხდება ჯგუფის მმართველობის დონეზე ყოველთვიურად. ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

6. საბაზრო რისკი

ჯგუფის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი არის საწვავის საერთაშორისო ფასის ზრდა. შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასი ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას და დგინდება ყოველდღიური პლაცის (Platts, European MarketScan, by S&P Global) მეშვეობით. პლაცის დადგენა ხდება ყოველდღიურად გარდა შაბათ-კვირისა და საბანკო დასვენების დღეებისა და იგი მოიცავს ერთი მეტრული ტონა მზა პროდუქტის (მაგ. ბენზინი Prem Unl 10ppm და დიზელი 10ppm ULSD) ფასს. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბოლოო პროდუქციის საცალო ქსელში და კორპორატიული

რეალიზაცია ხდება მხოლოდ ქართულ ლარში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ფასში, შესასყიდი ფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული რისკის ჰეჯირება ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადანაწილებით, თუმცა ეს პროცედურა ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას. გარდა აღნიშნულისა, სარეალიზაციო საფასო პოლიტიკა აუცილებლად და ბუნებრივად მოიცავს თავის თავში შესასყიდი ფასების და ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის კომპონენტებს, რაც ასევე სარისკოა ჯგუფისთვის, რადგან გაცვლითი კურსის მერყეობა საქართველოში საკმაოდ მაღალია.

ამასთან, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. საწვავის საცალო და კორპორატიული ბაზარი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურები.

ამასთან, საქართველოს ენერგოსექტორი შეიძლება დაგდეს საშიში გამოწვევების წინაშე, მათ შორისაა მოსახლეობისა და ეკონომიკის ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგება, ენერგეტიკული ბალანსის დომინირებული იმპორტირებული რესურსების გარანტირებული მიწოდების უზრუნველყოფის იმ სირთულეების გამო, რაც წარმოიქმნება არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით რეგიონში, ენერგეტიკის სექტორების დაუცველობა, რომლებიც დამოკიდებულია კლიმატის პირობებზე, სტიქიურ უბედურებებზე, ტექნიკურად მოძველებული ინფრასტრუქტურის გაფუჭების დიდი ალბათობა, სახელმწიფო სტრატეგიული რეზერვების სიმცირე და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ან არაეფექტურობა, რომელიც საჭიროა ასეთი მარაგების გადანაწილებისთვის.

კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში, ხოლო საფასო და მომსახურების ხარისხის (სადგურის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, სატალონო და საბარათო სისტემის არარსებობა) სეგმენტში არა-ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში. შედეგად, ჯგუფში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, გაყიდვების, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება არაფორმალურად და განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, კორპორატიული რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს ჯგუფის პროდუქტების შეძენა.

პანდემიის შემდეგ ნავთობისა და გაზის ინდუსტრიამ წლის განმავლობაში საკმაოდ ძლიერი აღორძინება განიცადა, ნავთობის ფასებმა ბოლო წლების განმავლობაში უმაღლეს დონეს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიის აღდგენა მოსალოდნელზე უკეთესია, მომავალ წელს, ბაზრის დინამიკასთან დაკავშირებით, კვლავ გაურკვევლობა რჩება.

7. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ჯგუფში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ჯგუფის ბაზებში, ბენზინგასამართ და გაზგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

საწვავის ემისიის მონიტორინგის და საკანონმდებლო ნორმების, სახელმწიფო სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვის მიზნით სადგურებზე წელიწადში ერთხელ, ისევე როგორც ბაზებზე ყოველ

წელიწადში ერთხელ ხდება ფაქტობრივი ემისიის მონიტორინგი. შესაბამისი დოკუმენტი იგზავნება გარემოს დაცვის სააგენტოში ელექტრონული ფორმით. ემისიის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, სადგურებზე და ბაზებში დამონტაჟებულია თანამედროვე ტიპის სარქველები და ხდება მათი გამართულად მუშაობის მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში.

საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით ავტოგასამართი სადგურის მენეჯერი ან უფლებამოსილი პირი აკეთებს საწვავის გაზომვას, ხოლო დამოუკიდებელი სამსახური იგივეს თვეში ერთხელ აკეთებს.

დამატებით, ავტოგასამართ სადგურებზე ფუნქციონირებს ავტომატიზაციის სისტემა, რომელიც აღჭურვილია რეზერვუარში საწვავის რაოდენობის ელექტრონული გამზომველით. ავზის დაზიანების და საწვავის დაღვრის შემთხვევაში სადგურის მენეჯერს ან სხვა უფლებამოსილ პირს აქვს საშუალება გამოავლინოს მსგავსი დაზიანება და მოახდინოს მასზე რეაგირება.

ჯგუფს დაზღვეული აქვს მესამე მხარეების ქონება და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

8. განვითრების გეგმები

ჯგუფის გრძელვადიან გეგმები მოიცავს: უკვე არსებული სერვისების განვითარებას, ახალი სერვისების დანერგვას, მაღაზიების სერვისის განვითარებას ასევე გეგმავს მომხმარებლისთვის თვითმომსახურების სადგურების შეთავაზებას. გარდა ამისა, ერთგულების პროგრამა, საოპერაციო სისტემების განვითარება ისევე როგორც ეფექტიანობის ზრდა კვლავ რჩება ჯგუფის პრიორიტეტად.

ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია როგორც უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე ისე ახალი სერვისების დანერგვაზე. მომავალში იგეგმება არა-საწვავი პროდუქტების წილის ზრდა საერთო შემოსავლებში. წლიდან წლამდე იზრდება ელექტრო მანქანების რაოდენობა, შესაბამისად იგეგმება სწრაფი დატენვის პუნქტების გახსნა. გარდა ზემოთ ხსენებულისა უკვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს თვითმომსახურების ავტოგასამართი სადგურების გახსნასთან დაკავშირებით.

ჯგუფი მუდმივად ავითარებს მომხმარებლების ერთგულების სისტემას, მაგალითად 2018 წლიდან თითოეულ მომხმარებელს შეუძლია მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირის შეტყობინების სახით გამოგზავნა

9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფი ყოველთვის ცდილობს საზოგადოებისა და გარემოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებთ. ჯგუფის სოციალური აქტივობები მოიცავს სხვადასხვა პროექტებს, რომელიც ფარავს სხვადასხვა ასპექტებს, მაგალითად კულტურულ, სპორტულ, ინფრასტრუქტურულ, ტურიზმისა და საქველმოქმედო პროექტებს.

გარემოზე ზრუნვას ჯგუფის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უდიდესი ადგილი უჭირავს. ჯგუფი აქტიურად უჭერს მხარს ელექტრო და ჰიბრიდულ ავტომობილების პარკის გაზრდას. გარემოზე ზრუნვის ფარგლებში ჯგუფმა მოახდინა საწვავის ფორმულის გაუმჯობესება, 2019 წლის მაისიდან საწვავს დაუმატებს ახალ დანამატს რომელიც უზრუნველყოფს მანქანის ძრავის უკეთ მუშაობას,

იცავს ავტომობილის ნაწილებს ცვეთისგან, საწვავის მოხმარებას ამცირებს და რაც მთავარია ამცირებს მავნე აირების დაგროვების დონეს.

ამასთან, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით ჯგუფი წელიწადში ორჯერ აქვეყნებს საწვავის ლაბორატორიულ ანალიზს.

ბოლოდროინდელი მსოფლიო პანდემიის გათვალისწინებით, გალფმა დაიწყო საქველმოქმედო პროექტი. ყოველი გაყიდული ლიტრიდან 0,03 ლარი ირიცხება ამ საქველმოქმედო საქმიანობისთვის შექმნილ ანგარიშზე, რამაც შეადგინა 126,856 ლარი. მძიმე ეკონომიკური პირობებისა და სიღარიბის დასაძლევად ამ საქველმოქმედო ღონისძიებიდან თანხა გადაეცა 200 ოჯახს. აღსანიშნავია, რომ პროცესი არის სრულიად გამჭვირვალე და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ის შეამოწმოს ვებგვერდზე www.edu.gulf.ge.

გარდა ამისა, პანდემიის დროს გალფი მნიშვნელოვნად უჭერს მხარს და ეხმარება ექიმებს ფინანსურად, რადგან ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ Covid -19-ის გავცრელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კიდევ ერთი მთავარი ამოცანაა ცხოველთა დაცვა და მოვლა. ჯგუფი დაეხმარა 400-ზე მეტ ძაღლს 2021 წელს, აჩუქა 4 ტონა საკვები. უფრო მეტიც, კომპანია მთელი წლის განმავლობაში ზრუნავს 200-ზე მეტ ძაღლზე, უზრუნველყოფს მათ სამედიცინო ან ვეტერინარულ მომსახურებას.

განათლების სფეროში ძალისხმევის ფარგლებში, ჯგუფმა, საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან 10 სტუდენტის სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად, ხელი მოაწერა მემორანდუმს. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ აშშ-ში.

ჯგუფი ასევე წიგნებით უზრუნველყოფს რეგიონულ ბიბლიოთეკებს. საქართველოს 200-ზე მეტი სოფელი იყო მონახულებული, სადაც განათლების დონის ასამაღლებლად მოეწყო ბიბლიოთეკები, ასევე 20 სტუდენტს გადაეცა პერსონალური კომპიუტერები.

ჯგუფი მხარს უჭერს ცხოვრების ჯანსაღ წესს და ამის ფარგლებში გახსნა საკალათბურთო მოედანი, რომელსაც ცნობილი ქართველი კალათბურთელის- ზაზა ფაჩულიას სახელი დაერქვა. გარდა ამისა, კომპანიამ მემორანდუმი გააფორმა UFC მებრძოლთან - გიგა ჭიკაძესთან.

კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაციისთვის ჯგუფმა წამოიწყო პროექტი მოიარე.ჯი, ამასთან, გალფი პერიოდულად აქვეყნებს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების მნიშვნელოვან მოვლენებს სოციალურ მედიაში, რაც ზრდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად საინტერესო და თვალწარმტაცია საქართველო, რითაც მეტ ტურისტს იზიდავს ქვეყანაში. გარდა ამისა, ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის სანაპიროს დასუფთავებაში, რომელიც მოიცავს 30 ათას კვადრატულ მეტრზე მეტს.

გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელმოწერილია მმართველი საბჭოს სახელით, 2022 წლის 18 მაისს.

მიხეილ ესიაშვილი

ფინანსური დირექტორი, მოქმედი აღმასრულებელი დირექტორი